ლელა

№023 (12 093)

30 იანვარი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსკლუზივი

რობერ ვან დე ვალე

კაცი, რომელსაც საქართველო ძლიერ უყვარს...

დიდი ბელგიელი ძიუდოისტის მონოლოგი მე-16 გვერდის საკითხავში

სვანაძე ნაკრებში ინიშნება?

ახალკაცი მოლაპარაკებებს ადასტურებს



დავით ცაბაძე

სანაკრებო შტაბში **კლაუს** და **ჰაინც ტოპმიოლერების**, **რალფ მინგესა** და **ბესიკ ფრიდონაშვილის** გარდა, შესაძლოა, კიდევ ერთი ქართველი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **ზაურ სვანაძე** ვიხილოთ. წელინადზე მეტია, ის შვედეთში, მესამე ლიგის GMMF-ის მთავარი მწვრთნელია. ჩვენი ინფორმაციით, სვანაძეს 21-წლამდელთა ნაკრებში მინგეს თანაშემწეობას უპირებენ. შევიტყვეთ ისიც, რომ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სვანაძესთან საუბრები დაახლოებით ორი კვირის წინ დაიწყო და დღესაც აგრძელებს...

3

მაკლიშმა მოანერა

სკოტთა ნაკრების ახალი მწვრთნელის პირველი კომენტარი:

ქართველებისგან საფრთხეს ველით

ვინ არის კლაუს ტოპმიოლერის ახალი ვიზავი 2

თბილ ავია მშენი

საქართველოს თასის მფლობელი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ფინალური ამბავი 11

ფეხბურთი

საქართველო VS თურქეთი
ამხანაგური მატჩი ძალიან გვიან და არცთუ იაფად 2

დინამო ილიჩევეცს ვერ გაუმკლავდა
მზადება მეორე წრისთვის 3

შეიძლება, იტალიის ყველა ლიგაში ჩემპიონატი შეწყდეს
ძალადობის ახალი ტალღა აპენინეებზე 7

ჩვენი პარტნიორია
CDN კავკასიის ციფრული ქსელი CAUCASUS DIGITAL NETWORK

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველო-თურქეთის მატჩის წინ

ცვლილება პროგრამაში

ეროვნულ ნაკრებთა მატჩი 21 საათზე დაიწყება

საქართველოსა და თურქეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩის დაწყების დრო შეიცვალა. ნაცვლად 19 საათისა მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე 21 საათზე დაიწყება. თამაშის 2 საათით გვიან დაწყება თურქული მხარის თხოვნითაა გათვალისწინებული. ახალგაზრდულების თამაში კი როგორც ნათქვამი იყო, იმავე დღეს "მიხეილ მესხზე" 13 საათზე დაიწყება.

გაირკვა ისიც, რომ თურქებთან სათამაშოდ ჩამოვა **ლევან კობიაშვილიც** - ფრანკფურტის "აინტრახტთან" მიღებული ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა.

"ლევან კობიაშვილს დღესაც ვესაუბრე. ის კიდევ ერთხელ იყო ექიმთან და როგორც უთხრეს, სერიოზული არაფერია. კობიაშვილი თურქებთან მატჩში ითამაშებს", - გვითხრა ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ.**

გასულ უქმეებზე მეორე ბუნდესლიგაში ჩატარებულ მატჩში "მიუნხენ 1860-ის" რიგებში კვლავ არ უთამაშია **მათე ღვინიანიძეს**. ბოკერიას თქმით, ღვინიანიძე უკვე გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშსაც შეუდგა. შესაბამისად, თურქებთან არც ის დაგვაკლდება.

დაბოლოს, თურქთა დელეგაცია თბილისში 5 თებერვალს საღამოს ჩამოფრინდება. ეროვნული გუნდი "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდება, ხოლო 21 წლამდელთა ნაკრები "შერატონ მეტეხი პალასში" დაიდებს ბინას. მეტოქე გუნდები ვარჯიშებს 6 თებერვალს ჩაატარებენ. საქართველო-თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებების თამაშზე დასწრება მსურველებს უფასოდ შეეძლებათ. ეროვნული ნაკრებების მატჩის ბილეთი კი 7 ლარი ეღირება. ბილეთების გაყიდვა, 4 თებერვლიდან დაიწყება.

ლევან კობიაშვილი თურქეთთან ითამაშებს

დავით ცაბაძე

მეტოქე. შოტლანდია

მაკლიში, უკვე ოფიციალურად

შოტლანდიის ნაკრების ახალი მწვრთნელი: საქართველოსგან საფრთხეს ველით!

ალექს მაკლიში პრეზენტაციის დროს

დიახ, ეს უკვე ოფიციალური ცნობაა: გუშინ, შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ ქვეყნის ნაკრები 48 წლის **ალექს მაკლიშს** ჩააბარა. მას შემდეგ, რაც ამ უწყების აღმასრულებელ დირექტორ **დევიდ ტეილორთან** მეორე შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა, "მოზერველის", "ჰიბერნიანისა" და "რეინჯერსის" ყოფილ მწვრთნელს ახალ თანამდებობაზე დასანიშნად კონტრაქტზე ფორმალური ხელმოწერაღა სჭირდებოდა. ეს ამბავი კი გუშინ მოხდა. "ჰემდენ პარკის" საპრესკონფერენციო დარბაზში მაკლიში ჟურნალისტების წინაშე ტეილორმა წარადგინა. შესავალი სიტყვაც ამ უკანასკნელმა თქვა:

"ჩვენ სწრაფად და მიზანდასახულად ვმოქმედებდით. უოლტერ სმიტის შემცვლელის მოძიება იოლი ნამდვილად არ იყო. სმიტმა უკვე ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო და შესაბამისად, ახალ მწვრთნელს პასუხისმგებლობაც მეტი დაეკისრება. ის ცარიელ ადგილზე არ მოდის. დარწმუნებული ვარ, სწორი არჩევანი გავაკეთეთ. მაკლიში უდიდესი გამოცდილების მქონე, ჭკვიანი სპეციალისტია. 12 წლის განმავლობაში, სხვადასხვა კლუბში, მან სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. კარგად ერკვევა საერთაშორისო ფეხბურთის ნიუანსებშიც. მჯერა, ალექსს თითოეული შოტლანდიელი მხარში დაუდგება და საერთო ამოცანის გადაჭრაში დაეხმარება. ეს საქვეყნო საქმეა. შოტლანდიის ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი შესარჩევ ციკლში და ამ გზიდან აღარ უნდა გადავუხვიოთ".

მაკლიშის კომენტარიც ერთობ ტრაფარეტული იყო: *"რომ გითხრათ, აღელვებული ვარ-მეთქი, ნიშნავს, რომ არაფერი ვთქვა. საოცარი განცდაა მწვრთნელისთვის, გახდეს საკუთარი ქვეყნის ნაკრების დამრიგებელი. საფეხბურთო სპეციალისტისთვის ამაზე მაღალი პოსტი არ არსებობს. ნდობისთვის მადლობელი ვარ... რაც შეეხება პერსპექტივას. B ჯგუფი ძალიან, ძალიან რთულია. მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს სერიოზული ბონუსი, რომელიც საფრანგეთის დამარცხებით მოვიპოვეთ და დავამტკიცეთ, რაც შეგვიძლია. მაგრამ საფრანგეთი და იტალია მაინც გამოკვეთილი ფავორიტები არიან და ამაში ახალი არაფერია. მაგრამ არ არსებობს დუმარცხებელი მეტოქე, შესაბამისად, ჩვენც შეიძლება ვიყოთ საფრთხის ქვეშ და ასეთი საფრთხე გველის მომდევნო შესარჩევ მატჩში, საქართველოს ნაკრებისგან. ჩვენ ურთულესი დაპირისპირებისთვის უნდა მოვემზადოთ".*

საქართველომდე (24 მარტი, გლაზგო) კი შოტლანდიის B ნაკრებმა 7 თებერვალს ფინეთის მეორე გუნდთან უნდა ითამაშოს. ამით იწყება მაკლიშის სამწლიანახევრიანი კარიერა მთავარი სკოტური გუნდის დამრიგებლის პოსტზე. მისი ამოცანაა, გუნდი ევროპისა (2008) და მსოფლიო (2010) ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ათამაშოს. აქვე გეტყვით, რომ დაკომპლექტდა მაკლიშის შტაბიც. როგორც ადრე გითხარით, მისი ერთ-ერთი ასისტენტი იქნება **ენდი უოტსონი**, კაცი, რომელიც მისტერ ალექსის კარგა ხნის მეგობარი და სტაჟიანი თანაშემწეა. მათთან ერთად იქნება შოტლანდიურ ფეხბურთში ასევე კარგად ცნობილი სპეციალისტი **როი აიტკენიც**.

დიდი

ალექს მაკლიში

დაიბადა: 1959 წლის 21 იანვარი (ბერჰედი, შოტლანდია)

პოზიცია: მწვრთნელი (ყოფილი მცველი)

მოთამაშის კარიერა

1978-93: აბერდინი

1980-93: შოტლანდიის ნაკრები (77 მატჩი)

მიღწევები

1982/83: თასების თასის მფლობელი

1983/84: ევროპის სუპერთასის მფლობელი

1979/80, 1983/84, 1984/85: შოტლანდიის ჩემპიონი

1981/82, 1982/83, 1983/84, 1985/86, 1989/90: შოტლანდიის თასის მფლობელი

1985/86, 1989/90: შოტლანდიის ლიგის თასის მფლობელი

მწვრთნელის კარიერა

1994-98: მოზერველი

1998-01: ჰიბერნიანი

2001-06: რეინჯერსი

მიღწევები

2002/03, 2004/05: შოტლანდიის ჩემპიონი (რეინჯერსი)

2001/02, 2003/04: შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონი

2001/02, 2002/03: შოტლანდიის თასის მფლობელი

2001/02, 2002/03, 2004/05: შოტლანდიის ლიგის თასის მფლობელი

2003/04: ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი

2005/06: ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი

სტატისტიკა კლუბების მიხედვით (მწვრთნელის რანგში)

მოზერველი: 156 მატჩი, 48 მოგება, 45 ფრე, 63 წაგება. **მოიგო:** 30.76%;

ჰიბერნიანი: 164 მატჩი, 77 მოგება, 42 ფრე, 45 წაგება. **მოიგო:** 46.95%;

რეინჯერსი: 235 მატჩი, 155 მოგება, 44 ფრე, 36 წაგება. **მოიგო:** 65.95%.



მიხეილ აშვეთია

"კარლ ცაისთან" კონტრაქტგაფორმებულმა **მიხეილ აშვეთიამ** და **გიორგი ლომაიამ** გუშინ გერმანიის სამუშაო ვიზა აიღეს და ღამით იენაში გაემგზავრნენ.

"მე და ლომაიამ გერმანიის სამუშაო ვიზა უკვე ავიღეთ. ამ საღამოს ვენის გავლით გერმანიას გავემგზავრებით. ხვალ კი უკვე გუნდთან ერთად ვივარჯიშებთ...

ჩემი ყველა სატრანსფერო ფორმალობა მოგვარებულია. ჩვეულ ფორმაში არ ვარ, მაგრამ ცუდად არ გამოვიყურები. ასე რომ, ვფიქრობ, კიოლნში უნდა ვითამაშო", - გვითხრა მიხეილ აშვეთიამ.

გერმანული პრესის მტკიცებით, ლომაიას მცირედი სატრანსფერო ფორმალობები დარჩა მოსაგვარებელი. ერთი შეხედვით, ეს მცირედი ფორმალობა სამუშაო ვიზა უნდა ყოფილიყო. თუმცა....

" სამუშაო ვიზა უკვე ავიღე და მიმდინარე სეზონის ბოლომდე "კარლ ცაისში" ვითამაშებ. თუმცა ბოლომდე ყველაფერი ჯერ კიდევ არ მომიგვარებია. საქმე ის გახლავთ,რომ რუსეთიდან იენაში ჩემი სატრანსფერო ფურცელი კიდევ არ ჩასულა.

ლეგიონერები

აშვეთია N33

უკვე დავრეკე "ლუჩში", იქ ღამე იყო და როგორც მითხრეს სატრანსფერო ფურცელს გერმანიაში ხვალ გააგზავნიან. ამით ჩემს ტრანსფერს წერტილი დაესმება.

"ლუჩთან" 6 თვეში მიმთავრდება კონტრაქტი. მაისის ბოლომდე კი "კარლ ცაისში", ვითამაშებ. თუკი გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დარჩება, შესაძლოა, კონტრაქტიც გავაგრძელო. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა გიორგი ლომაიამ.

გერმანული პრესა აქტიურად ეხმაურება ქართველთა ტრანსფერებს.

" "კარლ ცაისის" ახალწვეული მიხეილ აშვეთია ტრანსფერთან დაკავშირებული ფორმალობების მოსაგვარებლად დროებით სამშობლოში გაემგზავრა. ხვალიდან ის უკვე ჰაიკო ვებერის გუნდთან ერთად გააგრძელებს ვარჯიშს. საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიასაც დღეს ელიან. მის ტრანსფერთან დაკავშირებული დარჩენილი ფორმალობები საბოლოოდ ხვალ მოგვარდება და ისიც გუნდთან ერთად შეუდგება ვარჯიშს. 27 წლის ქართველი მეკარე 193 სმ. სიმაღლისაა და ეროვნულ ნაკრებში 14 მატჩი აქვს ნათამაშები. სხვათა შორის, 7 ნოემბერს როსტოკში გერმანიის ეროვნულ გუნდთან გამართულ ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრების კარს სწორედ ლომაია იცავდა.

"კარლ ცაისის" პრეზიდენტ რაინერ ციპფელის თქმით, ლომაიამ არ იცის გერმანული ენა, მაგრამ იენური კლუბი ამ პრობლემასაც მოაგვარებს - ქართველ გოლკიპერს გერმანული ენის მასწავლებელს დაუქირავებს.

ლომაიას გადაბირების მიუხედავად, "კარლ ცაისი" კვლავ შეეცდება "ბოხუმის" 35 წლის მეკარე პეტერ სკოვ-იენსენისა და "ვერდერის" 24 წლის გოლკიპერ კასპერ იენსენის გადაბირებას", - წერს "ოსტტიურინგენ ცაიტუნგი".

"კიკერი" კი მიხეილ აშვეთიას თაობაზე მოკლე ინფორმაციას გვაწვდის, რომლის თანახმადაც საქართველოს ნაკრების ფორვარდი "კარლ ცაისში" 33 ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

დავით ცაბაძე

სამედიცინო სემინარი

საქართველოსა და თურქეთის ფეხბურთის ფედერაციათა პრეზიდენტების, **ნოდარ ახალკაცისა** და **ჰალუქ ულუსოის** შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ 5-7 თებერვალს თბილისში, ჩვენს ფეხბურთში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის სამედიცინო სემინარები ჩატარდება, გვამცნობს ფედერაციის პრესსამსახური. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის სამედიცინო კომიტეტის თავმჯდომარე **მეჰმეთ ბინეთი** დაამავე კომიტეტის წევრები **ისმეთ დინდარი, ნექმეთინ უნალი, ნევინ ერგუნი** და **მუჰლის ფოლადი** ლექციებს სხვადასხვა თემაზე წაიკითხავენ. ბუნებრივია, ამ სემინარში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამედიცინო კომიტეტის ხელმძღვანელი **ვალერი ახალკაცი**.

დავით ცაბაძე

ენდი უოტსონი, ალექს მაკლიში, როი აიტკენი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

სვანაძე სანაკრებო შტაბში?

პირველი გვერდიდან

მართალია, გუშინ თავად ზაურ სვანაძესთან დაკავშირება ვერ შევძელით, მაგრამ ჩვენს მიერ მოპოვებული ეს ცნობა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ დაგვიდასტურა. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** ინფორმაცია ვერც დაგვიდასტურა და ვერ უარყო. ამასთან დასძინა, რომ ამ საკითხში უფრო კომპეტენტური, პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაციაო**. თბილისში სვანაძეების ოჯახში ამ თემასთან დაკავშირებით, გადაჭრით ვერაფერი გვითხრეს. თუმცა, ის კი დაგვიდასტურეს, რომ ზაურ სვანაძესთან ფედერაცია მოლაპარაკებებს აგრძელებს.

"დასამალი არაფერია. ზაურ სვანაძესთან მართლაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ის კარგი მწვრთნელია, სანაკრებო შტაბს დიდ სარგებელს მოუტანს. დიდი ხანია გვინდა ამ სფეროში მისი დასაქმება, თუმცა სვანაძეს მოქმედი კონტრაქტი აქვს შვედურ გუნდთან. ზაურს არა რომელიმე კლუბში, არამედ სანაკრებო შტაბში მუშაობას ვთავაზობთ. მალე მას ფედერაციიდან ოფიციალურ მიწვევას გავუგზავნით და ვნახოთ რა პოზიციას დაიკავებს კლუბის ხელმძღვანელობა. თუკი სკანდინავიიდან თანხმობას მივიღებთ, მაშინ ზაურ სვანაძე ფედერაციის მწვრთნელი იქნება და მერე ერთად გადავწვეტთ თუ რომელ ნაკრებში დავასაქმებთ", - გვითხრა წუხელ გერმანიაში დაკავშირებისას ნოდარ ახალკაცმა.

დავით იმედაშვილი (ნახტომში)

იმედაშვილი გაურკვევლობაში

საქართველოს ნაკრების მცველის, დავით იმედაშვილის მდგომარეობას კიევის „დინამოში" სახარბიელო არ ეთქმის, თუმცა თავად საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი. ანატოლი დემიანენკომ ის არც ისრაელში ნაიყვანა, სადაც „დინამო" "პირველი არხის" თასზე თამაშობს.

ფორმის შესანარჩუნებლად ქართველი ფეხბურთელი დუბლშემადგენლობასთან ერთად ემზადება და ოლეგ მაკაროვის სახელობის ტურნირზე კახა ალადაშვილთან ერთად "დინამო 4-შიც" ითამაშა. "დინამოს" ძირითად გუნდში ვერმოხვედრილი ფეხბურთელები ტურნირზე სამი გუნდით გამოდიოდნენ.

დათო იმედაშვილს გუშინ კიევში დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

- დათო, კიევში დატოვებით მთავარმა მწვრთნელმა გუნდის შეცვლაზე ხომ არ მიგანიშნა?

- ჯერ თავადაც გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ და თქვენ რა გითხრათ?

- როგორც ვიცით, გუნდს აეროპორტში ახლდი და მაინც კიევში დაგტოვეს. ასეთი რა მოხდა?

- მართლა ასე იყო, მივფრინავდი და რატომღაც, ვითარება ბოლოს შეიცვალა. რა მოხდა, ჩემთვის გაუგებარია. რაღაც პრობლემები იყოო, ასე მითხრეს.

- სხვა გუნდში იჯარით გაშვება არ შემოგთავაზეს?

- ამ თემაზე არ გვისაუბრია და სიმართლე გითხრათ, წასვლის დიდი სურვილი არც გამაჩნია.

- 24 მოთამაშეს შორის რომ ვერ მოხვდი, შეუძლებელია, ეს არ გადარდებდეს და დარჩენას რა აზრი აქვს?

- რა თქმა უნდა, უთამაშებლობა ძალიან არასასიამოვნოაა, მაგრამ უიმედოდ ნაღდად არ ვარ.

- გამოდის, ძირითადში დაბრუნებას იმედოვნებ.

- ვნახოთ, უახლოეს დღეებში ბევრი რამ გადაწყდება.

- ორ დღეში სატრანსფერო ფანჯარა იხურება და ჩვენც არ გვესიამოვნება, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი უთამაშებელი რომ დარჩეს.

- ხომ გითხარით, მაინც დამრჩა იმედი, რომ უთამაშებლობა არ მემუქრება. არანაირად არ მაწყობს დღევანდელი ვითარება, დუბლებში ვარჯიში და გაურკვეველი მომავალი. თუმცა თავად კიეველებსაც ჩემი მოცდენა რაში უნდა აწყობდეთ?

- მწვრთნელთან ან კლუბის პრეზიდენტთან არ გიცდია ვითარების გარკვევა?

- უახლოეს დღეებში ყველაფერს მეტყვიან, მე კი გუნდს არ ვეძებ.

- ალადაშვილი რას აპირებს?

- კახაც ჩვენთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ მას წასვლა სურს. თუმცა სად, ეს ჯერ ზუსტად არც იცის.

მერაბ მამულაშვილი

მეორე წრის წინ

დინამო

გადაულახავი ბარიერი

დინამო-ილიჩევეცი 0:3

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, თომაშვილი, გარკუშა, ჯანაშია, ხმალაძე, კობახიძე, ხუციშვილი, დვალი, დოს სანტოსი.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ლორია, ნოზაძე, ოდიკაძე, დიღმელაშვილი, მერებაშვილი, იაშვილი, ფეიქრიშვილი, ჩირიკაშვილი.

ანთალიაში, მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. **დუშან უგრინის** გუნდი უკრაინის უმაღლესი ლიგის აუტსაიდერ მარიუპოლის "ილიჩევეცს" დაუპირისპირდა. თბილისური კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძის** ცნობით, უკრაინელებმა ჩვენებს თამაშით აჯობეს და ეს ანგარიშშიც აისახა, თუმცა შედეგი თამაშის მსვლელობას მაინც არ შეესაბამება, სამი მშრალი გოლით წაგებას არ ვიმსახურებდითო. პირველ ტაიმში **ჯაბა დვალსა** და **ზამირ ჯანაშიას** შეეძლოთ გოლების გატანა. მეორე ნახევარში კი **სანდრო იაშვილმა** ანგარიშში სხვაობის შემცირების კარგი შანსი გაუშვა ხელიდან.

მატჩში ჩვენი გუნდის პოტენციურ ახალწვეულებს, **ნედ ზელიჩსა** და **მიროსლავ კრშკოს** არ უთამაშიათ. ზელიჩს, რომელსაც "დინამოში" უკვე დაცვის ბურჯად მიიჩნევენ, ყელი სტკიოდა და ამიტომაც არ იყო მოედანზე. რაც შეეხება კრშკოს, ის ანთალიაში მხოლოდ გუშინ დილით ჩავიდა და მომდევნო შეხვედრაში ითამაშებს.

"ფაბიო მარკუშ დოს სანტოსზე დაკვირვება ჩვენმა პარტნიორმა "კორინთიანსმა" გვირჩია. ის თავისუფალი აგენტია, რაც ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. დოს სანტოსი ჩვენს გუნდში ტესტირებაზეა. მწვრთნელები დააკვირდებიან და თუკი ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს კონტრაქტსაც გავუფორმებთ.

"ილიჩევეცთან" 0:3 წავაგეთ და ბუნებრივია ვერ ვიტყოდი, დოს სანტოსმა კარგად ითამაშა-თქო. თუმცა, ერთი თამაშით გადაჭრით რაიმეს თქმა გამართლებული ნამდვილად არ იქნება. ახალ ფეხბურთელთან მიმართებაში ჩვენ აჩქარება არ გვჩვევია. ბრაზილიელ თავდამსხმელს მომდევნო მატჩებშიც დავაკვირდებით და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მივიღებთ", - გვითხრა თურქეთში დაკავშირებისას "დინამოს" მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ.**

დღეს დინამოელები ჩვეულებრივ ივარჯიშებენ, ხვალ კი მორიგ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. თბილისელები უკრაინის უმაღლესი ლიგის კიდევ ერთ წარმომადგენელს, პოლტავის "ვორსკლას" დაუპირისპირდებიან.

დავით ცაბაძე

სიონი

მზადება ყირიმში

კვირას ბოლნისში გამართულმა "სიონის" კრებამ მრავალ საჭირბოროტო საკითხს გასცა პასუხი. კლუბის სამომავლო პოლიტიკა მისმა პრეზიდენტმა **გია არევაძემ** ჩამოაყალიბა. გადაწყდა, რომ "სიონს" სეზონის მეორე ნახევარშიც უმაღლესი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი ეყოლება.

პროგრამა მინიმუმიცა და პროგრამა მაქსიმუმიც ევროსაგზურის მოპოვება იქნება, ოღონდ ინტერტოტოზე გასვლა წარმატებად არ შეფასდება. შეგახსენებთ, ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონებმა ჩემპიონატის პირველი წრე მეშვიდე საფეხურზე ჩაამთავრეს და ნათელია, რომ მიზნის მიღწევის უფრო მეტი შანსი თასის გათამაშებიდან აქვთ.

მთავარი სიახლე კი ისაა, რომ დადებითად გადაწყდა შეკრების საკითხი. 3 თებერვალს გუნდი გეზს უკრაინისკენ, კერძოდ კი ყირიმის ქალაქ ალუშტისკენ აიღებს. იქ "სიონი" მზადების პარალელურად, მასშტაბურ ტურნირშიც მიიღებს მონაწილეობას.

ალუშტაში ბოლნისელები მატჩებს შემდეგი თანმიმდევრობით ჩაატარებენ: 5 თებერვალს ზაპოროჟიეს "მეტალურგს" შეხვდებიან, 6-ში ლუგანსკის "ზარიას", 9-ში დონეცკის "შახტიორის" დუბლშემადგენლობას, 12-ში კიშინიოვის "ნისტრუს", 13-ში კი "ლვოვს". "სიონი" სამშობლოსკენ იმავე საღამოს გამოემართება.

გადაწყდა ისიც, რომ მალე კლუბი კონტრაქტს რამდენიმე ცნობილ ფეხბურთელთან გააფორმებს. საუბარი ქართველებზეა, ამ ეტაპზე, "სიონის" ხელმძღვანელობა ლეგიონერების დამატებას არ აპირებს. ყველაფერი ორ-სამ დღეში გაირკვევა, სავარაუდოდ, გუნდი უკრაინაში ახალწვეულებთან ერთად ნავა.

რაც შეეხება "სიონის" კამერუნელ ლეგიონერებს, თუ მათ უცხოეთში გააგრძელეს კარიერა, ეს მხოლოდ ყირიმიდან დაბრუნების შემდეგ მოხდება. უკრაინის საკონსულოში **ჩასემის, ევოჩესა** და **ბოიომოს** საკითხი მოგვარებულია და ისინი ყირიმში უპრობლემოდ გაემგზავრებიან.

ლევან ჯანეზაშვილი

კახა ცხადაძე და სიონი ევროსაგზურისთვის იბრძოლებენ

ლოკომოტივი

სტუმრად აზერბაიჯანში

თბილისის "ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა ამირან მინაშვილმა დაგვისახელა იმ 18 ფეხბურთელის გვარი, რომლებიც მეორე წრეში განაცხადში მოხვდებიან.

მეკარეები: გვარამაძე, მიგინეიშვილი

მცველები: ბახტაძე, ბერიძე, თუთბერიძე, კვახაძე, ებრალიძე, ფოფხაძე, ელიზბარაშვილი, გუშარაშვილი

ნახევარმცველები: მალიჩავა, ბარბაქაძე, გულორდავა, სოსელია.

თავდამსხმელები: ჟღენტი, კირკიტაძე, ალავერდაშვილი.

ყურადღება მივაქციეთ სიაში პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირის, **ვლადიმერ გოჩაშვილის** არყოფნას. მინაშვილმა გაგვიმხილა, რომ 30 წლის ფორვარდი ამჟამად ისრაელის ერთ-ერთ კლუბში ისინჯება.

უკრაინაში გადასვლს იმედოვნებდა თავდამსხმელი **გიორგი ალავერდაშვილი,** მაგრამ "ლოკომოტივს" დაუბრუნდა. იგივე ითქმის ნახევარმცველ **გიორგი ბარბაქაძეზეც**, რომელიც გუნდთან ერთად არ ვარჯიშობდა და "ლოკომოტივს" მხოლოდ ახლა შეუერთდა.

სიახლეა მცველ **თორნიკე ელიზბარაშვილის** გამოჩენა. ეს 21 წლის მარჯვენა მცველი სპეციალისტებს თბილისის "სპარტაკიდან" ემახსოვრებათ. იგი საკმაოდ ნიჭიერ მოთამაშედ ითვლება. ამირან მინაშვილი შენაძენით კმაყოფილია და თვლის, რომ ელიზბარაშვილს შეუძლია დაცვის ხაზის გაძლიერება.

ამგვარად, **მალიჩავას, სოსელიასა** და **ნუნუნავას** შემდეგ, "ლოკომოტივმა" მეოთხე ფეხბურთელი შეიძინა. გუნდი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ კონკურენტებთან, გორის "დილასთან", თელავის "კახეთთან", საჩხერის "ჩიხურა" და "ბორჯომთან" უკვე მნიშვნელოვან უპირატესობას ფლობს - სტაბილური შემადგენლობა შეინარჩუნა და გაძლიერდა. ჩვენში, რატომღაც, გაძლიერებას სრულ საკადრო რევოლუციას უწოდებენ, მაგრამ ივინყებენ - სტაბილურობა უფროა წარმატების საფუძველი.

ზემოთ დასახელებული შემადგენლობით გუნდი 4 თებერვალს ბაქოში გაემგზავრება, სადაც "ოლიმპს" შეხვდება. "ლოკომოტივი" ამის შემდეგ თბილისში დაბრუნდება, 6 იანვარს კი უკვე შავიზღვისპირეთში, ყვავილნარში მეორე შეკრებას დაიწყებს. მომზადების ამ ეტაპზე ამირან მინაშვილი რამდენიმე სპარინგმატჩს გეგმავს.

მანამდე კი თბილისში მყოფმა გუნდმა "ლოკომოტივმა" დიღმის ბაზაზე საკონტროლო მატჩი გამართა ქუთაისის "ტორპედოსთან" და ბახტაძის მიერ 75-ე წუთზე გატანილი გოლით მოიგო - 1:0.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე წრის წინ

ზესტაფონი

ხვალ, კარპატისთან

28 იანვარს "ზესტაფონმა" თურქულ შეკრებაზე პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. მისი მეტოქე ყაზახეთის პირველლიგელი "ყაზახმისი" უნდა ყოფილიყო და ამიტომაც გაუწყეთ, რომ იმერლები ამ გუნდთან 0:2 დამარცხდნენ.

როგორც დავადგინეთ, "ზესტაფონის" ხელმძღვანელებს გეგმებში ბოლო წამს კორექტივები შეუტანიათ. ყაზახეთის "ყაზახმისის" ნაცვლად, იმერული კლუბი მეორე ყაზახურ გუნდს, პირველი ლიგის გამარჯვებულ ტალდიკორგანსკის "ჟეტისუს" შეხვდა და 0:2 მასთან წააგო. ყაზახებიდან ბურთები **კონსტანტინ პანინმა** და **ალექსანდრ კრუცკევიჩმა** გაიტანეს.



ბრაზილიელთა საკითხს თემურ მახარაძე თურქული შეკრების მერე გაარკვევს

ანთალიაში "ზესტაფონს" თურქეთში შეკრებაზე მყოფი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრები შეუერთდნენ: მეკარე **როინ კვასხვაძე**, მცველი **გიორგი ხიდეშელი**, ნახევარმცველები **მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი** და **თორნიკე გორგიაშვილი**, აგრეთვე, თავდამსხმელი **დათო ჯანელიძე**.

შეკრებაზე არაა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი **მირზა ბჟალავა**. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ამჟამად მირზა ავსტრიაში და იქაური ბუნდესლიგის ერთ-ერთ კლუბში მოწყობის იმედადაა. ნახევარმცველი **გიორგი განუგრავა** კი თბილისშია და ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

რაც შეეხებათ ბრაზილიელებს, ნახევარმცველ **ჟონატასს** და თავდამსხმელ **ლეანდროს**, ისინი ჯერჯერობით ისინჯებიან და კონტრაქტი არ გაუფორმებიათ. მათი საკითხი თურქული შეკრების შემდეგ გაირკვევა.

"ზესტაფონი" ანთალიაში კიდევ რამდენიმე სპარინგმატჩს ჩაატარებს. კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძის** თქმით, 31 იანვარს იმერელთა მეტოქე უკრაინის უმაღლესლიგელი ლვოვის "კარპატი" იქნება. ლვოველებმა მოსამზადებელ ეტაპზე უკვე მოასწრეს "ზაგრებისა" (2:0) და სამარის "კრილია სოვეტოვის" (2:1) დამარცხება და უნდა ვიფიქროთ, რომ თემურ მახარაძის ხელქვეითებს საინტერესო მატჩი ელით.

ამას გარდა, მიმდინარეობდა მოლაპარაკება ლუგანსკის "ზარიასთან", მაგრამ ჯერ საბოლოო შეთანხმებისთვის არ მიუღწევიათ.

მერაბ მამულაშვილი

ვიტ ჯორჯია

ვეტერინარებიც თურქეთისკენ

1 თებერვალს "ვიტ ჯორჯია" თურქეთის ხმელთაშუა ზღვის კურორტ საიდიზე გაემგზავრება, სადაც ორკვირიან მოსამზადებელ შეკრებას გაივლის. ფეხბურთელები საუკეთესო პირობებში ივარჯიშებენ. მათ განკარგულებაში ხუთი სხვადასხვა ზომის სავარჯიშო მოედანი, ჩოგბურთის კორტები, აუზი და სატრენაჟორო დარბაზი იქნება.

თურქეთში "ჯორჯია" ოთხ საკონტროლო მატჩს გამართავს, სავარაუდოდ, ოთხივეს ძლიერ მეტოქესთან.

პარასკევსა და შაბათს კი **ნესტორ მუმლაძის** გუნდმა თბილისში დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრები ჩაატარა. საქართველოს მოყვარულთა ნაკრები "ვიტ ჯორჯიამ" 6:0 გაანადგურა, მეორე დღეს კი "ნორჩ დინამოელს" 2:0 მოუგო, ორივე მატჩი ავჭალაში, "სინათლის" სტადიონზე გაიმართა.

"ვიტ ჯორჯია" მოყვარულთა ნაკრებთან: **ბედიაშვილი, ჯაფარიძე, კობიაშვილი, ადამაძე, გველესიანი, გ. დათუნაიშვილი (57. უშარაული), ინჯგია, იმერლიშვილი, სახოკია, ბერიაშვილი, მელქაძე (53. კლიმიაშვილი)**

გოლები: **ბერიაშვილი (3), მელქაძე, სახოკია, კლიმიაშვილი**

"ვიტ ჯორჯია" "ნორჩ დინამოელთან": **ღურბელეიშვილი (46. მიქაბერიძე), პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, კაიშაური (46. ბეჭვაია), კვაღინიძე, რაზმაძე (46. წულაძე), ბიძინაშვილი, ღუჭაშვილი (61. ლიპარტია), გელაშვილი, კიკნაძე**

გოლები: **ღუჭაშვილი, გელაშვილი**

როგორც ხედავთ, მუმლაძემ ორი განსხვავებული, მაგრამ დაახლოებით თანაბარძალოვანი შემადგენლობა ათამაშა. რამდენიმე გასასინჯ ფეხბურთელზე დაკვირვებას იგი შეკრებაზე განაგრძობს.

ლევან ჯანეზაშვილი

სიმურგში ქართველი ისინჯება

თბილისის "მერანის" წინააღმდეგ "სიმურგის" შემადგენლობაში ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა. იგი "მერანის" ყოფილი მარცხენა ნახევარმცველი **ზურაბ შველიძე** აღმოჩნდა.

ის საკმაოდ საინტერესო ისტორიის მოთამაშე აღმოჩნდა, რადგან პირველი ქართველია, რომელსაც ყატარის უმაღლეს ლიგაში უთამაშია.

"შარშანდელი სეზონი ყატარის "რაიანში" ვითამაშე. ამის შემდეგ კი "მერანში" ვთამაშობდი. "სიმურგში" ჩემი ჩარიცხვის საკითხი კი ჯერ არ გადაწყვეტილა" - გვითხრა შველიძემ.

ზაქათალელთა უკრაინელი დამრიგებლის, **რომან პოკორას** თქმით, შველიძეს თბილისიდან წასვლამდე გასინჯავს და პასუხს მერე იტყვის, დაიტოვოს თუ არა 19 წლის ქართველი ნახევარმცველი.

სერგო კვარაცხელია

რეგიონები. სამეგრელო

უმაღლესი ლიგა და...

18-ათასიანი სტადიონი, საწვრთნელი ბაზაც!

სამეგრელოში ფეხბურთი ისევ უნდა აღორძინდეს - ასე ფიქრობენ რეგიონის საფეხბურთო წრეებში და ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი, წარსულში ცნობილი მსაჯი **სერგო კვარაცხელიაც** იმედიანადაა განწყობილი. მას შემდეგ, რაც სეზონის დასაწყისში ფოთის „კოლხეთმა" უფინანსობის გამო უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაზე უარი თქვა თუ ათქმევინეს, ქართული ფეხბურთის სამჭედლოდ აღიარებული რეგიონი ელიტაში წარმომადგენლის გარეშე პირველად აღმოჩნდა. არადა, იყო დრო, როცა ჩვენი ჩემპიონატის მთავარ ლიგაში ერთდროულად 4 მეგრული კლუბი თამაშობდა. მომავალი სეზონისათვის რეგიონს უმაღლესში წარმომადგენლის ყოლის დიდი შანსი აქვს. ზუგდიდის „მგლები" პირველი ლიგის ლიდერია და გადასვლის ყველაზე რეალური შანსი აქვს. თან "მგლებს" საქართველოში გავრცელებული „ერთწლიანი გუნდის" საფრთხე არ უნდა დაემუქროს, რადგან საუბარია მრავალწლიან პროექტზე. ზუგდიდელი ბიზნესმენი **ზვიად სიჭინავა**, ვინც უცხოეთში საქმიანობს, მართლაც სერიოზულ ინვესტიციებს დებს მშობლიურ რეგიონში. თუ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში სამეგრელოს საფეხბურთო ცენტრი ფოთში იყო, ახლა ის რეგიონის მთავარ ქალაქში ინაცვლებს. ზუგდიდში საუმაღლესოდ კარგი გუნდის გაკეთების გარდა, პარალელურად მიმდინარეობს სტადიონისა და ბაზის მოწყობა. ზუგდიდის ცენტრალურ არენაზე მოედანი ამჯერად გადათხრილია და თანამედროვე სტანდარტის საფარის დაგებაა განზრახული. არსებული მონახაზით, ზუგდიდის მთავარი არენა 18 ათას მაყურებელზე იქნება გათვლილი. „ლელოს" ინფორმაციით, სტადიონის ტერიტორია შესყიდულია, ხოლო ბაზის ასაშენებელი ადგილი 49-წლიანი იჯარითაა აღებული.

მოკლედ, ახალი სეზონისთვის უმაღლესლიგელ ზუგდიდურ კლუბს კარგი სტადიონიც ექნება და ბაზაც. ზუგდიდში მარტო მთავარ კლუბზე არ აკეთებენ აქცენტს. ბავშვთა საფეხბურთო კლუბი „ბაია" ქვეყანაში ერთ-ერთი გამორჩეულია ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჭაბუკთა გუნდები რამდენიმეკვირიან შეკრებაზე ბაკურიანში იმყოფებოდნენ.

„ზუგდიდში ნამდვილ საფეხბურთო ბუმს ველით. სტადიონის მოწყობამდე პირველი ლიგის თამაშებს სხვა სტადიონზე გავმართავთ. ძალიან ვწუხვართ ფოთის „კოლხეთის" მდგომარეობით - ასეთი ტრადიციების მქონე კლუბისთვის რეგიონული ლიგა კი არა, პირველიც შეუფერებელია. მჯერა, ფოთშიც გამოუჩნდება კლუბს სერიოზული პატრონი და სამეგრელოს სხვა ქალაქებშიც", - განაცხადა „ლელოსთან" საუბარში სერგო კვარაცხელიამ.

მამუკა ქანთარია
ზუგდიდან

სავარაუდო ტრანსფერი

ციმაკურიძე ნალჩიკში?

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **გიორგი ციმაკურიძე** საქართველოში ლამის დავიწყებას მიეცა. შესაძლოა, მიზეზი ის იყო, რომ გიორგი უკრაინის ჩემპიონატის აუტსაიდერ ალჩევსკის "სტალში" თამაშობდა და კლუბის მდგომარეობიდან გამომდინარე, ფეხბურთელისადმი ინტერესი შენელდა.

ცოტა ხნის წინათ ალჩევსკის "სტალის" მთავარმა მწვრთნელმა **ტომ კაანენმა** გიორგი შეკრებაზე არ წაიყვანა. თავდაპირველად, კლუბის პრესსამსახურმა ამის მიზეზად ფეხბურთელის ზედმეტი წონა დაასახელა. თუმცა რეალურ ამბები მალევე გამჟღავნდა - ქართველ მცველს "სტალთან" კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება და გუნდის მეპატრონეებმა ახალი ხელშეკრულება შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს.

შარშან ზაფხულში გიორგის გადაბირება მეორე ბუნდესლიგელმა "ფრაიბურგმა" გადაწყვიტა. ყოფილ მწვრთნელ **ვალაბუევისგან** დაიმედებულმა მოთამაშემ იცოდა, რომ მინიმალური კომპენსაციის საფასურად გაუშვებდნენ. თუმცა, "სტალის" ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ გერმანელებს სერიოზული განზრახვა ჰქონდათ და ტრანსფერში არარეალური თანხა მოითხოვეს. "ფრაიბურგი" მდიდარი გუნდი არაა, უკრაინელების მადა ვერ დაეკმაყოფილა და მოლაპარაკებაც შეწყდა.

ამჟამად გიორგი ანთალიაში, ზაპოროჟიეს "მეტალურგში" ემზადება. კვირას ბაქოს "ნეფთჩის" წინააღმდეგ ერთი ტაიმი, ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა. შეხვედრა ფრედ (2:2) დასრულდა, ძირითად გუნდში **დათო კვირკველიამაც** ითამაშა.

ფეხბურთელის მამის, **ერემია ციმაკურიძის** თქმით, ჯერ ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" კონტრაქტი არ გაუფორმებია. მეტიც, შესაძლოა, გუნდი კიდევ ერთხელ შეიცვალოს, რადგან მას რუსეთის პრემიერლიგელი ნალჩიკის "სპარტაკიც" იწვევს. მასთან მოლაპარაკება ყაბარდოელთა გენერალურმა მენეჯერმა დაიწყო და, შესაძლოა, ანთალიაშივე გიორგი უკრაინულიდან რუსულ კლუბში აღმოჩნდეს - "სპარტაკი" თურქეთში მესამე შეკრებას 31 იანვარს დაიწყებს.

მერაბ მამულაშვილი

CDN ეკვეკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსწრაფესი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭირველად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, რაერთი!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაცხადება... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი. მეორე წრის წინ

თოთხმეტეული მალე დაკომპლექტდება

საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების განახლებამდე არცთუ ბევრი დროა დარჩენილი. შიდა ტრანსფერების უმრავლესობაც უკვე განხორციელდა, თუმცა გუნდების დაკომპლექტების პროცესი კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს და მომავალი კვირისთვის უმაღლესი ლიგის ბინადართა სამომავლო კონტინგენტი უფრო ნათლად გამოიკვეთება.

ზამთრის ყველაზე ხმაურიანი სამწვრთნელო ტრანსფერი: რევაზ ძოძუაშვილი მეორე წრეში ოლიმპს განწვრთნის

ოლიმპი

ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა აქტიური სატრანსფერო პოლიტიკა აწარმოა, რაც მწვრთნელის შეცვლით დაიწყო. რუსეთმოვლილი **გოცირიძე** და **არზიანი** რუსთაველთათვის დიდი ძალაა. გუნდმა კიდევ რამდენიმე კვალიფიციური ფეხბურთელი დაიმატა, რაც მას ისედაც სოლიდურ საჩემპიონო შანსებს კიდევ უფრო უზრდის.

ვიტ ჯორჯია

წამყვან ფიგურებს ვეტერინარები ამ სატრანსფერო პერიოდშიც შეეღიენ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ლიდერთა გასხვისება "ვიტ ჯორჯიასთვის" ჩვეული მოვლენაა, გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ გუნდი მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას ვერ შეძლებს. ნესტორ მუმლაძე **დიღმელაშვილისა** და **ფეიქრიშვილის** შეცვლას ახალგაზრდებით შეეცდება.

ამერი

ტრადიციულად, მინიმალური საკადრო ცვლილებები განხორციელდა ამერელთა რიგებში. შეგახსენებთ, საქართველოს თასის მფლობელებმა ნახევარდაცვის ცენტრში კონკურენცია **მესხის** დამატებით გააძლიერეს. გასარკვევი დარჩა **კაკაშვილის** საკითხი, რომელიც გასინჯვაზეა. სავარაუდოდ, "ამერი" კონტრაქტს მასაც გაუფორმებს.

ზესტაფონი

"ზესტაფონი" **თურმანიძემ** და **იმედაძემ** დატოვეს. შესაძლოა მათ რიცხვს **ბექა გოცირიძეც** შეემატოს. **როინ ონიანი** დაცვას რომ გააძლიერებს, უდავოა. ახლახან ჩამოსულ ბრაზილიურ დუეტზე კი გასაგები მიზეზების გამო, ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით. სხვა მხრივ, გუნდის ძირითადი ბირთვი და იმერელთა მიზანი უცვლელი რჩება.

დინამო

დუშან უგრინმა, უპირველეს ყოვლისა, დაცვას მიხედა, მაგრამ არც არანაკლებ საკვანძო პოზიცია დავიწყნია და ნახევარდაცვის ცენტრის გასაძლიერებლად **დიღმელაშვილს** უხმო. თუკი აქამდე "დინამოს" ხელმძღვანელობის მთავარი საზრუნავი მოთამაშეთა სარფიანად გაყიდვა იყო, ამჯერად პირიქითაა, რაც წესით, გუნდის შედეგებზე დადებითად უნდა აისახოს. გასარკვევია ბრაზილიელი **დოს სანტოსის**, ბელარუსი **გარკუშას** და **სირბილაძის** ამბავიც.

ტორპედო

"ტორპედო" მისმა საუკეთესო ფეხბურთელმა **გამეზარდაშვილმა** დატოვა, რომლის სრულფასოვანი შემცვლელიც ქუთათურებს არ ჰყავთ. ერთი შეხედვით, მაღალი საფეხურებისთვის ბრძოლა მათ ძალიან უნდა გაუჭირდეთ, წარმატების უფრო მეტი შანსი "ტორპედოს" შეიძლება თასზე მიეცეს.

სიონი

ბოლნისელები აქამდე დსთ-ის თასის გათამაშებაზე იყვნენ კონცენტრირებულნი, სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადების მთავარი ეტაპი კი სამი დღის წინ დაიწყეს. მეკარე **მამალაძე** სადღეისოდ "სიონის" ერთადერთი ახალწვეულია.

ლოკომოტივი

უშუალო კონკურენტთა დასუსტების ფონზე, რკინიგზელებს უმაღლესში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეთ. "ლოკომოტივი" თავისი ამბიციების შესაფერისი ფეხბურთელებით გაძლიერდა.

გორჯომი

ვლადიმერ ხაჩიძემ პირველ წრეში შეუძლებელი შეძლო და ჩემპიონატის მსვლელობისას ჩამოყალიბებული გუნდით ნორმალური შედეგი აჩვენა. გამოცდილ მწვრთნელს შემადგენლობის დასაკომპლექტებლად ახლა უფრო მეტი დრო აქვს, ასე რომ, წესით, "ბორჯომს" პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე არ უნდა დაემუქროს.

მერანი

მთავარი მწვრთნელის შეცვლას შემადგენლობის საგრძნობი გადახალისება არ მოჰყოლია. "მერანი" მეორე წრეს თითქმის უცვლელი კადრებითა და შესაბამისად, უცვლელი მიზნებით ჩაატარებს.

ჩიხურა

საჩხერეში ჯერაც გაურკვეველი ვითარებაა, თავდაპირველი ინფორმაციით, "ჩიხურას" რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი უნდა შეჰმატებოდა, მაგრამ სადღეისოდ, მსგავსი არაფერი მომხდარა. არაა გამორიცხული, კლუბს დაფინანსება მნიშვნელოვნად შეუმცირდეს და შესაბამისად, ძლიერი ფეხბურთელების დამატება ვერ შეძლოს.

ბათუმი

ბათუმელთა მთავარი პრობლემა სტადიონია. ჯერაც არაა გადაწყვეტილი, დართავენ თუ არა გუნდს მეორე წრეში ასპარეზობის უფლებას. **მუჯირის** გასხვისება "ბათუმს" რთულ მდგომარეობაში ჩააგდებს. თუ ფინანსური პრობლემა დროულად არ მოგვარდა, კლუბი შესაძლოა სხვა მოთამაშეებმაც დატოვონ.

დილა

გორელებს ახალი პრეზიდენტი ჰყავთ, რომელიც საქმეს ენერგიულად შეუდგა, ფეხბურთელებს აქამდე არარსებული ხელფასები დაუნიშნა და "დილა" რამდენიმე ნორმალური მოთამაშით გააძლიერა. სხვა საქმეა, რომ შიდაქართლელები გასავარდნ ზონაში მყარად არიან დამკვიდრებულნი და იქიდან თავის დასაძვრენად დიდი ბრძოლა მოუწევთ.

კახეთი

თელაველები აღიარებენ, რომ უმაღლესში დარჩენის მიზერული შანსი აქვთ, მაგრამ ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებენ და შესაძლებლობათა ფარგლებში, ყველა მეტოქეს დიდ ბრძოლას გაუმართავენ. მიზნის მისაღწევად თანაგუნდელებს მოედანზე ვასილ არუდაშვილიც დაეხმარებათ.

ლევან ჯანეზაშვილი

დავით დიღმელაშვილი (შუაში) - ყველაზე ხმაურიანი ქართული ტრანსფერის მონაწილე

სიტუაცია ქართულ კლუბებში

გუნდი	მიდიან	მოდიან	მზადება
ოლიმპი	კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა (?), ე. კვარაცხელია (?)**	**რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი),** ნავალოვსკი (დინამო) ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი), **ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი)**	თბილისი, თურქეთი
ვიტ ჯორჯია	**დიღმელაშვილი,** ფეიქრიშვილი **(დინამო),**	კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი)	თბილისი, თურქეთი
ამერი	**ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი,** სილაგავა	**მესხი (ჩიხურა),** კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.)	ორი შეკრება ანთალიაში, იანვარი, თებერვალი
ზესტაფონი	**იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე**	**რ. ონიანი (ოლიმპი), ც. ბუკია, ლეანდრო, ჯონატასი**	თბილისი, ანთალია
დინამო	**ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი, სტურუა** (?), **გრიგალაშვილი, მახარაძე** (?) **ნავალოვსკი (ოლიმპი),** ნერგაძე, გიგაური	**დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)** ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრმკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), გარკუშა, დოს სანტოსი, სირბილაძე	ბაკურიანი, ანთალია
ტორპედო	**ძოძუაშვილი** (მწვრთნელი, ოლიმპი), **გამეზარდაშვილი** (სკონტო) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი)	**კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე,** მერკვილაძე, ხურცილავა,	ქუთაისი, თბილისი
სიონი	**სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი**	**მამალაძე (ჩიხურა)**	დსთ-ის თასი, ყირიმი
ლოკომოტივი	**ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი**	**სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო)**	ურეკი
ბორჯომი	**ნკემი, მონგუუ, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე**	**კვერნაძე, კაიდარაშვილი,**	ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც
მერანი	ბესარაშვილი (ბათუმი)	**ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე** (მწვრთნელი), ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო)	თბილისი, ურეკი
ჩიხურა	**მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი)**	—	—
ბათუმი	**ა. მუჯირი (ბაქი),** კოშკაძე, ლობჟანიძე, ნაჭყებია	**ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე)	ბათუმი
დილა	ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), **მამესწარაშვილი (მწვრთნელი)**	**ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია**	გორი, თბილისი
კახეთი	ბიძინაშვილი, იმერლიშვილი, ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი),	**კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი,**	თელავი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტურის წინ

მენიუს იოლი გასეირნება

დღეს

პორტსმუთი-მიდლსბრო
შეფილდ იუნაიტედი-ფულჰემი
ვესტ ჰემი-ლივერპული
რედინგი-ვიგანი

ხვალ

ჩელსი-ბლეკბერნი
ბოლტონი-ჩარლტონი
მანჩესტერ იუნაიტედი-უოტფორდი
ნიუკასლი-ასტონ ვილა
ევერტონი-ტოტენჰემი *გადაიდო*
არსენალი-მანჩესტერ სიტი *გადაიდო*

იმის გამო, რომ გასული კვირა სათასო ტურნირებით აღმოჩნდა დახუნძლული და უქმეებზეც ასოციაციის თასის 1/16 ფინალი გაიმართა, პრემიერლიგის ტურმა შუა კვირისკენ გადმოიწია. მაგრამ ეს არ იქნება სრული ტური. "არსენალი" და "ტოტენჰემი" ლიგის თასის განმეორებით ნახევარფინალს მართავენ. ამიტომ მათი შეხვედრები მოგვიანებით გაიმართა.

ხვალ "მანჩესტერ იუნაიტედს" იოლი გასეირნება აქვს. მისი სტუმარი უიმედო აუტსაიდერი "უოტფორდი" იქნება. სასწაული უნდა მოხდეს, რომ "მენიუმ" ქულები გაანიავოს. მით უფრო, რომ მას ორი თავდამსხმელი - **კრისტიანო რონალდო** და **ლუის საა** უბრუნდება. **სერ ალექსმა** რონალდოს ერთკვირიანი შვებულება უბოძა. საას მუხლი ჰქონდა გასიებული. ამიტომ "პორტსმუთთან" ასოციაციის თასის მატჩში "იუნაიტედმა" მათ გარეშე გაიმარჯვა (2:1). ეს ფეხბურთელები დიდ ძალას წარმოადგენენ. კრისტიანომ ბოლო შვიდ მატჩში შვიდი გოლი შეაგდო, ხოლო საასთან ერთად უკვე 25 გოლს მოუყარა თავი. უცნობია, ითამაშებს თუ არა უეინ რუნი. ის "პორტსმუთთან" შეცვლაზე შევიდა და ორჯერ შეაგდო. რუნიმ გასულ უქმეებზე, "არსენალსაც" გაუტანა (1:2), იქამდე კი 9-მატჩიანი უგოლო სერია ჰქონდა.

"ჩელსი" "იუნაიტედს" ექვსი ქულით ჩამორჩება და "ბლეკბერნთან" წაბორძიკების უფლება არ აქვს, არადა, ეს ის "ბლეკბერნია", რომელმაც ყველა ტურნირზე ჩატარებული ბოლო რვა შეხვედრიდან ექვსი მოიგო და სხვებთან ერთად, "ლივერპულიც" დაამარცხა.

ჟოზე მოურინიოს ჯონ ტერის დაბრუნების იმედი აქვს. კაპიტანს "ნიუკასლთან" 13 დეკემბრის მატჩის შემდეგ არ უთამაშია. მისი არყოფნა "არისტოკრატების" კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ. ჩემპიონებს დაცვის ცენტრში ყველაზე მეტად გაუჭირდათ. "ჩელსის" პრემიერლიგაში წარუმატებელი სერია აქვს: სამი ფრე და ერთი წაგება (0:2 "ლივერპულთან" გასულ უქმეებზე), თუმცა გასულ კვირაში გუნდმა ორი სათასო მატჩი მოიგო ("ვიგანსა" და "ნოტინგემთან"), **ანდრეი შევჩენკომ** კი სამი გოლი გაიტანა. ლონდონელებს კვლავ არ ეყოლებათ **ჯო კოული** და **არიენ რობენი**. უკრაინელი თავდამსხმელი ისევ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. "ბლეკბერნთან" მატჩი მოურინიოს შეგირდებისთვის კარგი ტესტია.

დღეს "ლივერპული" გასავარდნ ზონაში მყოფ ვესტ ჰემს ეთამაშება და თუ გაიმარჯვებს, "ჩელსის" ორი ქულის რადიუსში მიუახლოვდება, მაგრამ "ჩაქუჩები" ქულების განაევებას, მით უფრო საკუთარ მოედანზე, არ აპირებენ.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩესტერ იუნ	24	18	3	3	53-18	57
2. ჩელსი	24	15	6	3	41-19	51
3. ლივერპული	24	14	4	6	37-16	46
4. არსენალი	24	13	6	5	45-20	45
5. ბოლტონი	24	12	4	8	28-26	40
6. პორტსმუთი	24	10	7	7	34-24	37
7. ევერტონი	24	9	8	7	31-23	35
8. რედინგი	24	10	4	10	34-32	34
9. ტოტენჰემი	24	9	6	9	29-32	33
10. ბლეკბერნი	23	9	4	10	27-31	31
11. მიდლსბრო	24	8	6	10	29-29	30
12. ნიუკასლი	24	8	6	10	28-32	30
13. მანჩესტერ სიტი	24	8	6	10	19-28	30
14. ასტონ ვილა	24	6	11	7	26-28	29
15. ფულჰემი	24	6	11	7	26-36	29
16. შეფილდი	24	6	6	12	19-33	24
17. ვიგანი	23	6	4	13	23-38	22
18. ვესტ ჰემი	24	5	5	14	17-38	20
19. ჩარლტონი	24	5	4	15	19-43	19
20. უოტფორდი	22	1	9	12	12-31	12

მაპამადუ დიარამ და ივან ელგერამ სირცხვილისგან თავი ჩაქინდრეს

ჩელსი

ჩემს შემდეგ გუნდის გაწვრთნა ძალიან ძნელია

მოურინიოს მორიგი პრესკონფერენცია და სპეკულაციები მისი შემცვლელის გარშემო. ახალი კანდიდატი: რიიკაარდი!

შაბათს "ჩელსიმ" ასოციაციის თასის 1/16 ფინალში "ნოტინგემ ფორესტს" უმასპინძლა და 3:0 მოუგო. პირველი გოლი **ანდრეი შევჩენკომ** გაიტანა. უკრაინელს ბოლო ორ თამაშში სამი გოლი დაუგროვდა. როგორც გახსოვთ, გასულ სამშაბათს, "ვიკომბთან" ლიგის თასის შეხვედრაში მან დუბლი მიითვალა. უგოლო შვიდკვირიანი სერიის შემდეგ, ხუთ დღეში გატანილი სამი ბურთი წარმატებაა. თანაც შევამ ნოტინგემელებთან 90 წუთი ითამაშა, რაც მის ლონდონურ კარიერაში ძალიან იშვიათად ხდება.

"ჩელსი"-"ნოტინგემის" მატჩისას, ერთ ეპიზოდში ანდრეის თავში წაუთაქეს და მინდორზე დაანარცხეს. რეფისორებმა უმალ "არისტოკრატთა" სკამი აჩვენეს. იქ კი **ჟოზე მოურინიო** სიცილისგან იგუდებოდა. *რა იყო სასაცილო? მწვრთნელმა განმარტება ნამატჩევს პრესკონფერენციაზე გააკეთა: "მეტოქის მცველი (ჯულიან ბენეტი) ისე თამაშობდა, თითქოს ვიღაცას მოკვლას უპირებსო. ის წესებს ერთიმეორის მიყოლებით არღვევდა და როცა შევას შეება, სტივ კლარკს ("ჩელსის" მეორე მწვრთნელი) გადავულაპარაკე, ნახე, რას უზამს-მეთქი. სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ შევჩენკო მინდორზე დაეცა და თავზე წაივლო ხელი. სასაცილო იყო, აბა რა?"*

პრესკონფერენციაზე მოურინიომ უფრო ზოგადი თემებიც მიმოიხილა. ყველაზე ზოგადი, რა თქმა უნდა, მისი და "ჩელსის" ურთიერთობა გახლავთ. მიმომხილველებმა არც ეს მომენტი გაუშვეს ხელიდან და დაეკითხნენ: დარწმუნებული ხართ, რომ გაისად ისევ "ჩელსის" მწვრთნელი იქნებითო. ჟოზემ უპასუხა: "რა საჭიროა, დარწმუნებული ვიყო. ფაქტია, რომ კონტრაქტი 2010 წლამდე მაქვს გაფორმებული და ეს ყველაზე მყარი არგუმენტია. მჯერა, 2010 წლამდე ლონდონში დავრჩები."


ჟოზე მოურინიო

მაგრამ, ჩაეკითხნენ ჟურნალისტები, გაზეთები თქვენს სავარაუდო შემცვლელებზე აქტიურად წერენ, ნუთუ პრესას არ ეცნობითო. მოურინიომ ამჯერადაც სიმშვიდე შეინარჩუნა: "პრესას ჩემზე არავითარი გავლენა არ აქვს. მთავარია, რას ამბობენ ფეხბურთელები. ისინი ხედავენ, რომ მე არ შევცვლილვარ და არც მოტივაცია დამიკარგავს. ვფიქრობ, ჩემს შემდეგ მწვრთნელობა ადვილი არ არის. ამიტომ კონტრაქტის გაწყვეტას არავის ვურჩევ." ბოლო განცხადება განსაკუთრებული "თავმდაბლობის" ნიმუში იყო, იმ "თავმდაბლობისა", რომელმაც მოურინიოს პირველსავე ინგლისურ პრესკონფერენციაზე ათქმევინა, მე "განსაკუთრებული" (special one) ვარ და მას მერე ჟოზეს ირონიით "განსაკუთრებულად" მოიხსენიებენ.

მოურინიო ლაპარაკის ხასიათზე იყო, ამიტომ წასვლა ადვილად არ დაანებეს. პრესკონფერენციას ბი ბი სის სპორტული მიმომხილველი **გარი ლინეკერიც** *ესწრებოდა. ეს კითხვა სწორედ ლეგენდარულმა ინგლისელმა დასვა - ბოლოს და ბოლოს, რა ხდება თქვენსა და* **აბრამოვიჩს** *შორისო. მოურინიო: "ერთადერთი, ეს შემიძლია გითხრათ: კლუბში უკლებლივ ყველას გამარჯვება სურს. ამიტომაა სისულელე ის, რომ თითქოს ბარიერის ერთ მხარეს არ ვდგავართ. დიახ, ჩვენ ყველას გვინდა გამარჯვება. დიახ, ჩვენ ერთმანეთს ველაპარაკებით. ის მელაპარაკება მეც და პიტერ კენიონსაც (აღმასრულებელი დირექტორი). რომანი კარგა ხანია, ლონდონში არ ყოფილა ("ნოტინგემთან" მატჩი ზედიზედ მესამე იყო, რომელიც რუსმა ოლიგარქმა გამოტოვა), მაგრამ ის თავმჯდომარეა და ვალდებული არ არის, ინგარიშები გვაბაროს. მაგრამ როცა ჩამოვა, ჩვენს გასახდელის კარი მისთვის ყოველთვის ღია იქნება."*

პრესკონფერენციის ეს ნაწილი "სანდი მირორში" გამოქვეყნდა, მაგრამ მოდით, ვნახოთ, რა დაიწერა "ფიფლში" იმავე სათასო თამაშის შემდეგ. "ჩელსის" ბოსს 11 მილიონი გირვანქაც კი არ ენანება. ის მოურინიოს აუცილებლად დაითხოვს და მსოფლიოს ფეხბურთისთვის სარეკორდო კომპენსაციას გადაუხდისო. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ჟოზეს კონტრაქტი 2010 წელს იწურება. ის წლიურად 5 მილიონ გირვანქას იღებს. გათავისუფლების შემთხვევაში, პირველ სეზონში კლუბი ხელფასს სრულად აუნაზღაურებს, მეორე სეზონში - თანხის მხოლოდ 75 პროცენტს, მესამე სეზონში კი - 50 პროცენტს, რაც ჯამში 11 მილიონი გირვანქა იქნება.

მაგრამ კომპენსაციაზე უფრო საინტერესოა იმ მწვრთნელების ვინაობა, რომლებსაც "ჩელსიში" დანიშვნას უწინასწარმეტყველებენ. კვლავ აქტიურად განიხილება **გუუს ჰიდინკის** *კანდიდატურა. "სანდი მირორი" მკითხველს შეახსენებს, რომ ის რუსეთის ნაკრებში აბრამოვიჩის ფინანსური მხარდაჭერით დაინიშნა. მწვრთნელის მოთხოვნით, კონტრაქტში დევს პუნქტი, რომელიც მას გადადგომის უფლებას ანიჭებს, თუ "ჩელსის" მწვრთნელის პოსტზე ვაკანსია გაჩნდება. "სანდი მირორის" ვარაუდით, ჰიდინკი "ჩელსიში" გადავა, მაგრამ ის სპორტული დირექტორის თანამდებობას დაიკავებს. მთავარი მწვრთნელი კი 44 წლის ფრანკ რიიკაარდი გახდება. დიახ, "ბარსელონის" თავკაცი კიდევ ერთი კანდიდატია. ტაბლოიდის მტკიცებით, "არისტოკრატები" ჰოლანდიურ ტანდემზე აპირებენ ფსონის ჩასვლას. ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.*

რეალი

კალდერონი: სამეფო კლუბს ოლიგარქები მართავდნენ

მადრიდული გრანდი ასე ცუდად 16 წლის წინ თამაშობდაო

შაბათს, "რეალმა" მორიგი შეხვედრა დათმო. **ფაბიო კაპელოს** ბიჭებმა "ვილიარეალთან" 0:1 წააგეს. დაგვეთანხმებით, სამეფო კლუბი საოცრად არადამაჯერებლად ასპარეზობს. ესპანური გრანდის მთავარი პრობლემა ალბათ, არასტაბილურობა და სუსტი თავდასხმაა. პრიმერა დივიზიონში უკვე 20 ტური გაილია, "რეალს" კი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 28 გოლი აქვს გატანილი. უახლოეს ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ ასეთი ცუდი მაჩვენებელი სამეფო კლუბს 1990-91 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია. მაშინ 20 ორთაბრძოლაში მადრიდელებმა სულ რაღაც 27 ბურთის შეგდება შეძლეს. საბოლოოდ კი, მესამე ადგილი დაიკავეს. 1984-85 წლების სეზონში კიდევ უფრო ცუდი მონაგარი ჰქონდათ, 20 მატჩში 24 ბურთი. საჩემპიონო ტიტული იმ წელსაც მიუწვდომელი დარჩა.

ბუნებრივია, ავბედითი ისტორიის რეალობად ქცევა არავის სურს. ამიტომ, კაპელო გამოსავალს ეძებს. აი, რა განაცხადა მან გუშინდელ პრესკონფერენციაზე: *"ზოგადად, პრობლემა რომ მოგვარდეს, პირველ რიგში პრობლემის არსებობა უნდა აღიარო. სიმართლე გითხრათ, საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მეტი გოლი გვჭირდება. ნახევარდაცვასა და თავდასხმას მეტი აქტიურობა მართებს. სიტყვა საქმედ რომ იქცეს, ბევრი უნდა ვიმუშაოთ. მერწმუნეთ, შრომა არ გვეზარება. გულშემატკივრებს, შაბათის წარუმატებლობის გამო ბოდიშს ვუხდი. პირობას გაძლევთ, რომ ბევრად მეტს ვიმუშავებთ. ამასთან, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ ფეხბურთელების ფსიქოლოგიური მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. ზუსტად ვიცით, რა მიმართულებითაც უნდა ვიმოღვაწეოთ."*

შექმნილი სირთულეები **რამონ კალდერონსაც** არანაკლებ აწუხებს. გუშინ პრეზიდენტმა უეფას ოფიციალურ ჟურნალს ინტერვიუ მისცა, სადაც საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გააკეთა: *"უკვე საბოლოოდ გავაცნობიერე, რომ წინა წლებში გუნდის ოლიგარქიული მართვის კულტურა დამკვიდრდა. რას ნიშნავს ეს? პრეზიდენტის ფუნქცია უკიდურესად შეზღუდული იყო. მმართველობაში ფულიანი ადამიანები მონაწილეობდნენ. ადამიანები, რომლებსაც ფართო საზოგადოება არც კი იცნობს. მათი გავლენიდან გათავისუფლება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. დაუშვებელია, რომ ისეთი დიდი საფეხბურთო გუნდი, როგორიც "რეალია" ოლიგარქებისგან იმართებოდეს. წინა პრეზიდენტები სამწუხაროდ, ხელისუფლებაში სწორედ ამ ადამიანების ფინანსური მხარდაჭერით მოვიდნენ. ისინი გაწბილებულები არიან, რომ მე ამ თამაშის წესებს არ ვიზიარებ. სამეფო კლუბი სოსიოებმა და დირექტორატმა უნდა მართოს."*

ბუნდესლიგას პრეზიდენტი მოუკვდა

გერმანიის საფეხბურთო ლიგის (DFL) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ბუნდესლიგის პრეზიდენტი **ვერნერ ჰაკმანი** კვირას დილით, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა. კაცი, რომელიც "ბილდმა" ორიოდ კვირის წინათ, გერმანული ფეხბურთის გავლენიანი ფუნქციონერების რეიტინგში, მე-4 ადგილზე გაიყვანა (პირველზე **ბეკენბაუერი** იყო), ფილტვის კიბომ შეინირა. ჰაკმანი ბოლო წელინადნახევრის განმავლობაში ავადმყოფობდა, მარტში ოპერაციაც გაიკეთა, რის შემდეგაც გაუმჯობესება დაეტყო. მაგრამ დეკემბერში მეტასტაზები მაინც აღმოუჩინეს, რის შემდეგაც ქიმიოთერაპიას იკეთებდა. ჯერ კიდევ პარასკევს, ჰაკმანი დიუსელდორფში უეფას კონგრესზე გახლდათ დელეგატად.

"შოკირებული ვარ. წინა კვირაში სულ მასთან ერთად ვიყავი და ჯანმრთელობის გაუარესება ოდნავადაც არ ეტყობოდა. პირიქით, ძალიან ენერგიულად მუშაობდა," - აცხადებს გერმანიის საფეხბურთო ლიგის ვიცე-პრეზიდენტი, ჰაკმანის მოადგილე **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერი**.

ვერნერ ჰაკმანმა კარიერა პოლიტიკაში დაიწყო, ფეხბურთში კი 90-იანი წლების მიწურულს გადაინაცვლა. 1988-იდან 94 წლამდე ის ჰამბურგის სენატორი გახლდათ, რის შემდეგაც უსაფრთხოების ფირმაში დაიწყო მუშაობა. ჰაკმანი ბუნდესლიგაში პირველად 1997 წელს, "ჰამბურგის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრად გამოჩნდა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი HSV-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახდა, სადაც 2002 წლამდე იმუშავა.

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი ბრუნდება, იზმაილოვი მიდის?

ორი ინფორმაცია მოსკოვის "ლოკომოტივიდან". კლუბის პრეზიდენტმა **იური სიომინმა** "დინამოსა" და რუსეთის ნაკრების ყოფილ გოლკიპერ **სერგეი ოვჩინიკოვს** რკინიგზაში დაბრუნება შესთავაზა. 36 წლის მეკარე კარიერის დასრულებას აპირებდა, მაგრამ "ლოკომოტივთან" ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელი 450 ათას ევროს მიიღებს.

ამასობაში, ლისაბონის "სპორტინგი" ნახევარმცველ **მარატ იზმაილოვით** დაინტერესდა. პორტუგალიელებმა 24 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო გაამზადეს. იზმაილოვს მოსკოვური კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირკო სლომკა დღეს გადაწყვეტს, სად დააყენოს კობი

გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტურის წინ

შალკეს შანსი

კობიაშვილი ან ვერ ითამაშებს, ან ისევ დაცვაში დადგება...

დღეს

ბორუსია (მ)-ნიურნბერგი
შტუტგარტი-არმინია
ვოლფსბურგი-აინტრახტი
ბაიერნი-ბოხუმი

ხვალ

ლევერკუზენი-ვერდერი
კაროლერი-პერგა
გაინსი-ბორუსია (დ)
შალკე-ალემანია
ჰამბურგი-კოტბუსი

დღეს და ხვალ გერმანიაში ბუნდესლიგის მორიგი, მე-19 ტური იმართება - დღეს 4 შეხვედრაა, ხვალ კი 5. დღევანდელი მატჩებიდან, ყურადღების ცენტრში "ბაიერნისა" და "ბოხუმის" დაპირისპირებაა. მიუნხენურმა გიგანტმა პარასკევს დორტმუნდში წააგო, რის გამოც ლიდერებს, "ვერდერსა" და "შალკეს" (ორივემ მოიგო), უკვე 6 ქულით ჩამორჩება. მე-15 ადგილზე მყოფ "ბოხუმთან" საშინაო მატჩი **ფელიქს მაგათის** ბიჭებმა აუცილებლად უნდა მოიგონ და ძალიან რთული წარმოსადგენია, რომ ეს ასე არ მოხდება. "ვესტფალენშტადიონზე" მიღებული ცივი შხაპის შემდეგ, მიუნხენელებს ბრაზი ახრჩობთ და ამას ალბათ "ბოხუმი" შეეწირება. სტატისტიკა, რა თქმა უნდა, ბავარიელების მხარესაა: ბოლო ხუთი საშინაო შეხვედრიდან, "ბაიერნმა" "ბოხუმს" ხუთივე მოუგო და საერთოდ, რურელებმა ბავარიის მთავარი ქალაქიდან სამი ქულის წაღება ერთადერთხელ, 1991/92 წლების სეზონში მოახერხეს. დიდი შანსია, რომ ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ, "ბაიერნს" **ოუენ ჰარგრივსი** დაუბრუნდეს. **ალი ქარიმის** ტრავმა აწუხებს.

"ნიურნბერგთან" განადგურებული "შტუტგარტი" (1:4), ფანების თვალში რეაბილიტაციას "არმინიასთან" საშინაო შეხვედრაში შეეცდება. შვაბების მარცხმა ბევრი გააკვირვა და თუ **არმინ ფეჰის** გუნდი "არმინიასთანაც" ნაიფორხილებს, საუბრები იმის შესახებ, რომ "შტუტგარტი" აღმავლობის გზაზეა, დროებით მაინც წარსულს ჩაბარდება. დღესვე, ჩვენს მიერ უკვე ხსენებულ "ნიურნბერგს", მიონხენგლადბახის "ბორუსია" უმასპინძლებს. ამ უკანასკნელის მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** "კოტბუსთან" ნაგების შემდეგ დენთის კასრზე ზის. "ნიურნბერგს" დღემდე ყველაზე ცოტა, მხოლოდ 2 მარცხი აქვს და ფრანკებთან სამი ქულის მოპოვება "გლადბახს" ხომ, მით უმეტეს, გაუჭირდება. **მარსელინიოთი** გაძლიერებული "ვოლფსბურგი" კი, რომელმაც შაბათს ბერლინში წააგო, ამჯერად "აინტრახტს" უმასპინძლებს.

ლიდერები ხვალ თამაშობენ: "შალკე" აახენის "ალემანიას" მასპინძლობს, "ვერდერი" კი, ტურის ცენტრალურ შეხვედრაში, "ლევერკუზენს" ესტუმრება. "ბაი-არენაზე" დაგეგმილი ეს მატჩი ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს. "ფარმაცევტებმა" კვირას აახენიდან სამი ქულა წაიღეს და ძალიან კარგ ხასიათზე არიან. **მიხაელ სკიბეს** თქმით, მისი გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ "ვერდერს" მინიმუმ 2 ქულა მაინც დააკარგვინოს. ცხადია, "ლევერკუზენს" ამის გაკეთება შეუძლია. თანაც აღსანიშნავია, რომ "ბაიერნმა" "ვერდერთან" ჩატარებული ბოლო 11 საშინაო შეხვედრიდან, მხოლოდ 2 წააგო. თავის მხრივ, **თომას შააფის** გუნდისთვის ქულების დაკარგვა არ შეიძლება, რადგან, ჯერ ერთი, "შალკეს" არცთუ რთული თამაში აქვს "ალემანიასთან" და ალბათ სამ ქულას უპრობლემოდ მრიპოვებს და ესეც არ იყოს, როგორც გითხარით, "ბაიერნსაც" არ უნდა გაუჭირდეს მოგება. ამიტომაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ვერდერს" მძიმე შეხვედრა ელის.

რაც შეეხება "შალკეს": **ლევან კობიაშვილის** გუნდი აბსოლუტურად თავდაჯერებული გავა მოედანზე. ერთი ეგაა, რომ **კრისტიან პანდერმა** ისევ ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, ორთვენახევრის განმავლობაში დაისვენებს, რაც **მირკო სლომკას** საზრუნავს უჩენს. წინა ტურში პანდერის ნაცვლად, მარცხენა მცველის პოზიციაზე **როდრიგესმა** იასპარეზა. "კიკერი" გვამცნობს, რომ გამორიცხული არაა, ამჯერად მარცხენა მცველად კობიაშვილი მოგვევლინოს, მის ნაცვლად კი, ნახევარდაცვაში **ბაირამოვიჩმა** იასპარეზოს. შეგახსენებთ, რომ კობი "აინტრახტთან", 70-ე წუთზე სწორედ ბოსნიელმა შეცვალა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ქართველმა ნახევარმცველმა "აინტრახტთან" მცირე ტრავმა მიიღო და შესაძლოა, მოედანზე საერთოდ ვერ გავიდეს.

"ბაიერნის" დამარცხებით აღფრთოვანებული "დორტმუნდი" მაინცში ჩადის და ხვდება გუნდს, რომლისთვისაც თითოეულ ქულას სისხლის ფასი აქვს. **იურგენ კლოპის** ბიჭებმა წინა ტურში სტუმრად "ბოხუმი" დაამარცხეს და ისინიც კარგ ხასიათზე არიან. ერთი სიტყვით, **იურგენ რიობერის** BVB-ს, რომელიც ტრავმირებულ **ეში სმოლიარეკს** მოისაკლისებს, "შტადიონ ამ ბრუხვეგზე" სერიოზული გამოცდა ელის. დიდი შანსია, რომ განამებულმა "ჰამბურგმა" მიმდინარე სეზონში მეორე გამარჯვება (პირველი საკუთარ მოედანზე) მოიპოვოს. **თომას დოლის** HSV "კოტბუსს" მასპინძლობს. "ჰერტა" კი ჰანოვერში ჩადის.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ვერდერი	18	12	3	3	50-22	39
2. შალკე	18	12	3	3	32-18	39
3. ბაიერნი	18	10	3	5	32-22	33
4. შტუტგარტი	18	9	5	4	29-23	32
5. ჰერტა	18	8	6	4	30-25	30
6. ლევერკუზენი	18	8	4	6	31-26	28
7. ნიურნბერგი	18	5	11	2	25-17	26
8. ბორუსია (დ)	18	6	7	5	24-23	25
9. არმინია	18	5	8	5	24-20	23
10. კოტბუსი	18	5	5	8	21-25	20
11. აინტრახტი	18	4	8	6	23-31	20
12. ჰანოვერი	18	5	5	8	16-29	20
13. ვოლფსბურგი	18	4	7	7	13-18	19
14. ალემანია	18	5	4	9	30-36	19
15. ბოხუმი	18	5	3	10	22-31	18
16. ბორუსია (მ)	18	4	3	11	14-26	15
17. ჰამბურგი	18	1	11	6	17-23	14
18. მაინცი	18	2	8	8	12-30	14

ძალადობა იტალიის სტადიონებზე

ჩემპიონატი ყველა ლიგაში შეწყდება

მუფოთვარე უიქენდს 40 წლის კაცი შეეწირა

ბოლო ხანებში, იტალიის სტადიონებს ძალადობის ახალმა ტალღამ გადაუარა. ამ ამბების კულმინაცია იყო უკანასკნელი უიქენდი, რასაც 40 წლის **ერმანო ლიკურსის** სიცოცხლეც შეეწირა. ის სამოყვარულო კლუბ "სამარტინეზეს" ოფიციალური პირი გახლდათ და იმ დროს დაიღუპა, როცა სამოყვარულო გუნდების მატჩის შემდეგ, მოჩხუბარი ფანების გაშველებას ცდილობდა. სკანდალს ვერ ასცდა თვით სერია A-ც. ფლორენციაში, "ფიორენტინა"-"ლივორნოს" ტოსკანური დერბი ტრადიციული შეტაკებით დაიწყო. ერთ-ერთ სტუმარ ფანს ჰოსპიტალში თავზე 20 ნაკერი დაადეს. ჩხუბი იყო ბერგამოშიც. "ატალანტას" აღვირახსნილმა ტიფოზმა "კატანიის" გუნდის მწვრთნელებზე იერიშის მიტანა სცადეს. "ჯენცანოსა" და "ნორმანას" (სერია D) მატჩი მეორე ტაიმის დაწყებისთანავე შეწყდა. მიზეზი: ერთ-ერთმა ადგილობრივმა "გულშემატკივარმა" გვერდით მსაჯს ტრიბუნიდან... ბარაბანი ესროლა.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომისარი **ლუკა პანკალი** აღშფოთებას ვეღარ მალავს: *"ეს უკვე მეტისმეტად საგანგაშოა. არბიტრების, წესიერი ფანებისა და საერთოდ, ჩვენი ფეხბურთის იმიჯის დასაცავად, მზად ვარ, უკიდურესი ზომების გატარება მოვითხოვო, თვით ჩემპიონატის შეჩერების ჩათვლით. დიახ, როცა ფეხბურთზე წასული კაცი შინ ცოცხალი ვერ ბრუნდება, ასეთი ფეხბურთი არავის უნდა. მინდა, მქონდეს იმედი, რომ საერთო ძალისხმევით, ბოლოს და ბოლოს, სტადიონებზე წესრიგის დამყარებას შევძლებთ და რადიკალურ ზომებზე წასვლა არ მოგვიწევს"*.

ბევრი კითხულობს: რატომაა, რომ იტალიის სტადიონებზე დასწრებამ კატასტროფულად იკლო? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ ძალადობამ დღემდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ხულიგნობის ფაქტები წესიერ გულშემატკივარს შინ დარჩენისკენ უბიძგებს. ეს არის და ეს.

დელვეკიოსა და მატერაცის არასაფეხბურთო დუელი

გამოხმაურება

მატერაცი: მრეკეთ თავი, თუ დამნაშავე ვარ...

დომენეკი: მატერაცი ყოველთვის ადვილად ეცემა

"სამპდორია"-"ინტერის" მატჩში **ჯენარო დელვეკიოსა** და **მარკო მატერაცის** შორის მომხდარ ინციდენტზე უკვე გიამბეთ. გუნუელის თავურმა ხალხს გერმანული მუნდიალი და **ზინედინ ზიდანი** გაახსენა. ბევრი კიდევ ერთხელ დარწმუნდა იმაში, რომ "მატრიქსი" დახვეწილი პროვოკატორია. კვირას მას ყვითელ ბარათი აკმარეს, დელვეკიო კი, ისევე, როგორც ზიდანი, გასახდელში გაისტუმრეს. მატერაცი, რატომღაც, წყლიდან ყოველთვის მშრალი ამოდის.

აი, რა კომენტარს აკეთებს "ინტერის" მცველი: *"ჩემი რეაქცია სრულიად ბუნებრივი იყო. იძულებული გავხდი, ჩვენი მეკარე დამეცვა. დელვეკიომ ჯერ ხელი მკრა, მაგრამ ვერას გახდა, მერე კი თავიც ჩამარტყა, ძირს დამაგდო და ტუჩიდან სისხლი მადინა. როცა დამნაშავე ვარ, კი ბატონო, მაგრამ თუკი ბრალი არაფერში მიმიძღვის"?...*

ინციდენტს საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი **რაიმონ დომენეკიც** გამოეხმაურა. ბერლინურ ფინალში მომხდარზე მას მძაფრი რეაქცია ჰქონდა, ახლა კი, "ეკიპ TV-სთან" კომენტარში, ირონიული ღიმილით შენიშნა: *"თქვენ ხომ იცით, რომ მატერაცი ძალიან ადვილად ეცემა"*.

დაუსრულებული ტრანსფერი

რონალდო-მილანი: მოლაპარაკება დღეს გაგრძელდება

ოლივეირასა და კასანოს გაცვლა? გალიანი სდუმდა

ცნობილია, რომ ორშაბათს, მადრიდში, **ადრიანო გალიანის** დასკვნითი მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინა **რონალდოს** "მილანში" გადასაყვანად. გუშინ ის მართლაც ბრძანდებოდა ესპანეთის დედაქალაქში. "რეალის" პრეზიდენტ **რამონ კალდერონთან** მისი შეხვედრა ადგილობრივი დროით 17 საათზე დაიწყო და მთელ სამ საათს გასტანა. შედეგი? ჯერჯერობით, არაფერი. უფრო სწორად, შედეგი ისაა, რომ მხარეებმა მოლაპარაკების გაგრძელება დღეისთვის დაგეგმეს. დღეს კი 30 იანვარია, ანუ, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ზუსტად ერთი დღე რჩება. შესაბამისად, ყველაფერი ამ ერთ დღეში უნდა მოხდეს.

კალდერონთან შეხვედრის შემდეგ გალიანიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: *"ვერ ვიტყვი, რომ უშედეგო შეხვედრა იყო. მთელ რიგ საკითხებზე მოვრიგდით, მაგრამ გარკვეული დეტალები კვლავაც შესათანხმებელია. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, მოლაპარაკებები სამშაბათს გაგვეგრძელებინა. იმედი მაქვს, ეს გადამწყვეტი დღე იქნება"*.

გალიანის არაფერი უთქვამს მასმედიელთა კითხვაზე: მართლა იგეგმება თუ არა **ანტონიო კასანოსა** და **რიკარდო ოლივეირას** გაცვლა. გუშინ ეს ინფორმაცია იტალიურმა და ესპანურმა ვებგვერდებმა გაავრცელეს.



გამოიხსნის გალიანი რონალდოს?

ინტერვიუ კრისტიანო რონალდოსთან

ვიცი, რომ რეალს ჩემი შეძენა სურს

კრისტიანო რონალდო ფერგიუსონს შეუშინებია...

მადრიდის "რეალი" შემადგენლობის გასაძლიერებლად ინტენსიურად მუშაობს. უკვე მოგახსენეთ, რომ სამეფო კლუბის უპირველესი სამიზნე კრისტიანო რონალდოა. პრედრაგ მიატოვიჩს დიდი იმედი აქვს, რომ "მანჩესტერთან" ბრძოლას მოიგებს და პორტუგალიელ ვარსკვლავს მომავალი სეზონის დაწყების წინ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩაიყვანს. რა თქმა უნდა, თავად ინგლისელებს სულ სხვა შეხედულებები და გეგმები აქვთ. ისინი რონალდოს გასხვისებას ყოველმხრივ ეწინააღმდეგებიან. როგორც ყოველთვის, ამ სიტუაციაში ბევრი რამ ფეხბურთელის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული. ირკვევა, რომ რონალდო "რეალის" დაინტერესების შესახებ საკმარის ინფორმაციას ფლობს, მაგრამ სერ ალექს ფერგიუსონი მას ესპანელებთან დალაპარაკებასაც კი უკრძალავს. უფრო მეტიც, კრისტიანოს ამ თემაზე მცირე კომენტარის გაკეთებისგან თავის შეკავება მოსთხოვეს. ეს ამბავი პორტუგალიელთან გასასაუბრებლად ბრიტანეთში ჩასულმა "დიარიო ასის" კორესპონდენტებმა გამოააშკარავეს.

"მანჩესტერის" მორიგი ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, რონალდო გასახდელში შევიდა. ჟურნალისტებს იქ, ცხადია, არავინ მიუშვებდა. შხაპის მიღებისთანავე, პორტუგალიელი ჩქარი ნაბიჯით საკუთარი ავტომობილისკენ გაემართა. მედიელებსა და გულშემატკივრებს არც ავტოსადგომზე მიასუნინეს. ამასობაში, BMW M6 დაიქოქა და "მანჩესტერის" ახალგაზრდა სუპერ ვარსკვლავი ბაზიდან თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა. ესპანელი ჟურნალისტები ხელმოცარულები დარჩნენ, თუმცა მათ იმედი არ დაუკარგავთ და უმალ სათადარიგო გეგმა აამოქმედეს. ჩვენი კოლეგები ნაქირავებ მანქანაში ჩახტდნენ და რონალდოს სახლისკენ გაექანნენ. დანიშნულების ადგილს, მათ პირველებმა მიაღწიეს. პირენეელებს გაუმართლათ, რადგან სასურველმა რესპონდენტმა შინ მისვლამდე სხვაგან გაიარა. მცირე ლოდინის შემდეგ ჩეშირის უბანში BMW M6-ის 407 ცხენისძალიანი ძრავის ხმა გაისმა. ჟურნალისტები მანქანას მიუახლოვდნენ. მათ ფეხბურთელის უნდობელი ნდობა დაიმსახურეს. კრისტიანომ გაქცევა სცადა, თუმცა ერთ-ერთი კორესპონდენტი მას ნინ გადაუდგა. ამის შემდეგ მანჩესტერელმა უკან წასვლა განიზრახა, მაგრამ შემდეგ დაინახა, რომ მასმედიელს ხელში "დიარიო ასი" ეჭირა.

ესპანური მედია სავსეა სპეკულაციებით რონალდოს ტრანსფერის შესახებ

- ესპანელები ხართ, "დირიაო ასში" მუშაობთ?

- დიახ, მადრიდიდან ჩამოვედით სპეცდავალებით.

- რა გნებავთ?

- ინტერვიუ...

- ვერ მოგცემთ, აკრძალული მაქვს...

- კი მაგრამ, თქვენ თავისუფალი ადამიანი ხართ. ვის შეუძლია, ლაპარაკი აგიკრძალოთ?

- მართლა "დიარიო ასიდან" ხართ?

- დიახ, არ გატყუებთ...

- რომ დავრწმუნდე, თქვენი წიგნაკები მაჩვენეთ...

- ინებეთ...

- კეთილი, ახლა უკვე დავრწმუნდი, რომ ესპანელი. ჟურნალისტები ხართ. თქვენს გაზეთს ყოველდღე ვკითხულობ. გამოწერილი მაქვს და ძალიან მომწონს... თუმცა, იმედები უნდა გაგიცრუოთ. ინტერვიუს მიცემა მართლა აკრძალული მაქვს.

- მიკვირს, რომ ამ აკრძალვას ემორჩილებით. თავს დიდხანს არ შეგაწყენთ და არც საქმეს გაგირთულებთ. უბრალოდ, ცოტა ხნით გასაუბრება გვსურს. ვგონებ, ამაში არაფერია კრიმინალური...

- კარგით, კარგით...

- სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ უპირველეს სამიზნედ გამოგაცხადათ. რა შეგიძლიათ ამის შესახებ გვითხრათ?

- ვიცი, რომ "რეალს" ჩემი შეძენა სურს. ამის უარყოფა ბავშვური საქციელი იქნებოდა, მაგრამ მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. გუშინ კარლუშ კეირუშმა და ალექს ფერგიუსონმა დამიბარეს. მათ "რეალზე" საუბარი კატეგორიულად ამიკრძალეს. იმედია, გამიგებთ. პრობლემები არ მჭირდება. მესმის, რომ შორი გზა გამოარეთ და აქ ამ სიტყვების მოსასმენად არ ჩამოსულხართ, მაგრამ თქვენც უნდა გამიგოთ. პრობლემები არ მჭირდება. ფერგიუსონი არ ხუმრობდა, მან მართლაც კატეგორიულად დამიყენა საკითხი და როგორც მთავარმა მწვრთნელმა მომთხოვა, "რეალზე" არავის ვესაუბრო. სერ ალექსს "მანჩესტერის" ინტერესები ამოძრავებს. მეც "იუნაიტედის" ფეხბურთელი გახლავართ და მის ინტერესებს პატივი უნდა ვცე. დამეთანხმებით, არაეთიკურია, როცა სხვა გუნდზე საუბრობ.

- კრისტიანო, მოვა დრო, "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადმოხვალთ და გაგახსენებთ, რომ მანჩესტერში, ფაქტობრივად, ტყუილად ჩამოგვიყვანეთ...

- (იცინის) შეიძლება, თქვენი გაზეთი დავათვალიერო? დღევანდელი ნომერი ჯერ არ წამიკითხავს...

- დღევანდელი არ არის, 23 იანვრის ნომერი გახლავთ...

- ვიცი, ვიცი. სწორედ იმ დღეს დაიწერა პირველად, რომ "რეალი" მიწვევს. რა ვქნა, ბიჭებო, მეტისმეტად უხერხულად ვგრძნობ თავს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მე მოგიწვიეთ და მოგატყუეთ. არადა, სინამდვილეში, აქ გამოფრენა თქვენი ინიციატივა იყო.

- ის მაინც თუ იცით, რომ "რეალიდან" თქვენი მოგვარე წავიდა?

- ვიცი. სწორედ თქვენს გაზეთში წავიკითხე. გალიანი დღეს უნდა ჩავიდეს მადრიდში, რათა საბოლოო დეტალები შეათანხმოსო.

- მისი ადგილი გამოთავისუფლდა. ბექჰემიც მიდის. ასე რომ, კრისტიანო რონალდოსთვის ყველა კარი ღიაა.

- (იცინის) თქვენსას არ იშლით. უკვე გითხარით, რომ "რეალზე" მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. ძალიან გთხოვთ, გამიგეთ! უბრალოდ, პატივი უნდა მცეთ და ამ თემაზე აღარ მელაპარაკოთ. მარტივად განვიხილოთ საქმე. თქვენ გინდათ, რომ სენსაციური მასალა მოიპოვოთ და მათქმევინოთ ის რაც, სოლიდურ პრემიალურ თანხას გაგინაღდებთ. ამ დროს, კი მე მკაცრად დამსჯიან. მერწმუნეთ, ჩემს ადგილზე თავადაც არაფერს იტყოდით. რონალდო და ბექჰემი მიდიან. სამეფო კლუბში დიდი რეფორმები დაიწყო, მაგრამ მე არაფერ შუაში ვარ. "მანჩესტერში" ვთამაშობ და მხოლოდ ჩემი კლუბის საქმეები მაღელვებს. შემიძლია, ბარში დაგპატიჟოთ და "იუნაიტედზე" საათობით გესაუბროთ. წავიდეთ?

- არა, ჟურნალისტი რესპონდენტის ფულით ბარში ვერ წავა. ეს ჩვენს პროფესიულ ეთიკას ეწინააღმდეგება. უკეთესი იქნება, ჩვენ გადავიხადოთ, თუმცა წასვლის აზრს ვერ ვხედავ, მაინც არაფერს გვეტყვით. "მანჩესტერის" პრობლემებსა თუ წარმატებებზე საუბარი კი ნაკლებად გვაინტერესებს...

- რა გაეწყობა. უნდა მაპატიოთ ბიჭებო. იქნებ მაინც წავსულიყავით ბარში?

- კაცმა რომ თქვას, სწორედ ბარის ამინდია. მანჩესტერში, თითქმის როგორც ყოველთვის, მოღრუბლულია და ალბათ, მალე გაწვიმდება კიდეც. თქვენ პორტუგალიელი ხართ, მზე და სითბო გიყვართ. ეჰ, მადრიდში გაცილებით კომფორტულად იგრძნობდით თავს...

- აი, ჩემი სახლი. იცით, რა კარგად მაქვს მოწყობილი? აქაც ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. წვიმას რაც შეეხება, დიახ, ინგლისში ხშირად წვიმს. ვაღიარებ, პირენეული კლიმატი ბევრად უფრო მომწონს, მაგრამ ახლა ეს არაფერს ცვლის. მადრიდული მზე, სერ ალექს ფერგიუსონს აკრძალვის გაუქმებას ვერ აიძულებს. პირიქით, იქნებ კიდევ უფრო მკაცრადაც დამელაპარაკოს (იცინის).

- რა გაეწყობა, უკმაყოფილების გრძნობით აღსავსეებს გვისტუმრებთ. სანამ თქვენ მოგვიცილებთ თავიდან, ჩვენ დაგემშვიდობებით. და მაინც, ერთ მშვენიერ დღეს, "სანტიაგო ბერნაბეუზე" შევხვდებით.

- (იცინის) კარგად იყავით. არ გეწყინოთ ბიჭებო. ბოდიშს გიხდით, რომ იმედები გაგიცრუეთ, თუმცა მაინც ხომ ვისაუბრეთ.

ილია ნიკოლაიშვილი

მილანი

პიპო ინძაგი რონის ესალმება

ინძაგი უარყოფს, რომ რონალდოს ჩასვლამ არ გაახარა

ფილიპო ინძაგი ირწმუნება, რომ თუ რონალდო მისი თანაგუდელი გახდება, ამ ფაქტს ის მხოლოდ მიესალმება და სანინააღმდეგო არაფერი ექნება. იტალიურ მედიაში ხმები დადიოდა, რომ „ფენომენის" ჩამოსვლასთან დაკავშირებულმა ამბავმა პიპოგოლს ხასიათი გაუფუჭა, რადგან საკუთარი თავი კიდევ უფრო მყარად დაინახა სათადარიგოთა სკამზეო. თითქოს ამის პასუხად, ინძაგიმ, 140-დღიანი უგოლობის შემდეგ, კვირას თავისი პროფესია გაიხსენა და „პარმას" გამარჯვების გოლი გაუტანა (127-ე სერია A-ში და 81-ე „მილანის" მაისურით), რითაც „როსონერის" ძალზე რთული შეხვედრა მოაგებინა. ნამატჩევს ფორვარდს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, გიხარიათ, რონალდო რომ ჩამოდისო, რაზეც პიპომ ასე მიუგო: *„რატომ არ უნდა მიხაროდეს? ყოველთვის მივესალმები იმ ფეხბურთელების მოსვლას, ვისაც ჩვენთვის დახმარების განევა შეუძლია. „მილანის" ფეხბურთელობასთან ერთად მე მისი ტიფოზიც ვარ, ასე რომ, დიდი ვარსკვლავების მოსვლა ნებისმიერი გულშემატკივრის მსგავსად მახარებს. იმედი გვაქვს, რომ ბრაზილიელი ძალიან დიდ დახმარებას გაგვიწევს. ჩემთვის მთავარია, რომ გუნდისთვის ისევ მნიშვნელოვან ფეხბურთელად ვგრძნობდე თავს და სხვაც ასეთად მთვლიდეს. „მილანმა" კარიერაშიცა და ადამიანური თვალსაზრისითაც ძალიან ბევრი მომცა, მინდა, რომ ჩემი მადლიერება კარგი თამაშითა და გოლებით გამოვხატო. „მილანი" განსაკუთრებული, ყველასგან გამორჩეული კლუბია. შეიძლება, ყველა შეხვედრაში ვერ ვითამაშო, მაგრამ ეს პრობლემა არ არის."*

გოლის შემდეგ ინძაგიმ ტრიბუნასთან მიირბინა და ტიფოზებს თითებით მიანიშნა მაისურის იმ ადგილისკენ, სადაც მისი გვარი წერია. ჟურნალისტებმა ეს ჟესტი მაშინვე რონალდოსთან დააკავშირეს, მაგრამ 33 წლის ფორვარდი ასეთ კავშირს კატეგორიულად უარყოფს: *„გოლი ასე წარსულშიც აღმინიშნავს, უბრალოდ მინდოდა, რომ ტიფოზებისთვის ჩემი გვარი მეჩვენებინა, ასეთი სიხარულის მომენტში სხვა ფეხბურთელი თავში აზრადაც არ მომივიდოდა."*

დაბოლოს, ნომრის საკითხი. ცნობილია, რომ რონალდოს 9 ნომერი მოსწონს – ის, რომელსაც სუპერპიპოს აცვია და ეცმევა კიდეც სულ ცოტა სეზონის ბოლომდე. „ფენომენს" კი, როგორც ამბობენ, 99 ნომერი შეხვდება. *„ნომერი პრობლემა არ არის – თქვა ინძაგიმ – მთავარია, რომ კარგად ითამაშო. „პარმასთან" გოლი გავიტანე და უზომოდ ბედნიერი ვარ, მაგრამ ეს მაინც მთელი გუნდის გამარჯვება იყო: შემთხვევითი არაა, რომ გოლის შემდეგ თანაგუნდელებს შორის ყველაზე მეტად ტაშს ჯილარდინო მიკრავდა. როცა გოლი მას გააქვს, მე ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ დედამიწაზე. ეს იმიტომ, რომ ერთი გუნდი ვართ და ამას ყოველ თამაშში ვადასტურებთ."*

ინძაგი პარმასთან კვირას გატანილ გოლს ზეიმობს

მანჩესტერ იუნაიტედი

კრისტიანო რონალდო 45 მილიონადაც არ გაიყიდება

ალმასრულებელი დირექტორის კატეგორიული ტონი: ჰარგრივსი აგვისტომდე მოიცდის, ლარსონი ოლდ ტრეფორდზე არ დარჩება...

"მანჩესტერ იუნაიტედის" ალმასრულებელმა დირექტორმა **დევიდ გილმა** *"რეალს" აუწყა, რომ* **კრისტიანო რონალდო** *არ იყიდება. თუ სამეფო კლუბი მოლაპარაკებებს წამოიწყებს, დროს ტყუილად დაკარგავს, რადგან 45 მილიონი გირვანქაც არ იქნება საკმარისი "იუნაიტედის" დასაყოლიებლად. აი, რა უთხრა გილმა ბი ბი სი-ს რადიოს: "დავიწყოთ იმით, რომ რონალდოს თაობაზე არავითარი შეთავაზება არ მიგვილია. გასულ ზაფხულს ფეხბურთელმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომელიც 2010 წლამდე იმოქმედებს. რამდენიმე დღის წინათ ალექსმა (ფერგიუსონი) განმარტა, რომ ფეხბურთელები, რომლებიც "იუნაიტედს" სჭირდება, ჩვენთან დარჩებიან. "რეალმა" შესანიშნავად იცის, რომ "მანჩესტერი არ არის ის კლუბი, საიდანაც საუკეთესო ფეხბურთელების შეძენა შეიძლება."*

კითხვაზე, რას იზამს "მენიუს" დირექტორატი, თუ 45 მილიონს შესთავაზებენ, გილმა მიუგო: "რა თქმა უნდა, წინადადებას დაუყოვნებლივ უარვყოფთ. "რეალთან" ძალიან ხანმოკლე საუბარი გვექნება. მე, როგორც ალმასრულებელი დირექტორი, ვალდებული ვიქნები, ინფორმაცია დაუყოვნებლივ მივაწოდო გლეიზერებს. მათ ავუხსნი ჩვენს პოზიციას და მჯერა, მხარს დაგვიჭერენ. გლეიზერებმა იციან, როგორ იმართება სპორტული კლუბი. მათი მიზანი, ნიჭიერ ფეხბურთელებში ინვესტიციების ჩადებაა და არა საუკეთესო მოთამაშეების სარფიანად გაყიდვა. არსენ ვენგერს ბევრჯერ უთქვამს, რომ კლუბი ბანკი არ არის და აზრი არა აქვს, 35 მილიონი გექნება, თუ 45 მილიონი, თუ ამ ფულით გაყიდული მოთამაშის შემცვლელს ვერ შეიძენ."

დევიდ გილის კატეგორიული ტონის მიუხედავად, მიმომხილველები სულაც არ თვლიან, რომ კრისტიანო რონალდოს საკითხი დახურულია. ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ პორტუგალიელმა ახალი კონტრაქტის გაფორმებისგან თავი შეიკავა. სპეკულაციებისთვის წერტილის დასასმელად "იუნაიტედმა" რონალდოს ხელშეკრულების გადახედვა შესთავაზა. ფეხბურთელს ხუთწლიანი კონტრაქტი და წლიურად 2 მილიონი გირვანქით მეტი შესთავაზეს, მაგრამ...

"მანჩესტერის" დირექტორმა **ოუენ ჰარგრივსზეც** *გააკეთა განცხადება. მისი აზრით, საეჭვოა, იანვრის ფანჯრის დახურვამდე "ბაიერნთან" შეთანხმება მოხერხდეს. "მენიუმ" რეკორდმაისტერს ინგლისელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 20 მილიონი გირვანქა შესთავაზა. გერმანელებმა მოლაპარაკებები ზაფხულამდე გადადეს.*

ჰენრიკ ლარსონმა *კი უარყო სპეკულაციები, თითქოს "მანჩესტერში" სეზონის ბოლომდე აპირებდეს დარჩენას. თავდამსხმელმა შვედ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 12-კვირიანი საჯარო კონტრაქტის დასრულებისთანავე "ჰელსინგბორგში" დაბრუნდება და ქვეყნის ჩემპიონატში პირველივე ტურიდან ითამაშებს: "შეთანხმება ძალაშია. არაფერი შეცვლილა. არსად მითქვამს, რომ "ჰელსინგბორგში" ასპარეზობას აღარ ვაპირებდი."*

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარლ ჰაინც რუმენიგე

დაპირისპირება

ბირჰოფი და რუმენიგე წაეკიდნენ

...ანუ, ისევ ნაიკი VS ადიდასი

ოლივერ ბირჰოფი

ორი კვირის წინათ გაცნობეთ, რომ "ნაიკმა" გერმანიის საფეხბურთო კავშირს ზღაპრული წინადადებით მიმართა. ხსენებულ ფირმას გერმანიის ნაკრების სპონსორობა უნდა და მზადაა, 2011 წლიდან რვაწლიანი კონტრაქტისთვის, 500 მილიონი (!) ევრო გადაიხადოს! ეს მართლაც გრანდიოზული შეთავაზებაა, რომელზეც DFB უარს ვერ იტყვის. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ გერმანელები ფეხებზე დაიკიდებენ მშობლიურ "ადიდასს", რომელიც ბუნდესგუნდს მოსავს, ფეხებზე დაიკიდებენ ტრადიციას, რასაც გერმანიის საფეხბურთო კავშირისა და "ადიდასის" ისტორიული თანამშრომლობა ჰქვია. ცხადია, რომ "ადიდასი" ვერ წავა ასეთ დიდ რისკზე და DFB-ს "ნაიკზე" უკეთეს პირობებს ვერ შესთავაზებს. ამიტომაც, გერმანული ფირმა ამერიკულ ვიზავის სხვანაირად ებრძვის. იარაღი კი "ბაიერნია", "ადიდასის" "ბაიერნი".

"თუ DFB "ნაიკთან" ამ კონტრაქტს გააფორმებს, ჩვენგან პრობლემები შეექმნება. ცხადია, ჩვენს ფეხბურთელებს გერმანიის ნაკრებში თამაშს ვერ და არც დავუშლით, მაგრამ თუ ბუნდესგუნდის სპონსორი "ნაიკი" გახდება, სარეკლამო კლიპებში "ბაიერნის" ვერცერთი ფეხბურთელი ვერ მიიღებს მონაწილეობას," - აცხადებს რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**, რომელიც ამასთანავე გერმანიის ნაკრების მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფს** "ნაიკთან" მიკერძოებაში ადანაშაულებს. რუმენიგე მზადაა, დისკუსია გაუმართოს ბირჰოფს: *"ჩვენ ყველანაირად მზად ვართ დისკუსიისთვის და იურიდიულადაც ცამდე მართლები გახლავართ."*

ბირჰოფს არ სჯერა, რომ "ბაიერნის" ბოსი თავის გამართლებას მოახერხებს: *"საინტერესოა, როგორ აუხსნის რუმენიგე ამ ყველაფერს სხვა გერმანულ კლუბებს? მაგალითად, "დორტმუნდს", "ვერდერს" ან "შტუტგარტს", რომლებიც "ადიდასის" გუნდები არ არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, არასდროს გამოუთქვამთ პრეტენზიები იმის გამო, რომ მათი ფეხბურთელები გერმანიის ნაკრებში ყოფნისას, "ადიდასის" სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობდნენ. ძალიან მიკვირს ის, რომ რუმენიგემ ასე მწარედ გაგვაკრიტიკა და ცხვირს ყოფს საქმეში, რომელიც მას არანაირად არ ეხება. ჩვენ კონტრაქტი ჯერ არავისთან გაგვიფორმებია, მაგრამ ფაქტია, რომ თანამშრომლობას იმ ფირმასთან გავაგრძელებთ, რომელიც საუკეთესო პირობებს შემოგვთავაზებს. და ვფიქრობ, ამაში გასაკვირი არაფერი უნდა იყოს,"* - ამბობს ბირჰოფი.

ოლივერი ყველაზე მეტად იმაზეა ნაწყენი, რომ რუმენიგემ მას საკუთარი ინტერესების გატარებაში დასდო ბრალი. *"გერმანიის საფეხბურთო კავშირში ყურადღებით უნდა იყვნენ, თორემ ვიღაცეები მხოლოდ იმას აკეთებენ, რაც თვითონ უნდათ. მათთვის მთავარი მხოლოდ ფულია და არად აგდებენ ტრადიციებს,"* - ამბობს რუმენიგე და ხელს პირდაპირ ბირჰოფისკენ იშვერს, რომელიც აქტიური სპორტული კარიერის დროსაც "ნაიკის" მოთამაშე იყო და ამ ფირმასთან ახლაც თანამშრომლობს. *"ეს ცილისწამებაა, მართალია, ჩემს აგენტურას "ნაიკი" ასპონსორებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მე გერმანიის საფეხბურთო კავშირის ინტერესებს ვიცავ,"* - არ ცხრება ბირჰოფი.

ბაიერნი

ფელიქს, რას მიჰქარავ?

გაოგნებულმა ბეკენბაუერმა მაგათს შვაინშტაიგერის გამო შეუტია...

ფელიქს მაგათი და ფრანც ბეკენბაუერი

2007 წლის პირველმა ოფიციალურმა შეხვედრამ (დორტმუნდში 2:3), "ბაიერნს" კრიზისის ნიშნები დაატყო და ახალი სკანდალი მოუტანა. მიუნხენური გიგანტის მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** გაცოფებული იყო იმის გამო, რომ მისმა შეგირდებმა მეორე ტაიმში უპირატესობა (პირველი ნახევარი 2:1 მოიგეს) ქარს გაატანეს. *"თუ სამშაბათს "ბოხუმსაც" ვერ მოვუგებთ, თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ ჩემპიონები ვერ გავხდებით. ამის წარმოდგენაც კი მზარავს."* - ამბობდა უკმაყოფილო მწვრთნელი.

უკმაყოფილების ეპიცენტრი კი ისევ **ბასტიან შვაინშტაიგერია**, რომელმაც დორტმუნდში გამთამაშებლის პოზიციაზე ისევ ამაზრზენად ითამაშა - ზუსტად ისე, როგორც პირველ წრეში. შვაინიმ, როგორც ფლეიმეიქერმა, ექსპერტებს კიდევ ერთხელ გაუცრუა იმედები და შეფასებაც შესაბამისი მიიღო: 5 ბალი. "ბაიერნის" იშვიათი შეტევების დროს, ამჯერადაც ყველაფერი ბასტიანის გარეშე ხდებოდა. რა გასაკვირია, რომ ყოველივე ამის შემდეგ, რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** ხმა აიმაღლა. აი, რა თქვა კაიზერმა: *"გაკვირვებული ვარ. არ მესმის, რატომ ათამაშებს მაგათი შვაინის ამ პოზიციაზე. ხომ დარწმუნდა, რომ ფლეიმეიქერის პოზიცია ბასტიანისთვის არაა? გამთამაშებელი შვაინი ვერაფერს ახერხებს. არაერთხელ დამტკიცდა, რომ ამ ფუნქციას თავს ვერ ართმევს."*

ერთი შეხედვით, ეს შვაინისკენ მიმართული კრიტიკაა, მაგრამ კაიზერი პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მაგათს აკრიტიკებს. ეს უკანასკნელი კი მაინც ჯიუტობს. *"შვაინშტაიგერი მომავალშიც ფლეიმეიქერად ითამაშებს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სწორედ მისი პოზიციაა. მჯერა, რომ თავდამსხმელების უკან უნდა იდგეს,"* - აცხადებს მაგათი. მოკლედ, "დესპოტი ფელიქსი" თვით ბეკენბაუერს უპირისპირდება. სამართალი ჯერჯერობით კაიზერის მხარესაა, რადგან ყველა ხედავს, რომ შვაინშტაიგერი ფლეიმეიქერად არ ვარგა. თუ მაგათი მართალია, მაშინ ეს დღეს მაინც უნდა გამოჩნდეს. დღეს "ბაიერნი" "ბოხუმს" მასპინძლობს.

ფულჰემი

მონტელა, ახალი კერპი

კოულმენი წუხს, რომ იტალიელს ვერ შეიძენს, თუმცა ვინ იცის? ფულჰემს ჯურაბჩიანი ყიდულობსო...

ვინჩენცო მონტელა

ინგლისის ასოციაციის თასის მე-16 ფინალში "ფულჰემმა" "სტოკ სიტის" 3:0 მოუგო. ერთი გოლი **ვინჩენცო მონტელას** ანგარიშზეა. იტალიელმა თავდამსხმელმა ინგლისური კარიერა შთამბეჭდავად დაიწყო. ლონდონელთა შემადგენლობაში ჩატარებულ სამ შეხვედრაში მან უკვე ოთხ გოლს მოუყარა თავი და "ქრევენ კოტიჯის" ახალი კერპი გახდა. "სტოკთან" ნამატჩევს "ფულჰემის" თავკაცმა, **კრის კოულმენმა** დანანებით აღნიშნა, მონტელას შეძენა, ფაქტობრივად, გამორიცხულიაო. ექვსთვიანი საიჯარო კონტრაქტის ამონურვის შემდეგ ფორვარდს კვლავ რომში მოუწევს დაბრუნება. კოულმენი: *"მას "რომასთან" ხანგრძლივი და სარფიანი ხელშეკრულება აკავშირებს. ის ჩვენთან იმიტომ ჩამოვიდა, რომ ფეხბურთის თამაში სურს. ვინჩენცო ნამდვილი ბომბარდირია. ეს ყველამ იცის. რომაელთა ძირითადში კი მხოლოდ იმიტომ ვერ ხვდებოდა, რომ გუნდი ერთი თავდამსხმელით თამაშობს, ეს ერთი თავდამსხმელი კი ფრანჩესკო ტოტია. მონტელას ლონდონი ძალიან მოსწონს. აქ ჩამოსვლის შემდეგ იტალიაში არც ყოფილა. კვირაში სამჯერ მასწავლებელთან დადის და ინგლისურს მეცადინეობს. მან თანაგუნდელებთან უპრობლემოდ გამონახა საერთო ენა. ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს უკვე ძალიან შეაყვარა თავი. მონტელა ნამდვილი პროფესიონალია..."*

კიდევ ერთი, არანაკლებ საინტერესო ინფორმაცია "ფულჰემის" შესახებ. "სანდი მირორის" ცნობით, "ვესტ ჰემთან" წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ, **კია ჯურაბჩიანმა** სწორედ ამ კლუბის შეძენა გადაწყვიტა და **მოჰამედ ალ ფაიედთან** მოლაპარაკებებიც გააჩაღა. ჯურაბჩიანი 80 მილიონ გირვანქას იხდის. "სანდი მირორი" იმასაც გვაუწყებს, რომ მხარეებმა პირობა დადეს, გარიგებამდე ყველანაირი ინფორმაცია საიდუმლოდ შეინახონ. ჯურაბჩიანსა და მის კონსორციუმს კონსულტაციებს უწევს "ვესტ ჰემის" ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი **პოლ ოლდრიჯი**.

დაპირისპირება

პირსი სიტის წინააღმდეგ

ნაკრები ან კლუბი: გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებენ...



სტიუარტ პირსი

სტიუარტ პირსი "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა. მწვრთნელი დირექტორატთან შეუთანხმებლად ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების განვრთნას დათანხმდა. მისი დებიუტი 7 თებერვალს, დერბის "პრაიდ პარკზე", ესპანეთთან ამხანაგურ მატჩში უნდა შედგეს. მაგრამ "სიტის" ბოსები პირსს ნაკრებში არ უშვებენ. ისინი თანახმანი არიან, სტიუარტმა ინგლისელი ჭაბუკები ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანოს. ამხანაგური თამაშებისთვის კი მისი გათავისუფლება არ სურთ. მანჩესტერელთა ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ: *"ვაფასებთ სტიუარტის პატრიოტიზმსა და ენთუზიაზმს. ვაფასებთ იმასაც, რომ ასოციაციამ სწორედ "მანჩესტერ სიტის" მწვრთნელს შესთავაზა თანამშრომლობა. ასოციაციასთან მოლაპარაკებები გრძელდება. იმედია, ორივე მხარისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მივიღებთ."*

შაბათს "სიტიმ" ასოციაციის თასის 1/16 ფინალში "საუთჰემპტონს" 3:1 მოუგო. ნამატჩევს პირსს ამ თამაშზე არ უსაუბრია და მხოლოდ ნაკრებთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხობდა: *"კლუბი შიშობს, რომ თუ ორ თანამდებობას შევითავსებ, "სიტის" ყურადღება მოაკლდება. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ნაკრების მწვრთნელობა საკლუბო საქმიანობაში ხელს არ შემიშლის. ამიტომაც დავთანხმდი ასოციაციის შეთავაზებას. უმნიშვნელო ეჭვის შემთხვევაშიც კი ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი."*

ჰართსი: მინუს ორი ლიდერი?

შაბათს "ჰართსი" "რეინჯერსს" ესტუმრა და საპატიო ფრეს დასჯერდა, 0:0. ედინბურგელ გულშემატკივარს განსაკუთრებული სიხარული არ გამოუხატავს, რადგან თამაშის წინ გავრცელდა ინფორმაცია ორი წამყვანი ფეხბურთელის ტრანსფერის შესახებ. მეკარე **კრეიგ გორდონმა** და ნახევარმცველმა **პოლ ჰარტლიმ** კლუბის დატოვება გადაწყვიტეს. ჰარტლი "რეინჯერსში" მიდის. მისი ტრანსფერის დეტალები უცნობია. გორდონი კი 4 მილიონი გირვანქა ღირს და "ფულჰემი", "ვესტ ჰემი", "არსენალი" და "ბაიერნი" სთავაზობენ კონტრაქტს.

რეალს თავდამსხმელი დასჭირდა

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე "რეალმა" თავდასხმის გაძლიერება გადაწყვიტა. **ფერნანდო გახოსა** და **გონსალო იგუაინის** ტრანსფერების შემდეგ სამეფო კლუბმა საფულე აგვისტოსთვის გადაინახა, მაგრამ ტრავმებმა დირექტორთა გეგმები თავდაყირა დააყენა. გუშინ სპორტული დირექტორი **პედია მიატოვიჩი** პრეზიდენტ **რამონ კალდერონსა** და მთავარ მწვრთნელ **ფაბიო კაპელოს** შეხვდა. მათ აზრები შეაჯერეს და გადაწყვეტილებაც მიიღეს. თუ რა გადაწყვეტილება, ამას ძალიან მალე შევიტყობთ. "რეალს" თავდასხმაში მას მერე შეექმნა პრობლემები, რაც **რაული** და **გუტი** დაუშავდა, **რონალდომ** კი მილანს მიაშურა.

რიკელმე ბოკა ხუნიორსში?

ხუან რომან რიკელმეს "ბოკა ხუნიორსიც" შეეხმიანა. თუ არგენტინელი "ვილიარეალს" გამოეთხოვება, შეუძლია, ბაირესში დაბრუნებაზეც იფიქროს. რიკელმეს ესპანურ კლუბში 17 დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია. მთავარმა მწვრთნელმა **მანუელ პელეგრინიმ** ფეხბურთელი გუნდიდან მოკვეთა. "ვილიარეალის" პრეზიდენტმა, **ფერნანდო როიგმა** განაცხადა, რომ რიკელმეს შეძენა რამდენიმე კლუბს სურს, მაგრამ ტრანსფერთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ არ მიულიათ. 28 წლის ხუან რომანს "ინტერიც" ეპატიჟება. "როსონერი" **ლუიზ ფიგუს** შემცვლელს ეძებს, მაგრამ რიკელმეს შეძენას აგვისტოს ტრანსფერებამდე არ აპირებს.

ინტერვიუ ფერნანდო მორიენტესთან

ინგლისური ფეხბურთი საჩემო არ ყოფილა

ესპანეთში დაბრუნებისთვის მორიენტესი ვალენსიას მადლობას უხდის

მსოფლიო ჩემპიონატის წინ ლუის არაგონესმა ფერნანდო მორიენტესი შინ დატოვა. ფორვარდის იმედგაცრუება დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ეგონა, რომ მწვრთნელი გერმანიაში უსათუოდ წაიყვანდა. ამის მიუხედავად, ის არავის საყვედურობს და არაფერზე ნუწუნებს. ელიტურ ფეხბურთში გატარებული 15 წლის შემდეგ, კარგად იცის, როგორ არის მოწყობილი საფეხბურთო სამყარო. საკმარისია, მისი ტიტულების ნუსხას გადახედო და დარწმუნდები, რომ 30 წლის ფორვარდს საფეხბურთო ფორტუნა ზურგს არასოდეს აქცევდა. „რეალთან" ერთად სამჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასი და ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატებზე გატანილი ხუთი გოლით ამ ტურნირის ყველაზე შედეგიანი ესპანელი ბომბარდირია რაულთან და ემილიო ბუტრაგენიოსთან ერთად. თავად ამბობს, კარიერაში წარუმატებელი ეტაპები არ მქონიაო – არც „რეალიდან" წასვლას და არც ნაკლებად შედეგიან ინგლისურ პერიოდს მიიჩნევს ასეთად. ზაფხულში „ვალენსიაში" გადასვლის შემდეგ მორიენტესმა თავისი გოლეადორული თვისებები დაიბრუნა და ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ პირადი მიღწევების შთამბეჭდავ ნუსხას ახალი ტიტულები წელსვე შემატოს.

- პრიმერა დივიზიონში პირველი წრე დასრულდა. როგორ იყო თქვენთვის სეზონის პირველი ნახევარი?

- ვფიქრობ, მთლიანობაში საკმაოდ წარმატებული იყო. ბრწყინვალე სტარტი ავიღეთ, მერე გარკვეულ პრობლემებს წავაწყდით, მაგრამ ეს პრობლემები ძირითადად ტრავმების სიმრავლით იყო გამოწვეული. ასეა თუ ისე, იმდენი შევძელით, რომ პირველი წრე ლიდერებთან ორქულიანი ჩამორჩენით დაგვესრულებინა, გარდა ამისა, ჩემპიონთა ლიგის 16 საუკეთესო გუნდს შორის ვართ.

- გამოდის, რომ პრიმერა დივიზიონში დაბრუნებით კმაყოფილი ხართ.

- დიახ, რა თქმა უნდა. ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო და ამბიციურ კლუბში ვთამაშობ, „ვალენსიასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ვიბრძვი. როცა გუნდის მიზანი ასეთი პრესტიჟული ტურნირის მოგებაა, პროფესიონალ ფეხბურთელს ეს უდიდეს მოტივაციას აძლევს.

- წინა უქმეებზე „ბეტისთან" წაგებამდე ჩემპიონატში ზედიზედ ექვსი შეხვედრა მოიგეთ და ამით თითქოს გასულ წელს ჩააბარეთ ის წარუმატებელი პერიოდი, რომელიც მანამდე გქონდათ.

- ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა ტრავმები მიიღო. იყო მომენტი, როცა 11-12 წამყვანი მოთამაშე გვაკლდა, ასეთი დანაკლისის კომპენსირება კი ძალიან ძნელი საქმეა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთბაშად სამ ტურნირში მონაწილეობ. წარუმატებლობა ასეთ დროს თითქმის გარდაუვალია, რადგან ფეხბურთელები არ გვყავდა, დანაკლისი რომ შეგვევსო. მართლაც ძალიან უიღბლო ერთი თვე გვქონდა, მაგრამ, ავად თუ კარგად, ის მაინც დავძლიეთ და სადღეისოდ საკმაოდ კარგი პოზიცია გვიკავია.

- არის კი პრიმერა დივიზიონში გამარჯვება „ვალენსიის" ნამდვილი მიზანი?

- მთელი ძალები ახლა ჩემპიონატს უნდა მოვახმაროთ და საბოლოო გამარჯვებაზე ვიფიქროთ, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც პრობლემები დავძლიეთ და ზედიზედ ექვსი შეხვედრის მოგება მოვახერხეთ. გამარჯვების აზრი გონებაში სულ უნდა გვქონდეს და არ ვიფიქროთ მხოლოდ იმაზე, რომ პირველ ოთხეულში მოვხვდეთ. ლიდერებთან იმდენად ახლოს ვართ, რომ რაც შეიძლება მაღალ ადგილს უნდა დავუმიზნოთ.

- უკვე ყველა მეტოქესთან უშუალოდ ითამაშეთ. რომელ გუნდს მიიჩნევთ ჩემპიონატის ფავორიტად?

- წმინდა საფეხბურთო ასპექტების გათვალისწინებით, ამ მომენტში „სევილიას" დავასახელებდი, რადგან „რეალსაც", „ბარსელონასაც" და ჩვენც გარკვეული ჩავარდნა გვქონდა, სამივემ გამოვცადეთ სირთულეები. ვფიქრობ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა იმ გუნდებს შორის გაიმართება, რომლებიც პირველ ექვს საფეხურს იკავებენ, თუმცა იმ პირობით, თუ ყველა მათგანი ფორმას სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებს. მთავარი ახლა იწყება.

- თებერვლის ბოლოს ჩემპიონთა ლიგაც განახლდება. თქვენი მეტოქე „ინტერი" იტალიის ჩემპიონატში დაუმარცხებელი ჩანს. აქვს კი „ვალენსიას" გამარჯვების შანსი მილანური გუნდის წინააღმდეგ?

- ვიცით, რომ ბრწყინვალე ფორმაში არიან და, რომ იტალიის ჩემპიონატში რეალური მეტოქე არ ჰყავთ. თამაშს თამაშზე იგებენ და ეჭვი არაა, რომ მათი დამარცხება უმძიმესი ამოცანა იქნება. ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გასვლამ საბოლოო ჯამში დიდი ვერაფერი უპირატესობა მოგვცა, რადგან კენჭისყრამ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს შეგვახვედრა. მაგრამ ჩვენ გვჯერა საკუთარი ძალების და ძალიან ოპტიმისტურად ვაფასებთ ჩვენს შანსებს ჩემპიონთა ლიგაში. და თუ ისე მოხდა, რომ „ინტერის" დონის გუნდი დავამარცხეთ, ამით ისეთ სტიმულს მივიღებთ, რომ ვეღარაფერი შეგვაჩერებს.

- ჩემპიონთა ლიგაში თქვენ არაერთი წარმატება გქონდათ. მადრიდის „რეალთან" ერთად ეს ტურნირი სამჯერ მოიგეთ, „მონაკოს" მაისურით კი ერთხელ ფინალში ითამაშეთ და მაშინდელი გათამაშების საუკეთესო ბომბარდირიც გახდით. არის თუ არა თქვენთვის ჩემპიონთა ლიგა განსაკუთრებული ტურნირი?

- ფაქტი ისაა, რომ ჩემთვის ეს ტურნირი ყოველთვის იღბლიანი იყო, დაწყებული პირველი შეხვედრით, რომელიც „რეალის" შემადგენლობაში ჩავატარე. და ის ყოველთვის განსაკუთრებული და გამორჩეული იყო. ჩემპიონთა ლიგას თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საკლუბო დონეზე ყველაზე პრესტიჟული გათამაშებაა, არამედ იმიტომაც, რომ იქ თამაშს სხვა ემოცია და სხვა მოლოდინი ახლავს თან. ამ ტურნირს ვერცერთ სხვას ვერ შევადარებ. ყველაფერთან ერთად, ჩემპიონთა ლიგა მასში მონაწილე კლუბებსა და ფეხბურთელებს სატრანსფერო თვალსაზრისითაც დიდ უპირატესობებს აძლევს.

- ზაფხულამდე პრემიერლიგაში თამაშობდით. რას განიცდით, როცა ინგლისში გატარებულ პერიოდს იხსენებთ?

- ბედნიერი ვარ, რომ ამ ქვეყანაში წასვლის შანსი მომეცა. მინდოდა, ძალები სხვა ჩემპიონატშიც მომესინჯა და გადასვლის დროც შესაფერისი იყო. აღფრთოვანებული ვიყავი, როცა ინგლისში თამაში დავიწყე. სამწუხაროდ, ვერ გავამართლე ის მოლოდინი, რომელიც კლუბსა და პირადად მე მქონდა. წელიწადნახევრის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემთვის უკიდურესად ძნელი იყო ინგლისური თამაშის სტილზე მორგება, როგორც პერსონალური, ისე წმინდა საფეხბურთო მიზეზების გამო. ამიტომ ჩავთვალე, რომ წასვლის დრო იყო. ინგლისური ფეხბურთი ძალიან განსხვავდება იმისგან, რომელსაც შეჩვეული ვიყავი. ერთია, როცა ინგლისელების თამაშს ტელევიზორით უყურებ და სულ სხვაა, როცა პრემიერლიგურ შეხვედრაში მოედანზე თავად გადიხარ და თამაშობ. ეს გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე გარედან ჩანს. როცა საქმე კარგად არ მიგდის, საუკეთესო გამოსავალი ისაა, რომ გარემო შეიცვალო. საბედნიეროდ, „ვალენსია" მზად იყო და ჩემთან კონტრაქტის გაფორმებას ელოდებოდა.

- მილიონობით გულშემატკივრის თვალში მაინც „რეალის" ფეხბურთელად რჩებით. იყო თუ არა მადრიდში გატარებული წლები ყველაზე ბედნიერი თქვენს კარიერაში?

- არა მგონია, რომ კარიერაში ოდესმე მქონოდა უსიამოვნო წლები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩემი ყველაზე დიდი მიღწევები სწორედ „რეალს" უკავშირდება. მადრიდიდან წარუშლელი მოგონებები გამომყვა, სამეფო კლუბმა ჩემს გულში სამუდამოდ დაიკავა განსაკუთრებული ადგილი. „რეალში" მრავალი სეზონი გავატარე და კლუბში დღემდე ბევრი მეგობარი მყავს.

- მადრიდულ გუნდს ზედმიწევნით კარგად იცნობთ, ჩემპიონატში ის ახლა პირველ სამეულშია, მაგრამ თამაშის ხარისხი გულშემატკივარს უკეთესის სურვილს უტოვებს. როგორ აფასებთ მადრიდელების წლევანდელ სეზონს?

- დროის ძალიან მცირე მონაკვეთში კლუბის შიგნით ბევრი ცვლილება მოხდა და ეს უსათუოდ მოახდენდა გავლენას ისეთი დიდი გუნდის სტაბილურობაზე, როგორიც მადრიდის „რეალია". ნებისმიერ კლუბში არსებობს იმის აუცილებლობა, რომ მოედანზე და ხელმძღვანელობაში არსებული სიტუაცია ერთმანეთთან ჰარმონიაში მოდიოდეს. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ის, რაც ხელმძღვანელობაში ხდება, ყოველთვის ახდენს გავლენას ფეხბურთელების განწყობაზე და მთლიანად გუნდის გამოსვლაზე.

- როგორ ფიქრობთ, გამოგიძახებენ ესპანეთის ნაკრებში ინგლისთან ამხანაგურ შეხვედრაში სათამაშოდ?

- ამას ნამდვილად ვერ გეტყვით. სიმართლე გითხრათ, ამ საკითხზე დიდად არც მიფიქრია, რადგან ჩემზე ეს ნაკლებად არის დამოკიდებული. ნაკრების ბოლო შეხვედრაზე მეც გამოძახებული ვიყავი, მაგრამ მართლა ძალიან ცუდად ვითამაშეთ. იმედი ვიქონიოთ, რომ სიტუაციას მალე გამოვასწორებთ.

- ესპანეთმა ის შეხვედრა რუმინეთის ნაკრებთან წააგო, მიუხედავად იმისა, რომ შეტევის ხაზი მთლიანად ვალენსიური იყო. საკლუბო დონეზე ეს თავდასხმა აშკარად ამართლებს, მაგრამ პრობლემა ხდება, როცა საქმე სანაკრებო ფეხბურთზე მიდგება. რა არის მიზეზი?

- ხანდახან ისე არ წაგივა თამაში, როგორც თავად გინდა. კარგი ისაა, რომ მწვრთნელს სანდო თავდამსხმელების დიდი არჩევანი აქვს. ეჭვი არაა, რომ ესპანეთს ბევრი მაღალი კლასის მოთამაშე ჰყავს, მაგრამ გამარჯვების ფორმულას როგორც ჩანს ისევ ვერ მივაგენით. ესპანელები თავიანთ კლუბებში მართლაც ბრწყინვალედ გამოდიან, მაგრამ იგივეს გაკეთება სანაკრებო დონეზე რატომღაც უჭირთ. ასე გრძელდება ათწლეულების განმავლობაში. დღეს ისე ლაპარაკობენ, თითქოს ადრე ასე არ იყო და მხოლოდ ახლაა, მაგრამ სინამდვილეში ეს ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა და უსიამოვნო ტრადიციად გვექცა. ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატის მოგება? ეს რომ მოხდეს, დიდი გამონაკლისი იქნება. ახლა მთავარია, რომ ევრო 2008-ის საგზური მოვიპოვოთ და ამით ეს უსიამოვნო პერიოდიც დასრულდება. ესპანეთი უბრალოდ ვალდებულია, რომ ევროპის ჩემპიონატზე იყოს. მაგრამ ძალიან არ მიყვარს ჩავარდნაზე ან კრიზისზე ლაპარაკი, როცა ყველაფერი გაიღე და დასახული მიზნის მისაღწევად თავი არ დაგიზოგავს. თუკი ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო, მაგრამ ისევ რჩებიან შენზე ძლიერი გუნდები, მაშინ უნდა ადგე და მათ წინაშე ქედი მოიხარო, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება, ძალიან მტკივნეული იყოს შენთვის და შენი ფანებისთვის.

- დღესაც გულდაწყვეტილი ხართ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი რომ გამოტოვეთ?

- ტურნირის დაწყებამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ წამიყვანდნენ და შინაგანად აღტაცებულიც ვიყავი. მაგრამ გუნდს მწვრთნელი არჩევს, ფეხბურთელი კი ვალდებულია, რომ მის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ რაოდენ ძლიერადაც არ უნდა გინდოდეს მუნდიალზე წასვლა, ეს შენზე დამოკიდებული არ არის. სხვა რა გზა მქონდა, მსოფლიო ჩემპიონატს ოჯახთან ერთად მშობლიურ ქალაქში ვუყურებდი და ისევე განვიცდიდი, როგორც ყველა ესპანელი გულშემატკივარი.

გოგა ახალაძე

კოპა ამერიკა ერთ-ერთ წელს ვენესუელაში

"კოპა ამერიკის" წლევანდელი გათამაშება ვენესუელაში ჩატარდება. ქვეყნის ხელისუფლებამ მოსამზადებელი სამუშაოები დროულად ვერ დაასრულა. ვარაუდობდნენ, რომ ტურნირს მექსიკაში გადაიტანდნენ. გასულ უქმეებზე ვენესუელას სამხრეთი ამერიკის საფეხბურთო კონფედერაციის (კონმებოლის) დელეგაცია ეწვია და ვითარება შეისწავლა. კონმებოლის პრეზიდენტი **ნიკოლას ლეოსი** ნანახით კმაყოფილი დარჩა და თქვა, რომ შეშფოთების საფუძველს ვერ ხედავს: *"ვენესუელელები მუხლჩაუხრელად შრომობენ და ტურნირისთვის 9 ახალ სტადიონს ამზადებენ. გადაწყვეტილება არ შეიცვლება. ვგრძნობ, თუ რას ნიშნავს ამ ქვეყნისთვის "კოპა ამერიკის" დონის ტურნირის მასპინძლობა."*

უკვე ცნობილია, რომ 2009 წელს ამერიკის თასს არგენტინა უმასპინძლებს. 1986 წელს სამხრეთამერიკელებმა როტაციული სისტემა შემოიღეს და ორ წელიწადში ერთხელ ტურნირს რიგრიგობით, კონტინენტის ყველა ქვეყანაში მართავენ.

ათლეტიკო

როხიბლანკო 12 წლის არგენტინელს იყიდის

"ათლეტიკოს" ხელმძღვანელობა სარისკო ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგა. მადრიდელებმა "ბოკა ხუნიორსის" საბავშვო სკოლიდან 12 წლის ფეხბურთელის, **მარტინ აკებედოს** გადაბირება გადაწყვიტეს. უდავოა, რომ საქმე უნიჭიერეს ბიჭუნას ეხება. აკებედო ესპანელმა სკაუტებმა არონაში გამართულ ტურნირზე შენიშნეს და აღფრთოვანებულები დარჩნენ. შემდეგ მას ბუენოს აირესშიც ჩააკითხეს და დამატებით რამდენიმე მატჩს დაესწრნენ. მარტინს ფენომენალური მონაცემები აქვს. თავად არგენტინელები ამბობენ, რომ ამ ასაკში ასეთი უნარები **დიეგო მარადონასაც** არ ჰქონიაო.

"ათლეტიკოს" პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** არ ითაკილა და 12 წლის ბიჭუნას საკითხს პირადად მოჰკიდა ხელი. "როხიბლანკო" მზადაა მარტინი საკუთარ საბავშვო სკოლაში ჩარიცხოს, სწავლის ფული თავად გადაუხადოს, სტიპენდიაც დაუნიშნოს და მშობლების ბედნიერი მადრიდული ცხოვრება უზრუნველყოს. დიახ, "ათლეტიკო" პატარა ფეხბურთელს კომფორტულ სახლს დაუქირავებს, მშობლებს კი ფაქტობრივად მუქთა ხელფასს გადაუხდის. აკებედოს მამა ამ შეთავაზებით აღფრთოვანებული დარჩა და პირენეელების წინადადებას სიხარულით დათანხმდა. იქიდან გამომდინარე, რომ მარტინი არასრულწლოვანია, "ბოკა ხუნიორსს" მასთან კონტრაქტი არ აქვს გაფორმებული და "როხიბლანკოს" ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. არგენტინელები შიშობენ, რომ ბიჭუნას მადრიდში ქუჩის ფეხბურთის თამაშის საშუალება არ მიეცემა და ველარ განვითარდება.

მოსალოდნელი გარიგება

მარსელი 115 მილიონად

შეთანხმება უახლოეს დღეებში გაფორმდება

"მარსელის" ხელმძღვანელობამ მოიწონა კანადელი ბიზნესმენის, **ჯეკ კაჩკარის** წინადადება და უახლოეს დღეებში გარიგებას სრულყოფს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, კაჩკარი 115 მილიონ ევროს გადაიხდის და "ოლიმპიკის" ერთპიროვნული მესაკუთრე გახდება. გუშინ კანადელი ინვესტორი "მარსელის" დირექტორატის 17 წევრს, აგრეთვე კლუბის აღმასრულებელ დირექტორ **ტიერი დე ლა როსესა** და პრეზიდენტ **პაპე დიუფს** შეხვდა და ბოლო დეტალები შეათანხმა.

43 წლის კაჩკარი სომხური წარმომავლობის კათოლიკეა. ის სირიაში დაიბადა, ბავშვობის წლები ლიბანში გაატარა, შემდეგ კი მშობლებთან ერთად ამერიკაში გადასახლდა. კაჩკარი ფარმაცევტული კომპანია "ინიქსის" პრეზიდენტია. ამ კომპანიას ჩრდილოამერიკასა და ევროპაში 575 თანამშრომელი ჰყავს. ინვესტორი "მარსელის" კომერციული პოტენციალის სრულად ამოქმედებას აპირებს.

ოფიციალური პირების გარდა, "ოლიმპიკის" მომავალი ბოსი კლუბის რვა ფანკლუბის წევრებსაც შეხვდა. გულშემატკივრები შეხვედრით კმაყოფილნი დარჩნენ, იქიდან გამოსულებმა თქვეს, რომ კაჩკარის გულწრფელობაში ეჭვი არ ეპარებათ და მას სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ნარმოგიდგენთ

ჭიდათბურთი

ხოშტარია!

საქართველოს თასი. ფინალი

29 იანვარი, ვერის პარკი

აზოტი–ავიამშენი 79:83

20:15, 13:24, 17:25, 29:19

აზოტი	ქ	მ	პ	ჩ	დ	ფ	შ
გამყრელიძე	5	3	4	2	0	5	3
ბეჭანიშვილი	13	1	2	1	1	5	1
ტულუში	28	7	5	1	1	4	1
მარკოიშვილი	8	3	0	0	0	2	2
უგრეხელიძე	7	16	4	0	2	4	4
გოისა	0	3	0	0	0	3	3
დიდია	0	0	0	0	0	2	0
გოგობერიშვილი	16	3	0	0	1	2	1
ტუჯანი	0	1	0	0	0	0	1
ბერძენიშვილი	2	1	0	0	0	0	0

ავიამშენი	ქ	მ	პ	ჩ	დ	ფ	შ
დ. ბერიშვილი	4	3	1	0	0	2	1
ბაგიაშვილი	15	7	0	1	1	5	2
ხოშტარია	26	12	3	2	0	4	2
კეიდია	0	0	1	0	0	2	1
სუხიშვილი	1	1	0	0	0	2	0
ნიკოლაძე	6	0	0	0	0	5	2
ი. ბერიშვილი	11	3	12	2	0	4	2
როდუმტა	11	8	1	1	2	2	2
ბარბაძაძე	9	2	1	1	1	4	1

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

საქართველოს თასი ავიამშენის კაპიტანმა ირაკლი ხოშტარიამ ჩაიბარა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

პლასიდე როდუმტა (14) რამაზ გოგობერიშვილის (13) და კოტე ტულუშის გარემოცვაში

"ავიამშენი" თასის ფინალში დაარსების პირველივე სეზონში გავიდა, მაგრამ სტუ-სთან ნააგო, "ავიატორებმა" მომდევნო წელსაც იგივე გაიმეორეს, ოლონდ შარშან თსუ-სთან დამარცხდნენ.

"მესამედ წაგება უკვე აღარ შეიძლებოდა, "აზოტთან" ფინალის სათამაშოდ სათანადოდ განვეწყეთ და შედეგმაც გვიჩვენა, რომ ჩვენ უფრო გვინდოდა და გვეკუთვნოდა მოგება", - მატჩის შემდეგ შუბლზე ოფლი მოიწმინდა **ირაკლი ბერიშვილმა**.

პირველი მეოთხედი "აზოტმა" 20:15 მოიგო, რაც "ავიამშენის" გამოსაფხიზლებლად საკმარისი აღმოჩნდა: **დავით უგრეხელიძის** არყოფნაში "ავიატორებმა" ფარქვეშიდან 9 უპასუხო ქულა ჩააგდეს (როდუმტამ - 5, ბარბაქაძემ - 4), 24:20 დაწინაურდნენ და ამის შემდეგ მეტოქისთვის გადასწრების საშუალება არ მიუციათ.

"აზოტს" შეტევაში ძალიან გაუჭირდა - პირველ 18-დან 5 ორქულიანი ჩააგდო, მაშინ, როცა მეტოქემ 26-დან 12 ტყორცნა გამოიყენა. "პირველ ნახევარში დაცვაში კარგად ვითამაშეთ. განსაკუთრებით, წინახაზელებით ვარ კმაყოფილი - **ჯერ სუხიშვილმა**, შემდეგ - **როდუმტამ** დავით უგრეხელიძეს მხოლოდ 7 ქულის ჩაგდების უფლება მისცეს". - კმაყოფილი იყო **ლევან მოსეშვილი**.

დაცვაში გამართულმა თამაშმა "ავიამშენს" შეტევაში თავდაჯერება შემატა. გუნდს არც დავით ბერიშვილის დაშვების შემდეგ დატყობია რამე - ირაკლი ბერიშვილი პასებს კარგად ანაწილებდა (საბოლოოდ 12 შედეგიანი გადაცემა მოუგროვდა), **ირაკლი ხოშტარია** ქულას ქულაზე აგდებდა, ხოლო როდუმტა ფარქვეშ ჭიანჭველასაც არ აჭაჭანებდა. ასეთმა დალაგებულმა თამაშმა მესამე პეროიდის ბოლოსთვის "ავიას" 21-ქულიანი დაწინაურება გამოიწვია - 64:43.

"მეოთხე ათწუთეულის დასაწყისში მცირე ჩავარდნა გვქონდა, - იხსენებს **ირაკლი ხოშტარია**. - *ეს ჩვეულებრივი ამბავია და ყოველთვის უნდა ეცადო, რომ "აზოტის" დარ ძლიერ მეტოქესთან ნაკლები შეცდომები დაუშვა. ჩვენი ოდნავი მოდუნება რუსთაველებმა კარგად გამოიყენეს, გამყრელიძემ და გოგობერიშვილმა თითო, ტულუშმა ორი სამქულიანი ჩაგვიგდო და სხვაობა ერთ ქულამდე შეგვიმცირეს..."*

ხოშტარიამ ტულუში ახსენა. ეს ის გვარებია, რომელთა პატრონების ჭიდილს უნდა გადაეწყვიტა გამარჯვებულის ვინაობა.

საფინალო სირენამდე ზუსტად ერთი წუთით ადრე საუკეთესო აზოტელი **კოტე ტულუში** საჯარიმოს ხაზთან დადგა და თუ ორივე ტყორცნას გამოიყენებდა, სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდებოდა. კოტეს მატჩის გმირობის შანსი ბოლო წამებზეც ჰქონდა. მაგრამ მისი ნატყორცნის შემდეგ ირაკლი ხოშტარიამ მეთორმეტე მოხსნა ჩაინერა და 2 წამით ადრე საფინალო ანგარიში დააფიქსირა - 83:79.

მატჩის გმირიც ხოშტარია გახდა, რომელმაც 26 ქულას 12 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მიამატა. მას კომპანია ლუკოილისგან საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი 1 000-ლარიანი პრიზი ერგო.

ირაკლის სტატისტიკაზე საუბარი იოლია, თუმცა მეორე მხრივ შესაშურ მდგომარეობაში ნამდვილად არ გახლავთ: *"ქუსლი ძალიან ცუდ მდგომარეობაში მაქვს. დღეს, წესით, არ უნდა მეთამაშა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და მატჩის წინ გამაყუჩებელი ნემსი გავიკეთე. ალბათ, ორ კვირას გამოვტოვებ..."*

ტურნირის სნაიპერ **გიორგი შერმადინს** რადიო "ჯაკოსგან" DVD გადაეცა, ხოლო თასის გათამაშების კულმინაცია "ავიას" კაპიტან ირაკლი ხოშტარიას მიერ თასის (რომელიც საფეხბურთო ჩემპიონთა თასს მოგაგონებთ) აღმართვა იყო.

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერები

ორჯერ ორი და 11 კუბში

მოთამაშე	ტურნირი	თარ.	მატჩი	წ.	მ	პ	ჩ	ძ
ზაზა ფაჩულია	NBA	23.01	ჩიკაგო-ატლანტა 94:86	27	12	2	1	6
		24.01	ბოსტონი-ატლანტა 76:82	28	9	1	1	10
		26.01	ორლანდო-ატლანტა 90:93	23	6	3	2	6
		27.01	ატლანტა-ფილადელფია 89:104	26	9	0	1	7
ვიქტორ სანიკიძე	ევროთასი	23.01	ესტუდიანტესი-ლიეჟი 93:81	14	2	2	0	4
	ესპანეთი (ჩ.)	27.01	ესტუდიანტესი-ხუვენტუდი 75:83	5	5	0	0	2
ნიკა ცქიტიშვილი	ესპანეთი (ჩ.)	27.01	კახა-ალიკანტე 71:79	9	5	0	0	2
ვატო ნაცვლიშვილი	ევროთასი	23.01	კალევა-ლიჟონი 74:75	23	1	2	4	4
	საფრანგეთი (ჩ.)	27.01	ლიჟონი-შალონი 77:84	20	5	5	1	9
ვლადიმერ ბოისა	იტალია (ჩ.)	27.01	კლიმამიო-მონტეპასკი 81:85	6	0	0	0	3
ტაირონ ელისი	ევროლიგა	25.01	ფენერბაჰჩე-ნაპოლი 88:93	37	6	5	2	29
	იტალია (ჩ.)	28.01	ბენეტონი-ნაპოლი 74:64	28	0	0	0	13
მანუ მარკოიშვილი	ევროლიგა	25.01	ოლიმპია-მაქაბი 77:75	36	1	3	1	13
	ადრიატიკა	27.01	ჰემოფარმი-ოლიმპია 78:76	35	6	5	0	11
გიორგი ცინცაძე	ესტონეთი (ჩ.)	23.01	ფაუსტო-როკი 74:91	25	3	5	1	12
	ბალტიის თასი	27.01	კალევა-როკი 74:85	33	2	2	1	13
ნოდარ შენგელია	ლიტვა (ლიგა)	26.01	ნაფტა-აპაჯემია 92:74	36	14	2	1	7
გიორგი გაფრინდაშვილი	ლატვია	20.01	ასკ-ვალმეირა 89:87	36	7	4	1	8

კვირის მიმოხილვა ესპანეთიდან დავიწყოთ, სადაც ორი ქართველი საბოლოოდ ჯერაც ვერ მოერგო საკუთარ კლუბებს. **ვიქტორ სანიკიძე** და **ნიკა ცქიტიშვილი** შესაბამისად "ესტუდიანტესსა" და "კახა სან ფერნანდოში" დაგვიანებით ჩავიდნენ და სათამაშო დრო "შეზღუდვით მიეწოდებათ".

27 იანვარს ვიქტორმაცა და ნიკამაც თავი უმთავრესად დაცვაში თამაშით გამოიჩინეს - 5-5 მოხსნა. ასევე მსგავსი შედეგი ჰქონდათ შეტევაში - 2-2 ქულა. სამწუხაროდ ქართველთა გუნდებმაც ერთმანეთს მიბაძეს და საშინაო მატჩები დათმეს, "კახამ" "ალიკანტესთან" (71:79), "ესტუმ" - "ხუვენტუდთან" (75:83).

ესპანეთის ჩემპიონატი. 19 ტურის შემდეგ. 1. რეალი - 17 მოგება, 2. ტაუ - 16, 3. ხირონა - 14, 4. ხუვენტუდი - 12, 5. ბარსელონა - 11, 6. უნიკახა - 10, 7. გრან კანარია - 10, **8. კახა - 10**, 9. ფუენლაბრადა - 9, 10. ვალენსია - 9, 11. მურსია - 8, 12. გრანადა - 8, 13. ალიკანტე - 8, 14. ბილბაო - 7, **15. ესტუდიანტესი - 7**, 16. ბრუესა - 6, 17. მენორკა - 4, 18. ვალიადოლიდი - 4.

სამაგიეროდ, სლოვენიის "ოლიმპიაში" მოასპარეზე **მანუჩარ მარკოიშვილს** აქვს "თავზესაყრელი" სათამაშო დრო - მოედანზე 35 წუთზე ნაკლებს მაშინ ატარებს, თუ 5 ფოლს ნაადრევად მიიღებს. მანუ ბოძებულ დროს არ ფლანგავს და სტატისტიკურ მონაცემებს დღითი-დღე აუმჯობესებს.

ადრიატიკის თასზე სერბულ "ჰემოფარმთან" მატჩში "ოლიმპიას" მე-11 ნომერმა 11 ქულა ჩააგდო, 6 მოხსნა, 5 პასი დააგროვა (ჯამში ესეც 11-ია) და ოქმში მარგი ქმედების კოეფიციენტადაც 11 ჩაიწერა. მანუს თანაგუნდელებისთვის კი, "ჰემოფარმთან" მარცხი (76:78) ადრიატიკის თასზე მე-11 იყო...

ადრიატიკის ლიგა. 19 ტურის შემდეგ. 1. ციბონა - 15 მოგება, 2. პარტიზანი - 14, 3. ჰემოფარმი - 14, 4. ფმპ - 14, 5. ბუდუჩნოსტი - 12, 6. ცრვენა ზვეზდა - 11, 7. ზადარი - 11, 8. ჰელიოსი - 9, **9. ოლიმპია - 8**, 10. ზაგრები - 7, 11. ბოსნა - 7, 12. შიროკი - 7, 13. სპლიტი - 2, 14. სლოვანი - 2.

მარკოიშვილისგან განსხვავებულ სიტუაციაშია **ვლადიმერ ბოისა** - მისი "მონტეპასკი" თამაშს თამაშზე იგებს, მაგრამ თავად ვოვა ძალიან ცოტას თამაშობს. შაბათს, ბოლონიაში "კლიმამიოსთან" სახელოვან გამარჯვებაში ჩვენიანმა მხოლოდ 3-ქულიანი (2-დან 1 სამიანი გამოიყენა) წვლილი შეიტანა. ეს ყველაფერი 6 წუთში ჩატია.

იტალიის ჩემპიონატი. 17 ტურის შემდეგ. 1. **მონტეპასკი - 14 მოგება**, 2. ვიდივიჩი - 13, 3. მილანი - 11, 4. ბენეტონი - 10, 5. ვარეზე - 10, 6. ნაპოლი - 10, 7. პრემიატა - 9, 8. რომა - 9, 9. უპეა - 9, 10. ბიელა - 8, 11. კლიმამიო - 8, 12. ლეგეა - 8, 13. კანტუ - 7, 14. სნაიდერო - 7, 15. ტერამო - 7, 16. რეჯო ემილია - 5, 17. აველინო - 4, 18. ლივორნო - 4.

გასულ კვირას ესტონური "კალევი" საშინაო კედლებში ორმა ქართველმა დაამარცხა - ევროთასზე **ვატო ნაცვლიშვილმა** ("დიჟონი"), ხოლო ბალტიის თასზე **გიორგი ცინცაძემ**. შაბათის მატჩი გიორგიმ ჩვეული დამაჯერებლობით ჩაატარა, 33 წუთში 5-დან 3 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი ჩააგდო და 13 ქულას 2-2 მოხსნა-პასი მიამატა.

გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 3 თებერვლის ბალტიის "ოლ სტარში" ვერ ითამაშებს (ფეხის ტრავმის გამო) ყაზგირისელი **მარკო პოპოვიჩი**, რომლის ადგილი სასტარტო შემადგენლობაში **გიორგი ცინცაძემ** უნდა დაიკავოს.

ბალტიის თასი. LL ჯგუფი. 5 ტურის შემდეგ. 1. **როკი - 5 მოგება**, 2. ნევეჟისი - 3/3. კალევი - 3, 4. ნეპტუნასი - 3, 5. საკალა - 1, 6. ლიეპაია - 1, 7. პანევეჟისი - 1, 8. ატლეტასი - 0.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

მრგვალი მაგიდის მაგიერ

ვრცობლობა

ვის უხმობს ზარი?

ეს იყო და, იმავდროულად, არც იყო "მრგვალი მაგიდა". ფორმაზე მეტად, უფრო შინაარსს ვგულისხმობთ. მთავარი თემა - მოზარდთა სპორტი და მისი მომავალი ბედი.

ბათუმში, ორიოდე დღის წინათ, მრავალსართულიანი შენობა დაანგრიეს - სოლიდური თანხის საფასურად - ინგლისელებმა დიდოსტატურად ჩაკეცეს და ჩააქციეს ეს ვებერთელა ნაგებობა. სასეირო იყო სანახავად. შემცქერლებიც ჰყავდა.

ამ ამბავს, ბავშვთა სპორტთან რა ანალოგი აქვსო, იტყვით. ნგრევასო - გიპასუხებენ ის სპეციალისტები, ქართული სპორტის რეზერვის აღზრდაზე ვინც ირჯება არა ერთი და ორი წელიწადი. თანაც მიიჩნევენ, ნგრევა მათ სფეროში ფულს არა თუ მოითხოვს, პირიქით, ბიუჯეტს ათავისუფლებს "ზედმეტი დაფინანსებისგან". ხვდებით, ალბათ, თუ ვის და რის ხარჯზე. ფულს ბავშვების სპორტულ სექციაში ვარჯიშისთვის გადაიხდიან მშობლები. სადღაც მნვრთნელებიანად ამ გადასახადით იარსებებს.

"ნუ იზამთ ამას. ბოლოს და ბოლოს, ნუ ვიჩქარებთ, ნუ დავლუპავთ ქართულ სპორტს", - ესეც იმ სპეციალისტების საერთო აზრია.

ბატონი ბრძანდებით, არის და იყოს. საკმაოზე მეტია კონტრარგუმენტებიც. და, იმ სიმბოლურ "მრგვალ მაგიდასთან" გამოიკვეთა, რომ ბევრი რამ, გაღმაა შესადავებელი. ამაზე ქვემოთ.

მონაცვლეობით ხან სასიამოვნო, მეტწილად უსიამოვნო მსჯელობა, ზემოხსენებულ პრობლემებთან დაკავშირებით, გუშინ გაიმართა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში. მიზეზი? განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, რომლითაც სამინისტრო ითხოვს, განათლების სისტემაში შემავალი ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, დააფუძნოს სპორტის სახელმწიფო სტრუქტურამ. საქმეში გარკვევა და დასკვნების მომზადება ხელმძღვანელობამ დაავალა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, **გია გალდავას**. დიალოგსაც ის უძღვებოდა.

არა, აქ დაპირისპირება არ ყოფილა, მაგრამ იყო პოზიციების შეჯერება-მსჯელობა არგუმენტების მოხმობით და, რაც მთავარია, კეთილგანწყობით, რასაც ტონი თვით გალდავამ მისცა. აქვე ვიტყვით: ამ შეკრებებზეც გამოჩნდა, რომ მოუთათბირებლად, "ასე მინდა და ასე იქნებას" პოლიტიკით საკითხების გადაჭრას, ყოველთვის სჯობს სპეციალისტებთან მოსაზრებების შეჯერება.

განსჯის საგანი: ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნება და გადასვლა თვითდაფინანსებაზე, დაქვემდებარების შეცვლით სტატუსთან ერთად.

სპორტის დეპარტამენტის პოზიცია: *"ჩვენ ვერ დავაფუძნებთ ვერც ერთ სკოლას, თუ მას არ გააჩნია საკუთარი სპორტული ბაზა, ესაა კატეგორიული მოთხოვნა. ვიმეორებ, სპორტსკოლას უნდა გააჩნდეს სპორტული ბაზა და არა სამუშაო კაბინეტი. განათლების სისტემის სკოლებს კი არ აქვთ საკუთარი ბაზა, ერთი-ორი, ისიც, სადავო გამონაკლისის გარდა"* (გ. გალდავა).

რა ელით ბავშვებს - სპორტში აქტიური მეცადინეობა თუ მხოლოდ თვალის დევნება?..

განათლების სისტემის სპორტსკოლების ხელმძღვანელთა პოზიცია: "განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემუშავებული აქვს ბავშვთა სპორტის განვითარების 2005-2009 წლების ხუთწლიანი პროგრამა, სადაც კონკრეტულადაა მითითებული და გაწერილი სისტემის სპორტსკოლების დაფინანსება. ნუ ავჩქარდებით, შესრულდეს ეს პროგრამა, თან 2009 წლამდე დარჩენილი დრო ჩავთვალოთ გარდამავალ პერიოდად და მერე უმტკივნეულოდ გადავიდეთ ახალ სისტემაზე თუ ეს გარდაუვალია. ღმერთმა ნუ ქნას და, პეკინის ოლიმპიადაზე ხელი რომ მოეცაროს საქართველოს სპორტსმენებს, უეჭველად დაიწყებენ მიზეზების ძიებას. მიზეზი კი იქნება ის, ახლლავე თუ გადავალთ თვითდაფინანსებაზე. სად აქვს ოჯახებს სპორტულ სექციაში შვილისთვის გადასახდელი ფული. დაასახელეთ თუნდაც ერთი მაგალითი, რომ მდიდარი და შეძლებული ოჯახის შვილი გამხდარიყოს ოლიმპიური ან მსოფლიოს ჩემპიონი. მათ სპორტი გასართობად სჭირდებათ, ღარიბებს - კეთილდღეობის მოსაპოვებლად. რა არის ამაში გაუგებარი, მაშ რატომ?..

ნეგატივიც გამჟღავნდა: "ჩვენ დავაფუძნეთ 102 სპორტული სკოლა მთელ საქართველოში. ნახევარზე მეტს, რაც ვნახეთ, არ აქვს მუშაობის ნორმალური პირობები. მეტწილ ქალაქებსა და რაიონებში ჯგუფებიც არ მუშაობს. თვით ქუთაისში, ტანვარჯიშის სკოლაში ისიც ვერ გვითხრეს, როდის ატარებენ მეცადინეობებს, რუსთავშიც ცუდადაა საქმე, სხვაგანაც, განსაკუთრებით რაიონებში. ხელფასს იღებენ მუშაობა არ მიმდინარეობს. სპორტი ჩაკვდებაო, - იძახიან. მერედა, ვინ არის ეს მკვლელი? იქნებ, ყველაფერი თვით სპორტსკოლიდან იწყება. არის პრობლემები, რომელსაც სკოლა ვერ მოერევა სხვის დაუხმარებლად, მაგრამ ხომ არის ისეთიც, რაც შენი გასაკეთებელია? - წვრილმანი. არა, თითის განძრევა არ უნდათ. მოდით, ყველამ ერთად ვეძიოთ გამოსავალი და ყველაფერი საკუთარი თავიდან დავიწყოთ" (გ. გალდავა).

მოკლედ, შეხვედრის მონაწილეებისთვის ეს იყო უდავოდ სასარგებლო მსჯელობა, პრობლემებში საკუთარი წილისა და წვლილის დანახვით.

გადაწყვეტილება: არა, კატეგორიულად ასეთი რამ არ მიუღია "მრგვალ მაგიდას". ერთზე კი შეთანხმდნენ - არ აჩქარდებიან, ფორსირებულად არ მიიღებენ დასკვნას. სპორტული სკოლები დღესვე, 30 იანვარს, დეპარტამენტში წარადგენენ თავიანთ მონაცემებს. ასე შეთანხმდნენ. ჩაითვალა, რომ ამ შეხვედრით ე.წ. სამუშაო ჯგუფი შეუდგა საქმიანობას... ქართული სპორტის ხვალინდელი დღის საკეთილდღეოდ?

ცოტნე ბაძრაძე

ჭადრაკი

ირანში, კასპიის თასზე...

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ორი ვიცე-პრეზიდენტი, ვალერიან გაფრინდაშვილი და კახა შალამბერიძე, ამასწინათ იმყოფებოდა ირანში, ქალაქ რაშტში, სადაც კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების თასის გათამაშება ჩატარდა. გაფრინდაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა, შალამბერიძე კი მეექვსე იყო. გვესაუბრება კახა შალამბერიძე.

- ირანელ მოჭადრაკეებთან რამდენიმე წელია, ვთანამშრომლობ. ისინი სისტემატურად ჩამოდიან საქართველოში და რეიტინგტურნირებში მონანილეობენ. ქალაქ რაშტში, სადაც "კასპიის თასი" ჩატარდა, ირანელი მეგორების დახმარებით მოვხვდით. ტურნირი საკმაოდ ძლიერი იყო და კარგი შედეგიც ვაჩვენეთ. პირველ ადგილზე ირანის უძლიერესი მოჭადრაკე **გაემ მაგემი** გავიდა 8 ქულით. გაფრინდაშვილი მას ქულით ჩამორჩა, მე 6.5 დავაგროვე 9 შესაძლებლიდან.

"კასპიის თასის" დასრულების შემდეგ, სხვა ტურნირშიც ჩავებით. სისტემა განსხვავებული იყო: ირანელები მხოლოდ სტუმრებს ხვდებოდნენ, დანარჩენები კი - ყველას. ამ, ერთობ უჩვეულო სისტემაში ყველაზე უკეთ მე გავერკვიე და 9-დან 8 ქულით პირველ ადგილზე გავედი, გაფრინდაშვილს ამჯერად მესამე ადგილი ერგო 6.5 ქულით.

გარდა სპორტული მხარისა, ჩვენ სხვა იტერესიც გვქონდა: გვსურდა და მოვახერხეთ კიდეც ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების დადება. ორივე მხარემ გარკვეული ვალდებულებები აიღო, რაც, ცხადია, პირველ რიგში ტურნირებზე მიპატიჟებას გულისხმობს.

- თქვენ რა შესთავაზეთ ირანელებს, რა გეგმები გაქვთ?

- საქართველოში რეიტინგიანი ტურნირების ნაკლებობაა, საერთაშორისო ტურნირები კი საერთოდ არ ტარდება. წლეულს რამდენიმე ასეთ ღონისძიებას ვგეგმავთ - ბათუმში, 13 მაისს დაიწყება საერთაშორისო ტურნირი, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება თამაში. ამის შემდეგ ბათუმშივე გავმართავთ ანდრია დადიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირს 12-დან 16 წლამდე მოჭადრაკეებისთვის .

- რატომ აირჩიეთ ბათუმი?

- პირველ რიგში იმის გამო, რომ ბათუმში სასტუმროები ობილისურზე იაფია და მეორეც: ზღვისპირეთში ჩამოსვლა ყველას მოსწონს. 13 მაისი უკვე გაზაფხულია და იმედია, ამინდებიც კარგი იქნება. რამდენიმე დღით ადრე ბაქოს ტრადიციული ტურნირი ტარდება და იმედი გვაქვს, რომ დიდი ნაწილი ბაქოდან ბათუმში წამოვა - ძალიან მაღალი კლასის დიდოსტატებზეა საუბარი.

- როცა ქართველი ირანიდან ბრუნდება, ლამის აუცილებელ კითხვაა - ფერეიდნელ ქართველებთან თუ გქონდათ ურთიერთობა?

- იმ ქალაქიდან ფერეიდანი შორს არის, მაგრამ თითქმის ყველა ქალაქში ცხოვრობს რამდენიმე ქართველი და რაშტიშიც აღმოჩნდნენ ასეთები. მოვიდნენ და დიდი ყურადღებაც გამოიჩინეს - ოჯახებში გვეპატიჟებოდნენ, მაგრამ წასვლას ვერ ვახერხებდით, რადგან ორივე ტურნირზე დღეში ორი პარტია თამაშდებოდა. იქაურმა ქართველებმა დიდად გვასიამოვნეს ყურადღებით.

ზვიად შათირიშვილი

საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ხმლით ფარიკაობაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

თამაზ კაკულია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვრცოფესიული ჭრიკი

იბრძოლებს მარგველაშვილი

კიდევ ერთი ქართველი იბრძოლებს უახლოეს ხანში პროფესიულ კრივში ინტერკონტინენტალის ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ქამრისთვის. ლაპარაკია ABF-ის ქამარზე, რომლის მფლობელი 3 თებერვალს გამოვლინდება საფრანგეთის ქალაქ ტულონში ქართველ **ნუგზარ მარგველაშვილსა** და იტალიური წარმოშობის ფრანგ **სტეფან ბენიტოს** შეხვედრაში.

"ზემოხსენებულმა ასოციაციამ და ორგანიზატორებმა მეტოქეები პირველი ოცეულის რეიტინგითა და მოლაპარაკებებით შეარჩიეს. ჩვენებურმა, რომელიც საჩხერელია და 21 წლისაა, დღემდე ჩაატარა 12 შეხვედრა და ყველა მოიგო. ვნახოთ, რით დასრულდება მეცამეტე პაექრობა. მწვრთნელების ***მინდია ნოზაძისა*** *და* ***ზურაბ გუნიას*** *ხელმძღვანელობით, ნუგზარი დიდი მონდომებით ემზადება მომავალი ორთაბრძოლისთვის"*, - უთხრა გუშინ "ლელოს" კორესპონდენტს საქართველოს პროფესიული პრივის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კიკნაველიძემ**.

დავძენთ, რომ მსოფლიო ჩემპიონი ABF-ის ვერსიით 63,5 კგ წონით კატეგორიაში გამოვლინდება და წესით, ორთაბრძოლა 12 რაუნდს ითვალისწინებს.

ისევ უკრაინა და მარიუპოლი

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები 17-23 თებერვალს, უკრაინის ღია ჩემპიონატის მეორე წრეში ჩაერთვება. სამწუხაროდ, ათ წელზე მეტია, რაც წყალბურთში არცთუ სახარბიელოდ გვაქვს საქმე. ამ ხნის განმავლობაში, ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებზე მხოლოდ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ასპარეზობს. თანაც, ეს გუნდი, ფაქტობრივად, ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს ჩემპიონატიც არ იმართება.

მართალია, ბოლო ხანს საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია ეროვნული ნაკრების აღდგენასაც აპირებდა, მაგრამ სამწუხაროდ, საქმე იქითკენ მიდის, რომ ამ გუნდს კიდევ დიდხანს ვერ ვიხილავთ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

როგორც შარშან, ჩვენი გუნდის ძირითადი მოსამზადებელი ეტაპი ალბათ ახლაც უკრაინის ღია ჩემპიონატი იქნება. უკრაინელებმა ჩემპიონატი დეკემბერში დაიწყეს და იქ ჩვენი გუნდი მხოლოდ ცხრა წყალბურთელით ჩავიდა. მართალია, ქართველებმა ბოლომდე მედგრად იბრძოლეს, მაგრამ მოკლე სათადარიგოთა სკამის გამო, ორჯერ დამარცხდნენ და მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს. მეორე ტური, როგორც ზემოთ ვთქვით, 17-23 თებერვალს გაიმართება მარიუპოლში. ამჟამად, ჩვენებურები მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფენ, მაგრამ წინ ჯერ კიდევ სამი ტურია.

მარიუპოლში საქართველოს ნაკრები შერეული შემადგენლობით მიდის. გუნდის მწვრთნელ **სოსო მაისურაძეს** სურს გამოცდა იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც მაისში ევროპის ახალგაზრდული პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირზე ითამაშებენ. მათ გარდა, მარიუპოლში წავა რამდენიმე გამოცდილი ლეგიონერიც.

კობა ხატისაშვილი

თამაში

30 იანვარი, 1949, ფოთი - დაიბადა ვიქტორ კრატასიუკი. ნიჭოსნობა, ბაიდარა. 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (ორადგილიანი ბაიდარა), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1971, 72 - ორადგილიანი ბაიდარა) და მესამე პრიზიორი (1971 - ოთხადგილიანი ბაიდარა). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. გარდაიცვალა 2003 წლის 19 მარტს, ფოთში.

ძიუდო



ნუგზარ სუარიძის ფოტო

თბილისის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ

პირველი და მეორე ნომრები გამოვლენილია

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრებულმა ძიუდოისტთა მორიგმა მსოფლიო თასმა ქართველთა დიდი უპირატესობით ჩაიარა - მასპინძლებმა 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ვერ ვიტყვით, რომ ტურნირი ძალიან სუსტი იყო და ჩვენებმა ამიტომ იმარჯვეს. მართალია, ამაზე უფრო ძლიერი შეჯიბრებაც გვინახავს (თუნდაც შარშან), მაგრამ შარშან იაპონელი ტაკამასა ანაი (100) უპრობლემოდ გახდა ჩემპიონი, წლეულს კი ლომერ ჟორჟოლიანმა ბრწყინვალედ დასცა. სხვაც შეიძლება დავასახელოთ ისეთი მაგალითები, როცა ფავორიტებმა ვერ გაამართლეს. მაგალითად, ყველა არ მოელოდა, ზაზა კედელაშვილი (66) იაპონელ ტომოო ტორიის თუ მოუგებდა და მით უფრო - იპონით. მოკლედ, ჩვენების წარმატებას ტურნირის სისუსტეს ვერ დავაბრალებთ.

აშკარაა, რომ ჩვენს ნაკრებშიც ბევრად გაიზარდა კონკურენცია. თანაც, მასპინძლებს ამ რანგის ტურნირებზე ბევრად მრავალრიცხოვანი გუნდები გამოჰყავთ და ეს წარმატება ლოგიკურია. ცუდი ის იქნებოდა, გაფართოებული შემადგენლობითაც რომ ვერაფერი დაგვეკლო სტუმრებისთვის.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ჩვენი ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს გავესაუბრეთ. გვაინტერესებდა, როგორ აფასებდა განვლილ შეჯიბრებას, რა სიახლეები ან ნაკლოვანებები დაინახა მან.

- ბატონო შოთა, როგორ შეაფასებთ ტურნირზე ჩვენების გამოსვლას?

- ცალსახად დადებითად. გუნდმა დაგეგმილი ამოცანა თითქმის მთლიანად შეასრულა. წარმატებას ნამდვილად ველოდი, თუმცა მთლად ასეთს - არა. ტურნირის დაწყებამდე 2-3 ოქროს მოპოვებას ვგეგმავდით, ჩვენებმა კი ოთხი მოიპოვეს. ბიჭებმა ბრწყინვალედ იჭიდავეს, თუმცა გასაკეთებელიც ბევრია. წარმატებებთან ერთად, ტურნირმა ცალკეული ხარვეზებიც დაგვანახა, რომლებიც შემდგომში უნდა გამოვასწოროთ. მზადება ისევ გრძელდება. მალე პარიზის ტურნირზეც გამოვალთ და თანდათან ყველაფერი დაიხვეწება. ამ შეჯიბრებით პირველი-მეორე შემადგენლობა თითქმის საბოლოოდ გამოიკვეთა და სამომავლოდ ამათ დავეყრდნობით. იქნებ რომელიმე ტურნირზე მესამე ნომერიც ვაჭიდაოთ, მაგრამ აქცენტს მაინც პირველ-მეორე ნომრებზე გავაკეთებთ. სამწუხაროდ, იმდენი დრო არაა, საქართველოს ჩემპიონატისა თუ ამ ტურნირის ყველა მედალოსანი გამოვცადოთ, მაგრამ შეძლებისდაგვარად, ბრინჯაოს მფლობელებსაც დავაკვირდებით.

- მიმდინარე ციკლში ახალი კადრების გამოჩენას რომ არ ელოდით, ადრეც ბრძანეთ. პრინციპში, ამ მხრივ მოულოდნელობები არ ყოფილა, მაგრამ სიურპრიზი მაინც თუ შემოგთავაზათ ვინმემ?

- არ ველოდებოდი ლომერ ჟორჟოლიანის ასეთ კარგ გამოსვლას. მასზე დიდ იმედებს კი ვამყარებთ, მაგრამ მთლად ასეთ კარგ ჭიდაობას ძალიან ძლიერ იაპონელთან არ ველოდით. ანაიმ შარშან კანოს ტურნირიც მოიგო, ჩვენი შეჯიბრებაც და მესამეზე გავიდა პარიზში. წლეულს მას იაპონელები ამ წონაში პირველ ნომრად ამზადებენ. აი, ასეთ ფალავანს მოუგო ჟორჟოლიანმა. თავადაც ნახეთ, მთელი შეხვედრა მისი უპირატესობით მიმდინარეობდა.

- უკმაყოფილო ვისი გამოსვლით დარჩით?

- არ დაგიმალავთ, ზურაბ ზვიადაურისგან მეტს ველოდი, თუმცა დაკარგული არაფერია. ირაკლი ცირეკიძესაც შეეძლო ფინალური ორთაბრძოლის თავის სასარგებლოდ დამთავრება, მაგრამ შეცდომების გამოსასწორებლად დრო ბევრია. მწამს, ბიჭები სულ მალე ჩადგებიან ოპტიმალურ ფორმაში.

- სამწუხაროდ, ეს ტურნირი ათეინის ოლიმპიადის ორივე მედალოსანმა ჩააგდო. დარჩათ მათ ევროპის პირველობაზე წამსვლელ გუნდში მოხვედრის შანსი?

- ცხადია, შანსები ისევ რჩებათ. ვთქვი, რომ ჯერ დაკარგული არაფერია. წინ საფრანგეთისა და პოლონეთის ტურნირებია და იქაც გამოიცდებიან. ადრეც ვამბობდი, რომ ჩვენი შეჯიბრება ევროპისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი შეჯიბრებაა მხოლოდ. სავარაუდოდ, საფრანგეთის შემდეგ ევროპაის ჩემპიონატზე წასაყვანი გუნდი გამოიკვეთება და პოლონეთში გამოსაცდელი მხოლოდ რამდენიმე წონა დარჩება.

შოთა ხაბარელის შემდეგ ორ ევროპელ სტუმარსაც გავესაუბრეთ. მოგეხსენებათ, გაისად ჩვენი ტურნირი სალიცენზიოა, ანუ განსაკუთრებული მასპინძლობა გვმართებს. ამიტომაც დავინტერესდით, როგორ აფასებდნენ ევროპის ძიუდოს კავშირის წარმომადგენლები ახლანდელი ტურნირის ორგანიზაციულ დონეს, საგაისოდ რაიმე შენიშვნა ან რეკომენდაცია ხომ არ ექნებოდათ ჩვენდამი. ამ საკითხებზე კომენტარი ევროპის ძიუდოს კავშირის სპორტული კომიტეტის წევრს, ჩეხ მიხაელ ვახუნს ვთხოვეთ:

- ტურნირი კარგადაა ორგანიზებული. საერთოდ, ორგანიზაციული მხარე წლიდან წლამდე უმჯობესდება. თქვენი ფედერაცია სწრაფად სწავლობს მართვის თანამედროვე მეთოდებს, რაც ტურნირსაც ეტყობა. მონაწილეთა მიღება-დაბინავება, სასტუმროდან დარბაზში გადაყვან-გადმოყვანა, ბანკეტი, დახვედრა-გაცილება - ყველაფერი კარგადაა მოგვარებული.

- გაისად ეს სალიცენზიო ტურნირია და რაიმეს გაუმჯობესება ხომ არაა საჭირო?

- ორგანიზაციულად არაფრის დამატება არაა საჭირო. 25 წელინადია, აქ დავდივარ და ყოველთვის კარგად ვატარებდით. ერთადერთი, დარბაზს სჭირდება შერემონტება.

ტურნირს გერმანელი ექიმი, სპორტული მედიცინის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი **ალბერტ გიუზბახერიც** ესწრებოდა. იგი ქართველების დიდი მეგობარია და მისი ქველმოქმედების შესახებ ჩვენც არაერთხელ გამცნეთ, როცა გერმანიაში, საკუთარ კლინიკაში ქართველებისთვის ხან სულ უსასყიდლოდ, ხანაც ძალიან იაფად უმკურნალია. ასეთი საქმეებისთვის მან ჯილდოდ მიიღო ქართული ნაბადი, რომელიც თურმე ჯერ კიდევ შარშანდელ მსოფლიო თასზე მოსწონებია ძალიან. ბუნებრივია, ქართველთა კეთილისმყოფელთან გასაუბრების საშუალება ხელიდან არ გავუშვით. მით უფრო, გიუზბახერი დოპინგ-კონტროლს მეთვალყურეობს, რაც ჩვენთვის ჯერ ახალი ხილია. ამის მიუხედავად, აქაურმა დოპინგ-სამსახურმა ევროპელი ემისრისგან მადლობა დაიმსახურა. აი, რა განაცხადა გუზბახერმა: - *თქვენი ტურნირი მსოფლიოში ძალიან პოპულარულია და მასზე ყველა ლაპარაკობს. წლევანდელი შეჯიბრება კარგადაა ორგანიზებული და შემადგენლობითაც ძლიერია. სამედიცინო უზრუნველყოფა და დოპინგ-სამსახურიც საერთაშორისო ნორმების შესაბამის დონეზეა. არანაირი შენიშვნა არ გამჩენია.*

ირაკლი თავაძე

ჩაბები

ლეგიონერები

კვირიკაშვილი, ამჯერად 13

ევროთასეულზე ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ ფრანგული კლუბები ისევ საშინაო ბატალიებს დაუბრუნდნენ. პირველი დივიზიონის მე-19 ტურში ცენტრალური შეხვედრა "სენ დენიზე" გაიმართა - ლიდერმა "სტად ფრანსემ" ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი "ტულუზი" დაამარცხა - 22:20.

ქართველთა გუნდებიდან ბოლო დროს აშკარად გამოცოცხლება დაეტყო **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრს", რომელმაც მე-19 ტურში, სატურნირო ცხრილის მეზობელს, "ნარბონს" უმასპინძლა და 62:14 დაამარცხა. კასტრელებმა მეტოქეს ცხრა ლელო გაუტანეს. გიორგაძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

საკუთარ მოედანზე "ბაიონთან" საჭირო გამარჯვება მოიპოვა **მამუკა გორგოძის** "მონპელიემ" 39:17. გორგოძეს არ უთამაშია.

თორმეტმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა **გოდერძი შველიძისა** და **დავით ზირაქაშვილის** "კლერმონმა", რომელიც გასვლით მატჩში ვერას გახდა "აჟენთან" - 18:22. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს. შველიძე განაცხადში არ ყოფილა.

ავთანდილ კოპალიანის "მონტობანი" მოულოდნელად საკუთარ მოედანზე დამარცხდა "ალბისთან" - 15:19. კოპალიანი განაცხადში არ იყო. სტუმრად "პერპინიანთან" დამარცხდა **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი გიორგაძის** "ბურგუენი" 9:16. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XIX ტური. მონპელიე-ბაიონი 39:17, მონტობანი-ალბი 15:19, აჟენი-კლერმონი 22:18, კასტრი-ნარბონი 62:14, ბიარიცი-ბრივი 15:6, პერპინიანი-ბურგუენი 16:9, სტად ფრანსე-ტულუზი 22:20.

1. სტად ფრანსე - 65 ქულა, 2. **კლერმონი - 59**, 3. პერპინიანი - 55, 4. ტულუზი - 53, 5. ბიარიცი - 52, 6. **ბურგუენი - 45**, 7. **მონტობანი - 42**, 8. აჟენი - 41, 9. ალბი - 40, 10. **კასტრი - 39**, 11. ნარბონი - 34, 12. **მონპელიე - 33** / 13. ბრივი - 32, 14. ბაიონი - 31

მეორე დივიზიონში წარმატებით ითამაშა **მერაბ კვირიკაშვილის** "პომ". მეკოს გუნდმა შინ დაამარცხა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი "დაქსი" - 33:16. კვირიკაშვილის ანგარიშზე ამჯერად 13 ქულაა - სამი საჯარიმო და ორი გარდასახვა. კვირიკაშვილი უკვე ზედიზედ მეორე შეხვედრაა, 10 ნომრად თამაშობს.

ერთპიროვნულმა ლიდერმა, **ილია ზედგინიძის** "ოშმა" "მონ დე მარსანს" მოუგო 25:23. ზედგინიძე განაცხადში არ ყოფილა. **დავით აშვეთიასა** და **მამუკა მაგრაქველიძის** "მეტრო რასინგმა" სტუმრად გაიმარჯვა "ლიმოჟთან" - 18:17. აშეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს. მაგრაქველიძეს არ უთამაშია.

ერთ-ერთი ლიდერი, **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიე" სტუმრად დამარცხდა "ოიონაქსთან" - 16:24. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლმა" შინ მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა "ტარბთან" - 30:22. ღვაბერიძე განაცხადში არ იყო.

სენსაციური მარცხი იგემა სტუმრად, აუტსაიდერ "კოლომიესთან", **გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონმა" - 23:25. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, კუთარაშვილი მატჩში 67-ე წუთიდან ჩაერთო.

II დივიზიონი. XVIII ტური. პო-დაქსი 33:16, მონ დე მარსანი-ოში 23:25, ლიმოჟი-მეტრო რასინგი 17:18, გრენობლი-ტარბი 30:22, ოიონაქსი-ბეზიე 24:16, კოლომიე-ტულონი 25:23, გაიაკი-ლა როშელი 21:11, ბორდო-ლიონი 14:6.

1.ოში-72 ქულა / 2.ბეზიე-55, 3. ლა როშელი-52, **4.ტულონი-52**, 5.დაქსი-50 / 6.ლიონი-46, 7.ოიონაქსი-46, **8.მეტრო რასინგი-40**, 9.გაიაკი-39, **10.გრენობლი-37**, 11.ტარბი-33, 12.ბორდო-33, **13.პო-32** / 14.მონ დე მარსანი-32, 15.ლიმოჟი-31, 16.კოლომიე-23.

ბესიკ ჯანგავაძე

ნოზაძე პირველია

27 28

ანტიკური ჭიდაობა. ფრანგულ კრეტეიში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირზე დიდი წარმატებით იასპარეზეს ქართველებმა, რომელთა მონაგარიც თითო ოქრო-ბრინჯაოს, ორი ვერცხლის მედალი და გუნდური პირველობაა. ჩვენებიდან ყველაზე უკეთ **რამაზ ნოზაძემ** (96) იჭიდავა, რომელიც ჩემპიონი გახდა. **დავით ბედინაძემ** (60) და **გენადი გოგიშვილმა** (74) მხოლოდ ფინალები დათმეს, მძიმენონოსანი **რევაზ ჭელიძე** კი მესამეზე გავიდა. გუნდურ ჩათვლაში მეორეზე კუბელები გავიდნენ, მესამეზე - ყაზახები.

ირაკლი თავაძე

მხოლოდ ერთი გამარჯვება

ძიუდო. **თინათინ ქულოსაშვილი** ერთადერთია ქალ ძიუდოისტთა ნაკრებიდან, რომელმაც სოფიაში გამართულ მსოფლიო თასზე ერთი გამარჯვება მაინც მოიპოვა. 63 კგ. წონით კატეგორიაში მოჭიდავე ქულოსაშვილმა პირველ წრეში ბერძენი სპორტსმენი დაამარცხა, მერე კი იგივე გაიმეორა, რაც მისმა შვიდივე თანაგუნდელმა - ორთაბრძოლა წააგო და ტურნირს გამოეთიშა. მხოლოდ უმცირეს წონით კატეგორიაში არ გვყოლია წარმომადგენელი, სამაგიეროდ ზოგიერთ წონით კატეგორიაში ორი ჩვენი ძიუდოისტი ქალი ჭიდაობდა. შედეგები კი ასეთია: **ანი ავაქიანი** (52 კგ.) პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ჰოლანდიელთან დამარცხდა, შედარებით გამოცდილი **დუსკა ქერიმოვა** (57 კგ.) ორჯერ დამარცხდა, ჯერ ებრაელ ძიუდოისტთან, შემდეგ კი რეპეჭაჟში - უკრაინელთან, პირველსავე წრეში წააგო **ანა ძაძამიამ** (63 კგ.) უკრაინელთან, **ენძელა სოლოღაშვილმა** (70 კგ.) - მასპინძელთან, **ლია გვიანიძემ** (78 კგ.) - სლოვენიელთან, მძიმე წონაში (78 კგ. +) **მარიამ ჩადუნელმა** ორი შეხვედრა დათმო (გერმანელთან და ბელარუსთან), **ირინე ლეონიძემ** კი - ერთი (რუსთან). საბოლოო ჯამში, ჩვენმა რვა ძიუდოისტმა გოგონამ 11 ბრძოლა გამართა და აქედან 10 წააგო.

პირველების უკუსვლა

ჩოგბურთი. ვაუ ჩოგბურთელთა ახალ რეიტინგ-ლისტში საქართველოს პირველი ჩოგანი **ირაკლი ლაბაძე**, რომელსაც წლეულს არსად უთამაშია, სამი საფეხურით დაქვეითდა. დღეისთვის ირაკლი მისთვის შეუფერებელ 170-ე პოზიციას იკავებს მსოფლიო კლასიფიკაციაში. ოდნავ წინ წაიწია **ლადო ჩიხლაძემ**, რომელიც ავსტრიაში "ფიუჩერსის" სერიის ტურნირებში გამოდის, ლადო ოთხი საფეხურით დაწინაურდა და ახლა მსოფლიოს 541-ე ჩოგანია. ლაბაძეს 250 ქულა აქვს, ჩიხლაძე - 47. ლაბაძეს წყვილთა თანრიგში უკეთესი მდგომარეობა აქვს, სადაც 168-ე ჩოგანია.

ქალთა პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** 6 საფეხურით დაქვეითდა და ახლა 146-ე ნომერია. ჩახნაშვილს 199 ქულა აქვს. სამაგიეროდ ოთხი ადგილით დაწინაურდა **ანა ტატიშვილი**, ის კლასიფიკაციაში 295-ე პოზიციაზეა. ეს ანას საუკეთესო მდგომარეობაა რეიტინგ-ლისტში. სხვა ქართველები: 338 (-14) **სოფიო მელიქიშვილი**, 540 (-1) **სალომე დევიძე**, 689 (-) **სოფიო შაფათავა**, 776 (-3) **ეკა გორგოძე**, 898 (-1) **მანანა შაფაქიძე**, 1114 (-5) **თეონა ცერცვაძე**, 1359 (+5) **მარიამ ქურდაძე**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჰალეთბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

თუ მზემ დაანვა...



ამარე სტაუდმაიერი

კლივლენდი-ფინიქსი 100:115

26:23, 30:35, 31:33, 13:24

კლივლენდი: ლ. ჯეიმი (30 ქ. 9 მ. 5 პ. 2 ჩ), გუდენი (19 ქ. 14 მ. 2 დ), დ. მარშალი (15 ქ. 5 მ).

ფინიქსი: მერიონი (23 ქ. 8 მ), ნეში (23 ქ. 15 პ), ა. სტაუდმაიერი (22 ქ. 7 მ. 2 დ), ბარბოსა (19 ქ. 2 ჩ), რ. ბელი (15 ქ. 5 მ. 2 ჩ).

1971-72 წლების რეგულარულისას, "ლეიკერსმა" ერთმანეთის მიყოლებით 33 შეხვედრა მოიგო, რაც NBA-ის ისტორიაში დღემდე ხელუხლებელ რეკორდად რჩება. კალიფორნიელთა იმ ლეგენდარულმა თანავარსკვლავედმა ფლეი ოფშიც იბობოქრა და მანამდე "ბოსტონის" დომინაციით შევიწროებულმა, ჩემპიონის ტიტულიც ირგუნა.

"ფინიქს სანზს" კლივლენდში გამარჯვების მერე, ზედიზედ მოგებული მატჩების გრაფაში 17 გამარჯვება უწერია, რაც 33-ს ბევრად ჩამორჩება, მაგრამ ამ მოგებით არიზონელებმა ლიგის ისტორიაში მეხუთე ყველაზე ხანგრძლივი წარმატებული სერია გამოაცხვეს და თუ კიდევ 3 მოგებას დააფიქსირებენ, 1970-71 წლების რეგულარულის შედეგს გაიმეორებენ, რომელიც "მილუოკი ბაქსს" ეკუთვნის და რაც იმ 33 მაგიური მოგების მერე საუკეთესო შედეგია.

"ფინიქსის" დღევანდელი თამაში ძალიან ახლოსაა სრულყოფილებასთან. გუნდს პრაქტიკულად არ აქვს სუსტი წერტილი, ხოლო სტივ ნეში კი დღესაც ლიგის უძლიერესი მოთამაშეა. სწრაფ კალათბურთში, ეს გუნდი ყოველთვის ყველაზე შედეგიანი და შეუჩერებელია, მაგრამ სხვებისთვის სამწუხაროდ, ამ სეზონში "სანზმა" დაცვაც იმდენად გამოასწორა, რომ მათ წინააღმდეგ თამაში ძალიან რთული გახდა", - ამბობდა ნაგებული მატჩის შემდეგ, "კლივლენდის" სუპერვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი**, რომელმაც თამაშიდან 22-დან 12 სროლა გამოიყენა.

"კავალიერსის" დამარცხებით "ფინიქსმა" კიდევ ერთი გუნდური რეკორდი დაამყარა - ეს ამ გუნდის მიერ გასვლაზე ზედიზედ მეცხრე გამარჯვება გახლდათ.

თუ "დალასი" და "სან ანტონიო" მოგებებს მძიმე კალათბურთითა და შეუხედავი თამაშით ჭედავენ, **მაიკ დენტონის** გუნდი ამას ძალიან ლამაზად აკეთებს. **ჯეიმსონ კიდის** სამმაგი დუბლები, **დერონ უილიამსის** უდიდესი პროგრესი, **ჩონსი ბილაპსის** ლიდერული თვისებები, **ტონი პარკერის** სისწრაფე – ამ გამთამაშებლების თავიანთი გუნდებისადმი მნიშვნელობას არც არავინ აკნინებს, მაგრამ ვეჭვობთ, სადღეისოდ ლიგაში (მთელ მსოფლიოშიც) **სტივ ნეშზე** სრულყოფილი ფლეიმეიქერი იყოს.

კანადელი იმდენად ლაღად, თავისუფლად თამაშობს, იმდენად დიდია მის გამოსვლაში არტისტიზმის წილი, რომ რთულია არ დავეთანხმოთ **ჩარზლ ბარკლის**, რომლიც მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ერთსა და იმავეს ამბობს – საუკეთესო მოთამაშის პრიზი სტივის უნდა გადავცეთო.

ცხადია, რეგულარული ფლეი ოფი არ არის, სადაც ნეშს ასე იოლად 13-14 ზუსტ პასს არავინ დააგროვებინებს, მაგრამ ყველა საფლეიოფო სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობა ბევრს უნდა ნიშნავდეს, "სანზი" კი ამ ეტაპზე რეგულარულის მოგების მთავარ კანდიდატად ითვლება. ფლეი ოფზე ამახვილებს ყურადღებას ნეშიც.

"რეგულარულში ყოველთვის კარგად ვთამაშობდი, მაგრამ ფლეი ოფში ერთ-ორ შეცდომას მთელი სეზონის დასამარება მოსდევდა ხოლმე. როდესაც ხალხი მაშინდელი "ლეიკერსის" დიდ სერიაზე საუბრობს, იმას ივიწყებს, რომ იმ გუნდმა არა მარტო რეგულარული ჩაატარა ერთ ამოსუნთქვაზე, არამედ ფლეი ოფშიც ყველა ოპონენტი უშანსოდ დატოვა. ჩვენი მიზანიც ესაა – რეგულარულში თამაშის მაქსიმალურად დახვეწის შემდეგ, ფლეი ოფში ვითამაშოთ ჩვენი საუკეთესო კალათბურთი. ძალიან მინდა, ახლა, როდესაც კარიერაში ყველაზე დამაჯერებლად გამოვიყურები, გუნდს ჩემი კარგი თამაშით ისტორიაში შესვლის შანსი მივცე. ეს შანსი შარშანაც გვქონდა, მაგრამ "მავერიქსთან" სერიაში მეტოქემ ჩვენზე ნაკლები შეცდომა დაუშვა და სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა", - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ნეში, რომელსაც 35 წუთში ერთი შეცდომაც არ დაუშვია.

ზურაბ თალაკვაძე

ლეიკერსი-ს. ანტონიო 94:96 (ო)

16:19, 28:17, 23:21, 13:23, 14:16

ლეიკერსი: ბრაიანტი (31 ქ. 7 პ. 6 მ), ოდომი (18 ქ. 10 მ. 6 პ), ბინუმი (14 ქ. 11 მ. 3 პ), რადმანოვიჩი (13 ქ. 9 მ), ს. პარკერი (10 ქ. 2 ჩ).

სან ანტონიო: დენკანი (21 ქ. 14 მ. 9 პ. 3 დ), ჯინობილი (21 ქ. 7 მ. 3 პ), ტ. პარკერი (19 ქ), ფინლი (17 ქ. 6 მ).

დეტროიტი-ინდიანა 95:87

27:12, 20:31, 27:22, 21:22

დეტროიტი: რ. ჰამილტონი (21 ქ), რ. უოლასი (20 ქ. 7 მ. 5 დ. 3 ჩ), უებერი (17 ქ. 13 მ. 3 პ. 3 დ), ბილაპსი (17 ქ. 6 პ), მაკდაიესი (13 ქ. 11 მ).

ინდიანა: ჯ. ონილი (26 ქ. 12 მ. 5 დ), ტინსლი (18 ქ. 7 პ. 4 ჩ), გრეინჯერი (13 ქ. 5 მ), მერფი (7 ქ. 10 მ).

ბოსტონი-ვაშინგტონი 91:105

29:30, 21:18, 20:29, 21:28

ბოსტონი: დელონტე უესტი (22 ქ. 11 პ. 4 მ. 3 ჩ), გომესი (20 ქ. 8 მ), ჯ. გრინი (14 ქ. 2 დ).

ვაშინგტონი: ჯეიმისონი (34 ქ. 7 მ. 7 პ. 3 ჩ), არენასი (23 ქ. 6 პ. 5 მ. 4 ჩ), კ. ბატლერი (21 ქ. 11 მ. 2 ჩ), ჰეივუდი (11 ქ. 9 მ. 2 დ).

მილუოკი-ნიუ იორკი 107:105

24:20, 28:27, 26:22, 29:36

მილუოკი: მო უილიამსი (30 ქ. 10 პ. 6 მ. 2 ჩ), პატერსონი (21 ქ. 5 მ), ბოგუტი (18 ქ. 9 მ), ჩ. ბელი (16 ქ. 4 მ), ბოიკინსი (13 ქ), სკინერი (4 ქ. 14 მ. 3 დ).

ნიუ იორკი: ჯ. კროუფორდი (26 ქ. 4 პ), ლი (19 ქ. 14 მ. 3 პ), მარბერი (15 ქ. 8 პ), კარი (15 ქ), ბალკმენი (12 ქ. 8 მ. 4 ჩ. 2 დ).

სიეტლი-კლიპერსი 76:98

19:28, 12:25, 25:36, 20:9

სიეტლი: რ. ალენი (15 ქ. 3 მ), პეტრო (11 ქ. 7 მ. 4 დ), სენე (10 ქ).

კლიპერსი: ბრენდი (22 ქ. 7 მ. 3 ჩ), კასელი (21 ქ. 7 პ), მობლი (10 ქ. 5 მ. 5 პ), მაგეტი (10 ქ. 9 მ), კამანი (9 ქ. 15 მ. 2 დ).

ᲰᲝᲙᲔᲘ

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ანაჰაიმი დაკარგულის ანაზღაურებას იწყებს

ანაჰაიმი-დალასი 4:1

2:0, 0:0, 2:1

გოლები: 1:0 ე. მაკდონალდი-13 (კუნიტცი-21), 2:0 პენერი-17 (მარჩანტი-12, ჯეკმენი-7), 2:1 ი. ლუჰტინენი-15 (ბულიტი), 3:1 ე. მაკდონალდი-14 (სელიანე-30, კუნიტცი-22), 4:1 სელიანე-31 (გეტცლაფი-15, ბოშემენი-9).

დაახლოებით ერთი თვის წინ, რეგულარულ ჩემპიონატში "ანაჰაიმის" ლიდერობას თითქოსდა არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ მოულოდნელად, გუნდმა ერთი მეორეს მიყოლებით წააგო რამდენიმე შეხვედრა და ახლა "იხვები" თანაკონფერენციელ "ნეშვილს" მთელი 5 ქულით ჩამორჩებიან.

ამ ჩავარდნას სავსებით ლოგიკური ახსნა ჰქონდა - ტრავმების გამო, გუნდს ორი წამყვანი ჰოკეისტი გამოაკლდა: მეკარე **ჟან-სებასტიან ჟიგერი** და მცველი **კრის პრონგერი**. ამას რეგულარულის ყველაზე შედეგიანი მცველის - **სკოტ ნიდერმაიერის** ტრავმაც დაერთო თან.

პრონგერმა და ჟიგერმა 11-11 თამაში გამოტოვეს, ხოლო "ანაჰაიმმა" კი, ბოლო 12 შეხვედრაში მხოლოდ სამი მოიგო და "დალასთან" მატჩამდე ზედიზედ 4 წაგებაც ჰქონდა.

გუშინ, ჟიგერი და პრონგერი გუნდს დაუბრუნდნენ და "ანაჰაიმმაც" ასე ნანატრი გამარჯვება მოიპოვა. ჟიგერმა 30 დარტყმის მოგერიება შეძლო და ის კვლავაც ლიდერობს ლიგას გამარჯვებების რაოდენობით - 23.

ასე რომ, "ანაჰაიმის" რიგებში თითქმის ყველაფერი დალაგდა და როცა გუნდს სკოტ ნიდერმაიერიც დაუბრუნდება, "იხვები" დაკარგული ლიდერობის დასაბრუნებლად იბრძოლებენ.

ჩიკაგო-კალგარი 4:3 (ო)

1:0, 1:2, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ვიშნიევსკი-2 (ტ. რუუტუ-12, ბონდრა-4), 2:0 ჯ. ჰემილტონი-12 (მარპი-14, ბონდრა-5), 2:1 ლენგკოუ-20 (ტანგეი-30, ფანოფი-21), 2:2 ჰუსელიუსი-21 (ტანგეი-31, ლენგკოუ-32), 2:3 ტანგეი-14 (ლომმბარდი-18, ჰუსელიუსი-22), 3:3 არხიპოვი-7 (კეიტი-20, ვიშნიევსკი-7), 4:3 არხიპოვი-8 (ბარკერი-1, ტ. რუუტუ-13).

ეშველა "ჩიკაგო ბლეკ ჰოქსსაც". ამ გუნდს 2 იანვრის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული და "კალგარისთან" უმძიმეს მატჩში შეძლო 10-თამაშიანი წაგებათა სერიის შეწყვეტა. გარდა ამისა, 26 დეკემბრის შემდეგ, ეს ჩიკაგოელთა პირველი საშინაო მოგება იყო.

მასპინძლებმა შეტევაში ძალიან კარგად ითამაშეს და **მიკა კიპრუსოფის** კარის მიმართულებით, ჯამში 40 ზუსტი დარტყმა განახორციელეს. გაცილებით ნაკლები სამუშაო ჰქონდა "ჩიკაგოს" რუს მეკარე **ნიკოლაი ხაბიბულინს**, რომელმაც 19 დარტყმა მოიგერია. მიუხედავად ამისა, მატჩის ბედი მაინც ოვერტაიმში გადაწყდა, სადაც უფრო ზუსტნი მასპინძლები აღმოჩნდნენ.

ატლანტა-ფილადელფია 1:2

1:0, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 კოვალჩუკი-27 (რუჩინი-15, დე ერისი-13), 1:1 ჯ. კარტერი-5 (სანდერსონი-10, კალდერი-6), 1:2 ჯ. კარტერი-6 (მ. რიჩარდსი-10, უმბერგერი-9).

სტუმრებს სულ ცოტა დააკლდათ ამ სეზონის ანტი- რეკორდის გასამეორებლად. "ფილადელფიას" წლევანდელ რეგულარულში ერთხელ უკვე ჰქონდა წაგებული ზედიზედ ათი მატჩი, "ატლანტასთან" შეხვედრის წინ კი, ეს გუნდი მორიგი უიღბლო სერიით მივიდა, რომელიც მიყოლებით წაგებულ 9 მატჩს შეადგენდა.

მაგრამ, ამჯერად "მფრინავებს" მორიგ სირცხვილი **ჯეფ კარტერმა** აარიდა თავს, რომელმაც ჯერ მეორე პერიოდში ანგარიში გაათანაბრა, ხოლო საფინალო სირენამდე ერთი წუთით ადრე, გამარჯვების შაიბა გაიტანა **კარი ლეჰტონენის** კარში.

გუშინდელი გამარჯვება ყველაზე მეტად "ფილადელფიას" ფინელ გოლკიპერ **ანტერო ნიიტიმაკის** სჭირდებოდა, რომელსაც 30 ნოემბრის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული შეხვედრა. ახალგაზრდა გოლკიპერის ეს "შავი" სერია 15 მატჩს უტოლდებოდა.

დეტროიტი-კოლორადო 3:1

0:0, 1:0, 2:1

გოლები: 1:0 დაციუკი-14 (ზეტერბერგი-22, ჰოლმსტრიომი-15), 2:0 ჰოლმსტრიომი-15 (ლიდსტრიომი-31, დაციუკი-33), 2:1 ბ. შჩასტნი-14 (ვოსკი-18, ბ. კლარკი-24), 3:1 მიოლტბი-3 (ჩელიოსი-9, დრეიპერი-10).

ვანკუვერი-სან ხოსე 3:1

0:0, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 პაველსკი-10 (მ. მიხალეკი-22, ერპოფი-14), 1:1 პიატი-14 (ნესლუნდი-22, ბიეკსა-22). 2:1 დ. სედინი-18 (პიატი-10, ს. სედინი-41), 3:1 ბ. მორისონი-12 (ნესლუნდი-23).

სხვადასხვა

ხელბურთი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ

გერმანია 2007. მსოფლიო ჩემპიონატი. პაუეი

II ჯგუფური ტურნირი

I ჯგუფი

გერმანია-ისლანდია	**33:28**
სლოვენია-პოლონეთი	**27:38**
საფრანგეთი-ტუნისი	**28:26**

	მ	ფ	ნ	ბ
1. პოლონეთი	4	0	1	162-147
2. გერმანია	4	0	1	157-138
3. ისლანდია	3	0	2	161-153
4. საფრანგეთი	3	0	2	142-128
5. სლოვენია	1	0	4	140-165
6. ტუნისი	0	0	5	142-173

II ჯგუფი

ესპანეთი-ხორვატია	**28:29**
რუსეთი-უნგრეთი	**26:25**
დანია-ჩეხეთი	**33:29**

	მ	ფ	ნ	ბ
1. ხორვატია	5	0	0	145-128
2. დანია	3	0	2	141-134
3. ესპანეთი	3	0	2	152-145
4. რუსეთი	2	0	3	136-142
5. უნგრეთი	2	0	3	132-138
6. ჩეხეთი	0	0	5	138-157

30 იანვარს, მეოთხედფინალში ხვდებიან

ესპანეთი-გერმანია
ხორვატია-საფრანგეთი
პოლონეთი-რუსეთი
ისლანდია-დანია

ქადრაკი

ᲕᲔᲘᲙ-ᲔᲜ-ᲖᲔᲔ (ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ)
ᲒᲠᲚᲝ ᲢᲣᲠᲘ

კარლსენი (ნორვეგია)-**შიროვი** (ესპანეთი) 0.5:0.5; **პონომარიოვი** (უკრაინა)-**მოტილიოვი** (რუსეთი) 0.5:0.5; **სვიდლერი** (რუსეთი)-**კარიაკინი** (უკრაინა) 0:1; **კრამნიკი** (რუსეთი)-**ვან ველი** (ჰოლანდია) 1:0; **რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი)-**ტოპალოვი** (ბულგარეთი) 0.5:0.5; **ანანდი** (ინდოეთი)-**ნავარა** (ჩეხეთი) 0.5:0.5; **ტივიაკოვი** (ჰოლანდია)-**არონიანი** (სომხეთი) 0:1.

საგოლფო მდგომარეობა: 1-3. **რაჯაბოვი, ტოპალოვი, არონიანი** - 8.5 ქულა; 4. **კრამნიკი** - 8; 5. **ანანდი** - 7.5; 6. **სვიდლერი** - 7; 7. **ნავარა** - 6.5; 8-9. **კარიაკინი, პონომარიოვი** - 6; 10-11. **ტივიაკოვი, მოტილიოვი** - 5; 12-13. **შიროვი, კარლსენი** - 4.5; 14. **ვან ველი** - 4.

მძლეოსნობა

პაუელმა 400 მეტრით დაიწყო

100 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენმა **ასაფა პაუელმა**, ზამთრის სეზონი 400 მეტრ დისტანციაზე ასპარეზობით გახსნა. როგორც ძმლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, იამაიკელმა სპრინტერმა ეს დისტანცია 47.67 წამში დაფარა და თავის გარბენში პირველი მივიდა ფინიშთან, მაგრამ საერთო ჯამში, ყველა მონაწილეს შორის მან მეოთხე შედეგი აჩვენა.

გამარჯვებული გახდა პაუელის სპარინგ-პარტნიორი **მარიო ფორსაიტი**, შედეგით - 47.42 წამი. სხვათა შორის, ასაფას მიერ ნაჩვენები დრო ერთი წამით უკეთესია მის პირად რეკორდზე.

ᲞᲝᲚᲝ

ფორსბერგზე დიდი მოთხოვნაა

არ წყდება ჭორები "ფილადელფია ფლაიერზის" შვედი ლეგიონერის, **პიტერ ფორსბერგის** სხვა გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით. სწორედ ამის გამო, ჟურნალისტებს მორიგი კომენტარი მისცა "მფრინავების" გენერალურმა მენეჯერმა **პოლ ჰოლმგრენმა.**

"ეს სიტუაცია, ყველაზე მეტად თავად ფორსბერგს არ მოსწონს. მისი გაცვლის ყველა ვარიანტი, რომელიც პრესაში ამოვიკითხე, დეზინფორმაციაა. მე უკვე ველაპარაკე პიტერს კონტრაქტის გაგრძელების ვარიანტზე და მან მიპასუხა, რომ მოსაფიქრებლად დრო სჭირდება. მიუხედავად ამისა, მისი გადაბირების მსურველთა სატელეფონო ზარები არ წყდება", - ამბობს ჰოლმგრენი.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ამერიკაში ორი გრან-პრი?

არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს დროში, ფორმულა 1-ის კალენდარში მეორე რბოლა ჩაჯდეს, რომელიც ამერიკის ტერიტორიაზე გაიმართება. თუმცა, არსებობს ვარიანტი იმისა, რომ ახალმა გრან-პრიმ ინდიანაპოლისის ეტაპი შეცვალოს. ამის შესახებ ამერიკულ პრესაში საუბრისას, ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა მფლობელმა **ბერნი ეკლსტოუნმა** განაცხადა.

"შესაძლოა სულაც არ დაგვჭირდეს ერთი გრან-პრის მეორეთი შეცვლა. არ არის გამორიცხული, აშშ-ში ორი ეტაპი გაიმართოს",- ამბობს ეკლსტოუნი.

ახალი გრან-პრის ჩატარების სავარაუდო ადგილად ლას ვეგასი და ჩიკაგო სახელდება.

სინგაპურის საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია

საბჭოს "როიტერის" ინფორმაციით, სინგაპურის გრან-პრის ბედი აპრილში გადაწყდება. ვარაუდობენ, რომ ეს ეტაპი 2008 წლის სეზონში გაიმართება, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გრან-პრის პრომოუტერები "ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას მიაღწევენ.

იმასაც ამბობენ, რომ სინგაპურის გრან-პრი ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველი ღამის რბოლა იქნება.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

რუსები შარაპოვას ელიან

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ თასზე რუსეთის ქალთა ნაკრების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** განაცხადა, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგან **მარია შარაპოვას** არ გადაუფიქრებია ნაკრებში თამაში. მარიას დებიუტი რუსეთის გუნდში ფედერაციის თასის მეოთხედფინალში უნდა შედგეს, სადაც ტარპიშჩევის ნაკრების მეტოქე ესპანეთი იქნება.

"ესპანელთა წინააღმდეგ, მსოფლიო კლასიფიკაციაში ყველაზე მაღლა მყოფი 4 რუსი ჩოგბურთელი ითამაშებს. ესენი არიან: მარია შარაპოვა, ნადეჟდა პეტროვა, სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა დემენტიევა. არცერთი მათგანისგან უარი არ მიგვიღია და ალბათ, ასეთი რამ არც მოხდება. შეხვედრა 21-22 აპრილს მოსკოვში ჩატარდება. ნაკრების წევრები სამშობლოში, მატჩამდე ერთი კვირით ადრე შეიკრიბებიან", - განაცხადა შამილ ტარპიშჩევმა.

კალათბურთი

კირილენკოს ერთკვირიანი შვებულება

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ვიტყობინებოდით, "იუტა ჯაზის" რუსმა ლეგიონერმა **ანდრეი კირილენკომ** "დენვერ ნაგეტსთან" მატჩში ფეხის ტრავმა მიიღო. როგორც სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, ფორვარდს დაახლოებით ერთი კვირით მოუწევს დასვენება.

"თავიდან მეგონა, რომ სერიოზული ტრავმა მივიღე, მაგრამ ექიმებმა დამამშვიდეს - მხოლოდ კუნთი მქონია დაჭიმული. აღდგენით პროცედურებს დაახლოებით 6-8 დღე დასჭირდება და იმედია, ერთ კვირაში კვლავ გავალ მოედანზე", - აცხადებს ანდრეი კირილენკო.

ჩემპიონი

ყველა დროის საუკეთესო

როჯერ ფედერერს ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად მოიხსენიებს საფრანგეთის ღია პირველობის ყოფილი ჩემპიონი, ფრანგი **იანიკ ნოა**. ბევრი უმაღლესი კლასის ჩოგბურთელის თამაში მინახავს და ბევრთან მეც მითამაშია, მაგრამ ასეთი გამორჩეული არავინ ყოფილაო, - "ეიპთან" საუბრისას ამბობს ნოა, ვინც საფრანგეთის ღიას ჩემპიონი 1983 წელს გახდა.

"ასეთი დომინაციის მნახველი პირველად ვარ. ბორგს ნებისმიერი მეტოქის ნებისმიერ დროს დამარცხება შეეძლო, მაგრამ ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, რომ მოგების შანსი შენც გქონდა. როჯერი კი ტურნირებს სეტის წაუგებლად იგებს და თანაც ისე იოლად, რომ გგონია, რომ სჭირდებოდეს, კიდევ უფრო უკეთ ითამაშებდა. გონსალესს პირველ პარტიაში ორი სეტ პოინტი ჰქონდა, რის შემდეგაც როჯერმა დიამეტრულად შემოაბრუნა თამაში. თითქოს თავის თავს უთხრა - დროა, სატერფულს დააჭირო და ეს თამაში მოიგოო. ამ დროს ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ ის ავტომობილში იჯდა და გადაცემის მეოთხე საფეხურით მოძრაობდა, იმ დროს, როცა მის კოლოფს ექვსი საფეხური აქვს. ნებისმიერ მომენტში შეუძლია მაღალ საფეხურზე გადასვლა და სიჩქარის გაზრდა, მაგრამ არ სჭირდება, რადგან მეოთხეთაც საუკეთესოა. ეს ნამდვილი სასწაულია", - ამბობს ნოა.

ფედერერის ანგარიშზე ახლა დიდ სლემზე მოგებული ათი ტურნირია და თუ ის საფრანგეთის ღია პირველობასაც მოიგებს, მაშინ 11 სასლემო ტიტულით შვედი **ბიორნ ბორგისა** და ავსტრალიელი **როდ ლეივერის** მიღწევებს გაიმეორებს. შეგახსენებთ, რომ ჩოგბურთის ისტორიაში რეკორდი ამერიკელ **პიტ სამპრასს** ეკუთვნის, ვისაც დიდი სლემის 14 ტურნირი აქვს მოგებული.

ათი ტიტულიდან შვეიცარიელ მაესტროს ოთხი უომბლდონზე აქვს მოპოვებული, სამ-სამი კი - აშშ-ისა და ავსტრალიის ღია პირველობებზე. ერთადერთი სლემ-ტურნირი, რომლის გვირგვინიც მას ჯერ ვერ დაუდგამს, საფრანგეთის ღიაა, სადაც მან შარშან ფინალს კი მიაღწია, მაგრამ ესპანელ **რაფაელ ნადალთან** წააგო.

ახლა, როცა ფედერერმა ავსტრალიის ღია მესამედაც მოიგო, მთავარი თემა კვლავ ის და საფრანგეთის ღია პირველობაა. თუ როჯერი "როლან გაროსზეც" იმარჯვებს, მაშინ სლემს შეასრულებს (ზედიზედ ოთხი სლემ-ტურნირის მოგება), დიდი სლემისთვის კი საჭიროა, რომ ერთ სეზონში ოთხივე დიდი ტურნირი მოიგოს.

"თუ როლან გაროსსაც მოვიგებ, მაშინ შესაძლებელი იქნება იმის თქმა, რომ ხარისხობრივად ახალ დონეზე ავედი. დღეს ასეა, თუ ყველა ტურნირს ვერ მოიგებ, ესე იგი, მიზანს ვერ მიაღწიე. არადა, საფრანგეთში სულ სხვა ტიპის საფარზე გვიწევს თამაში. სხვა საქმეა, ავსტრალიის ან ამერიკის ტურნირები რომ არ მქონდეს მოგებული. მაშინ იტყობდენ - ამ საფარზე ყველას შეუძლია მოგება, ის კი ვერ იგებს, ესე იგი, გრანდი არაა. მაგრამ ამას საფრანგეთზე ვერ იტყვი. როლან გაროსი და უომბლდონი სულ სხვაა. შენ უნდა იყო თიხის, ან ბალახის სპეციალისტი, რომ ეს ტურნირები მოიგო. თუ არა, მაშინ ამ შეჯიბრებებზე ჩემპიონობა ძალიან ძნელია", - ამბობს ფედერერი.

ბორგმა რომ 1980 წელს საფრანგეთის ღია პირველობა სეტის წაუგებლად მოიგო, მას შემდეგ დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონი პარტიაში დაუმარცხებლად არავინ გამხდარა. ჰოდა, ფედერერმა ეს მიღწევაც გაიმეორა. გასული სეზონის განმავლობაში მან დიდი სლემის ოთხივე ტურნირის ფინალში ითამაშა და მათგან სამი მოიგო. გარდა ამისა, მთლიანად სეზონში 12 ტურნირის ჩემპიონი გახდა. მოკლედ, ბოლო 27 სეზონში კაცების ტურზე ასე არავინ დომინირებდა.

ერთადერთი, რასაც ახლა ფედერერისგან ელიან, როლან გაროსზე ტრიუმფია. თავადაც აღიარებს, რომ მუდმივად ამ თემაზე ფიქრი უწევს. და ამ მიზნის მისაღწევად, სპეციალურად უნდა დაგეგმოს სათიხნარო სეზონი, რათა საფრანგეთის ღიას სტარტისთვის შესაფერის ფორმაში იყოს.

"ხშირად მეკითხებიან, ამ ათი ტიტულიდან რომელია ჩემთვის ყველაზე ძვირფასი. საერთოდ, შედარება არ მიყვარს, მაგრამ თუ მაინც პასუხი უნდა გავცე, ყოველთვის ვამბობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უიმბლდონზე მოპოვებული პირველი ტიტულია. რაც შეეხება წლევანდელი ავსტრალიის ღიას მოგებას, მე თვითონაც გაოცებული ვარ. სხვა თუ არაფერი, ის ამ სეზონში ჩემთვის პირველი ოფიციალური ტურნირი იყო და ნამდვილად არ ველოდი, თუ ასეთი დომინანტი ვიქნებოდი", - ამბობს ფედერერი.

შვეიცარიელი მაესტროს კაცთა ტურზე დომინაცია თუ აშკარად გამოკვეთილია, იგივეს ვერ ვიტყვით ქალთა ტურზე. აქ მსოფლიოს პირველი ჩოგანი რუსი **მარია შარაპოვა** გახდა, ვინც ავსტრალიის ღიას ფინალში ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** გაანადგურა. მიუხედავად სასტიკი მარცხისა, შარაპოვა ამბობს, რომ მან მსოფლიოს პირველი ჩოგნის წოდება დაიმსახურა.

"რეიტინგს ტყუილი არ უყვარს. ცხრილებში ყველაფერი სამართლიანადაა ასახული. მოხარული ვარ, რომ ცხრილს სათავეში მოვექეცი და ვიმედოვნებ, ლიდერობას კიდევ დიდხანს შევინარჩუნებ. რა თქმა უნდა, წაგება ყოველთვის მტკივნეულია. მით უმეტეს, როცა ასეთი ანგარიშით აგებ. მაგრამ სხვა მხრივ, საწუწუნო არ მაქვს, რადგან სეზონის პირველივე ტურნირის ფინალში ვითამაშე და თანაც, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გავხდი", - ამბობს შარაპოვა.

რაც შეეხება სერენას, ერთ დროს ის თითქმის ისევე დომინირებდა, როგორც ფედერერი, მაგრამ შემდეგ ხშირი ტრავმების გამო, ორი სეზონი ფაქტობრივად გაუცდა, რის გამოც რეიტინგის მოწინავე ასეულის ბოლოში ამოყო თავი - ავსტრალიის ღია რეიტინგის 81-ე საფეხურზე მყოფმა დაიწყო, მაგრამ მისი მოგებით დიდად იხეირა და ახლა მე-14 ადგილზეა.

როჯერ ფედერერი

მერაბ ლორთქიფანიძე

რეიტინგები

WTA-ს რეიტინგი	
1(2). მარია შარაპოვა (რუს)	3918
2(1). ჟუსტინ ანინ-არდენი (ბელ)	3311
3(3). ამელი მორესმო (საფ)	2900
4(5). კიმ კლაისტერსი (ბელ)	2577
5(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2554
6(7). მარტინა ჰინგისი (შვეიც)	2139
7(6). ნადია პეტროვა (რუს)	2057
8(8). ელენა დემენტიევა (რუს)	2013
9(12). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1782
10(11). ელენა იანკოვიჩი (სერ)	1558
11(9). პატი შნიდერი (შვეიც)	1544
12(10). დინარა საფინა (რუს)	1527
13(13). ანა ჩაკვეტაძე (რუს)	1470
14(81). სერენა უილიამსი (აშშ)	1269
15(17). შაარ პეერი (ისრ)	1209
16(14). ანა ივანოვიჩი (სერ)	1160
17(16). ნა ლი (ჩინ)	1106
18(18). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ)	988
19(23). ტატიანა გოლოვინი (საფ)	950
20(19). ანა-ლენა გრონეფელდი (გერ)	944
21(24). ვერა ზვონარევა (რუს)	932
22(22). კატ. სრებოტნიკი (სლოვენ)	927
23(15). ანასტასია მისკინა (რუს)	904
24(21). მარიონ ბარტოლი (საფ)	903
25(20). ფრანჩესკა სკიავონე (იტა)	860

WTA-ს საჩემპიონო რბოლა	
1. სერენა უილიამსი (აშშ)	1030
2. კიმ კლაისტერსი (ბელ)	725
3. მარია შარაპოვა (რუს)	700
4. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	575
5. ელენა იანკოვიჩი (სერ)	445
6. შაარ პეერი (ისრ)	385
7. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	365
8. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	351
9. ნა ლი (ჩინ)	285
10. ლუსი საფაროვა (ჩეხ)	265
11. დინარა საფინა (რუს)	231
12. ვერა ზვონარევა (რუს)	221
13. ამელი მორესმო (საფ)	210
14. ანა ივანოვიჩი (სერ)	195
15. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ)	180
16. ელენა დემენტიევა (რუს)	175
16. პატი შნიდერი (შვეიც)	175
18. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	156
19. ტატიანა გოლოვინი (იტა)	155
20. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	141
21. სამანტა სტოსური (ავსტრა)	130
22. ტატიანა გოლოვინი (საფ)	125
23. ალისია მოლიკი (ავსტრა)	120
24. პიკო ნაკამურა (იაპ)	113
25. მარია კირილენკო (რუს)	111

ფულადი მოგებები	
1. სერენა უილიამსი (აშშ)	1 284 715
2. მარია შარაპოვა (რუს)	640 500
3. კიმ კლაისტერსი (ბელ)	408 515
4. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	350 283
5. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ)	244 888
6. კარა ბლეკი (ზიმ)	229 958
7. შაარ პეერი (ისრ)	186 103
8. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	186 018
9. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	184 115
10. ლუსი საფაროვა (ჩეხ)	166 923
11. ელენა იანკოვიჩი (სერ)	158 614
12. იუნ-იან ჩანი (ტაივ)	130 720
13. ნა ლი (ჩინ)	117 566
14. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	117 398
15. ჩია-იუნ ჩუანი (ტაივ)	114 365
16. ვერა ზვონარევა (რუს)	113 949
17. სამანტა სტოსური (ავსტრა)	105 143
18. პატი შნიდერი (შვეიც)	102 913
18. ელენა დემენტიევა (რუს)	102 913
19. ამელი მორესმო (საფ)	102,078
20. დინარა საფინა (რუს)	98 228
21. ელენა ლიხოვცევა (რუს)	97 578
22. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	95 808
23. კატარინა სრებოტნიკი (სერ)	84 063
24. ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	83 025



ოლეგ მასკაევი

ზემძიმე წონა

მასკაევი ტიტულს სულერთია

"ჯერჯერობით, რაიმეს გადაჭრით თქმას მოვერიდები. საერთო მე და ჩემს გუნდს ერთი წესი გვაქვს, სანამ ყველაფერი გაირკვევა, მანამ არაფერზე ვლაპარაკობთ. ამ ეტაპზე ჩვენ მოლაპარაკება არავისთან გვაქვს. WBC მალე გადაწყვეტს, თუ ვის უნდა ვებრძოლო და ჩემს მეტოქეზეც მერე ვილაპარაკოთ. ჩემთვის სულერთია, ვისთან ვიბრძოლებ. ვისთან ბრძოლასაც დამავალებენ, იმას შევხვდები",- ამბობს მასკაევი.

შეგახსენებთ, რომ ვიტალი კლიჩკო WBC საპატიო ჩემპიონის წოდებას ატარებს. ეს კი საბჭოს წესებით იმას ნიშნავს, რომ რინგზე დაბრუნების შემთხვევაში, მას დაუყოვნებლივ ტიტულისთვის ბრძოლის უფლება ექნება. ამ საკითხის დასაზუსტებლად, უკრაინელმა საბჭოს ხელმძღვანელობას მანამ მიმართა, სანამ სპორტში დაბრუნების გადაწყვეტილებას მიიღებდა. ასე რომ, უკვე ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ საბჭო მასკაევისა და კლიჩკოს ბრძოლაზე საჭირო სანქციას გასცემს.

კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ვერსიით, ზემძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონი, რუსი **ოლეგ მასკაევი** აცხადებს, რომ ის მზადაა, ნებისმიერ მოკრივეს ებრძოლოს. კერძოდ, მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ თავისი ტიტული უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსთან** ბრძოლაში დაიცვას. ოღონდ, ამისთვის საჭიროა, რომ საბჭომ შესაბამისი გადაწყვეტილება ოფიციალურად მიიღოს.

TV სპორტი

30 იანვარი. სამშაბათი

SPORT 1 (უკრაინა)

08:15 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლორადო.
10:00 სპორტ-კლუბი.
11:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. კაიზერი-კარლსრუე.
12:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ვალენსია.
14:30 მძლეოსნობა. Norwich Union International. გლაზგო. შოტლანდია.
17:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/16 ფინალი. ჩელსი-ნოტინგემი.
19:55 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1/16 ფინალი. მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი.
20:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
22:25 სპორტინფორმი.
22:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ბოხუმი (LIVE).
01:10 სპორტინფორმი.
01:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. არსენალი-პორტუ.
03:15 მძლეოსნობა. სეზონის წინ.
03:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ვაშინგტონი.
07:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:55 ფიტნეს-პლანი.

EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ველოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოოგლედი. ბელგია.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ობერსტდორფი. გერმანია.
14:45 სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა.
16:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
16:45 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. გერმანია-ინგლისი. გუანგჟოუ. ჩინეთი.
18:00 სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. ობერსტდორფი. გერმანია.
22:00 სნუკერი. მალტის თასი. პორტომასო. მალტა (LIVE).
01:00 კრივი. რ. როსელია (საფრანგეთი)-ს. ბალოგუ (ტოგო). საფრანგეთი.
02:30 პოკერი. ევროპის მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.

EUROSPORT-2

08:30 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. გერმანია-ინგლისი. გუანგჟოუ. ჩინეთი (LIVE).
10:30 ახალი ამბები.
11:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-აშშ. გუანგჟოუ. ჩინეთი (LIVE).
13:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. გერმანია-ინგლისი. გუანგჟოუ. ჩინეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ველოსპორტი. კატარის ტური. III ეტაპი. (LIVE).
16:00 კალათბურთი. ევროლიგა.
16:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესტუდიანტესი.
18:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-აშშ. გუანგჟოუ. ჩინეთი.
19:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა.
20:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი (ისრაელი)-ვენტსპილსი (ლატვია) (LIVE).
22:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ჰემოფარმი (სერბეთი)-უნიქსი (რუსეთი).
22:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. სტრასბური (საფრანგეთი)-ნანსი (საფრანგეთი) (LIVE).
00:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-ხიმკი (რუსეთი).
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

კონფერენსი

ოქსფორდი-რაშდენი	0:1

იტალია

სერია B

ნაპოლი-ჯენოა	1:1

სერია C1/A

სანჯოვანეზე-ლუკეზე	0:0

გერმანია

II ბუნდესლიგა

კაიზერი-კარლსრუე	1:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

პავრი-ბინგამი	2:0

პოლონეთი

II დივიზიონი

ვეენდამი-იგლუი	2:0

პორტუგალია

ნასიონალი-მარიტიმუ	3:2

პოკერი

ფინეთი

კიეკო-პიფუ	2:3

შვედეთი

ფრიოლუნდა-ბორა	0:3
ბიმარ-J371	1:1

ჩოგბურთი

ATP. დელრეი ბიჩი

კოლშრაიბერი-დელიჩი	7:6, 1:6, 4:6
მაიერი-კუნიციინი	6:1, 6:3

ATP. ვინია დელ მარი

ჰორნა-დი მაურო	6:1, 6:2
გუსმანი-საბალეტა	3:6, 4:6
ერნანდესი-კუერტენი	7:6, 7:6

ATP. ზაგრები

სიმონი-სიოდერლინგი	6:3, 6:7, 6:7
დლუჰი-ფაუ	4:6, 6:2, 7:5
სერა-ბაღდატისი	2:6, 6:7
ჟიკელი-ვერდასკო	6:4, 7:6

საქართველოში წავიდეთ, იქ მეგობრები მყავს...

რობერ ვან დე ვალე
ოლიმპიური ჩემპიონი

2007, მცხეთა. მარცხნივ - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თემურ ხუბულური

პირველად დაახლოებით 30 წლის წინათ ჩამოვედი საქართველოში, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე საჭიდაოდ. თავიდანვე თვალშისაცემი იყო ის კულტურული სხვაობა, რაც თქვენს ქვეყანას გამოარჩევს დანარჩენი ევროპისგან. პირველი შთაბეჭდილებით, არ დაგიმალავთ - ქართველები ცოტა უხეშები მეჩვენეთ, მაგრამ, როგორც კი უკეთ გაგიცანით, აღმოვაჩინე, რომ ძალიან სტუმართმოყვარე, პატიოსანი და გულღია ხალხი ხართ, თან ჭიდაობის, ძიუდოსა და ზოგადად სპორტის დიდი მოყვარულები. შინ შთაბეჭდილებებით დატვირთული წავედი - ჩემთვის ახალი, საინტერესო სამყარო აღმოვაჩინე და მართლაც გაოცებული დავრჩი.

ახლა თქვენს ქვეყანაში მეოთხედ თუ მეხუთედ ვარ - სამჯერ ტურნირზე საჭიდაოდ ჩამოვედი. ბოლოს აქ დიდი ხნის წინ ვიყავი, ასე, თხუთმეტი წლის წინ. დიდი დრო გასულა...

ბოლო ათწლეულებია, აღმოსავლეთევროპული ქვეყნები ძალიან შეიცვალნენ. მოგეხსენებათ, პოლიტიკური სიტუაცია ახლა სხვანაირია, კომუნისტური ეპოქა წარსულს ჩაბარდა. ქუჩაში იმდენ პოლიციელს ვერ დაინახავთ, როგორც მაშინ იყო, თქვენთან საჭიდაოდ რომ ჩამოვდიოდი. რა თქმა უნდა, ცვლილებებს ყოველ ნაბიჯზე ვამჩნევ. თქვენი ქვეყანაც უკეთესი ხდება, ეს თვალსაჩინოა.

30 წლის წინ, თბილისში

ჩემს მეგობარს, თემურ ხუბულურს ბევრჯერ შევხვედრივარ ტატამზე, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სხვადასხვა ტურნირებზე, ოლიმპიადის ფინალში, ბოლოსდაბოლოს. თანდათან ეს დაპირისპირება მეგობრობაში გადაზარდა. რამდენჯერმე ბელგიაშიც დავპატიჟე, სატელეფონო კავშირიც ყოველთვის გვაქვს. ჩემი მეგობარი უპატიოსნესი ადამიანი და დიდი სპორტსმენია.

ბევრჯერ გამამწარა ევროპის ჩემპიონატებზე, მსოფლიოზე, ყოველთვის მიგებდა! ორჯერ მარტო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში წამაქცია - 1979 წელს პარიზში და 1981 წელს მაასტრიხტში, მაგრამ, 1980 წელი ჩემი იყო!

მოსკოვის ოლიმპიადისთვის საგანგებოდ მოვემზადე. ხუბულურის თითოეული მოძრაობა შევისწავლე. ვიცოდი, რომ შემომიტევდა და ჩემი შანსი კონტრშეტევა უნდა ყოფილიყო. მართლაც, ყველაფერი ისე გამომივიდა, როგორც დავგეგმე. უზომოდ ბედნიერი ვიყავი ამ მოგებით, თუმცა... არანაკლებ გავიხარებდი, ჩემპიონი ხუბულური რომ გამხდარიყო. მართალს ვამბობ, დამიჯერეთ!

ჰო, თემური თავიდან რუსი მეგონა, რა თქმა უნდა. დიდი ხნის განმავლობაში ევროპისთვის მთელი საბჭოთა კავშირი რუსეთი იყო. ამ მხრივ ცვლილებები არის, თუმცა ჩემს სამშობლოში კიდევ ბევრმა არ იცის, სად არის საქართველო. დრო გავა და ამასაც მოვევლება.

მოსკოვის შემდეგ გამალებით ვემზადებოდი ლოს ანჯელესის ოლიმპიადისთვის, ტიტულის შესანარჩუნებლად, თუმცა ის ოლიმპიადა ჩემთვის ძალიან უიღბლო გამოდგა - წავაგე პირველივე შეხვედრა და შინ მომიწია დაბრუნება. ამის შემდეგ სულ ტიტულის დაბრუნებაზე ვოცნებობდი, მსურდა, სეულში ყველასთვის მეჩვენებინა, რომ ამერიკაში შემთხვევით დავმარცხდი, თუმცა... პირველივე ბრძოლაში მეტოქედ კორეელი ჰა შემხვდა, ლოს ანჯელესის ოლიმპიადის ჩემპიონი, თან მოგეხსენებათ, ოლიმპიადა სეულში იყო. საბოლოოდ, ვფიქრობ, რომ სეულში ბრწყინვალედ ვიჭიდავე და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე - ეს ჩემთვის მეორე ჩემპიონობის ტოლფასი იყო. სულ, ჩემი კარიერა რომ შევაჯამო, ზუსტად მახსოვს - საერთაშორისო ტურნირებში, ევროპის ჩემპიონატზე და ოლიმპიადაზე 26 ოქროს მედალი მოვიპოვე. ეს მხოლოდ დიდების ტურნირებში, ხომ კარგი შედეგია?

საქართველოში ჭიდაობა და კერძოდ, ძიუდო არაჩვეულებრივად პოპულარულია. სამწუხაროდ, ასე არაა ჩვენში - 25 წლის წინ, ჩემს ჩემპიონობამდე, ამ სახეობაზე არავინ არაფერი იცოდა. ბელგიაში ყველაფერი ფეხბურთია, შემდეგ მოდის ველოსპორტი და მოტოსპორტი, ძიუდოს სადღაც ბოლოსკენ აღმოაჩენთ პოპულარობით. ბელგიელი ძიუდოისტისთვის ყველაფერი მარტივადაა - გსურს ბელგიის საუკეთესო სპორტსმენის წოდება? მაინც და მაინც ოლიმპიადა უნდა მოიგო! თუ არა და - ბურთი უნდა გააგორო, მეტი რა გზაა. რამდენიმე გოლი უნდა გაიტანო რომელიმე საფეხბურთო კლუბში და კაცი ხარ!

სპორტიდან წასვლის შემდეგ გზაგასაყარზე ავღმოჩნდი, ან ისევ ძიუდოში უნდა დავრჩენილიყავი და მწვრთნელობა გამეგრძელებინა, ან სულ სხვა პროფესია ამერჩია. "რესურს ცენტრის" ჩამოყალიბებით, ვფიქრობ, ერთიც შევძელი და მეორეც. ჩემს გამოცდილებას და სპორტის ამ სახეობის სილამაზეს, საიდუმლოებებს ვუზიარებ ასეულობით სხვა ადამიანს, რომლებიც სპორტსმენები არ არიან, თუმცა ცხოვრების აქტიურ წესს ემხრობიან. ჩვენ სპორტულ კომპანიებთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. ბელგიაში "რესურს ცენტრს" ელიტური სახელი აქვს დამკვიდრებული. ჩემი პირველი სიყვარული ძიუდო იყო და სპორტული კარიერის განმავლობაში დაოჯახებისთვის ვერ მოვიცალე. ექვსი წლის წინათ დავქორწინდი, ჩემს მეუღლეს 11 წელია ვიცნობ, ის კარიერის დასრულების შემდეგ ჩემს საქმიანობაში მეხმარებოდა. ცოტა დავაგვიანე, ასე რომ შვილი ჯერ არ მყავს, თუმცა იმედი ჯერ არ გადამიწურავს. რა იცი, ჯერ 52 წლის ვარ...

ეხლა, რატომ ჩამოვედი აქ. ფილმს იღებენ. ფილმი მთლიანად ჩემს შესახებაა. ბოლო ხანებია, ეს ბიჭები სულ თან დამდევენ. სურათი ჩემს ცხოვრებას ეძღვნება, ძიუდოს, ჩემს გზას სპორტში და იმას, თუ რას ვაკეთებ ახლა, ანუ ჩემს ბიზნესს. როდესაც მკითხეს, თუ რომელ ქვეყანაში ვირჩევდი ვიზიტს, რათა კადრები სხვაგანაც გადაეღოთ, ნამითაც არ მიყოყმანია, უმალვე საქართველო ვუთხარი - იქ შეგობრები მყავს, თან 15 წელია, არ ვყოფილვარ და მენატრება-მეთქი. ჩემი აზრით, ბიჭებმა ბევრი საინტერესო ეპიზოდი გადაიღეს, წარსულში ბრწყინვალე სპორტსმენებთან ინტერვიუები ჩაწერეს.

ამ გადაწყვეტილებამ გაამართლა და მერე როგორ! ამის შესახებ რეჟისორები ყოველ საღამოს აღფრთოვანებით მეუბნებიან. საქართველოში ვიზიტმა მომავალი ფილმი განუზომლად გაამდიდრა მასალით და შინაარსიანი გახადა. ასე რომ, ექსპერიმენტმა გაამართლა. აქ მათ ძალიან კარგად დაინახეს, თუ რა პოპულარულია საქართველოში ძიუდო. ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მინდა, ბელგიელებსაც დავანახვო, რომ მხოლოდ ფეხბურთი არაა სპორტი. რომ სხვა ქვეყნებში ძიუდოს პოპულარობით ხანდახან ფეხბურთის დაჩრდილვაც შეუძლია. იქნებ, ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ბელგიელი ბავშვი დაინტერესდეს სპორტის ამ უსამაზესი სახეობით?

სულ სამი დღეა, საქართველოში ვარ და ასეთი შეგრძნება მაქვს - მოცლილი რომ ვიყო, უფრო დიდი ხნით დავრჩებოდი. შეიძლებოდა ზაფხულში ჩამოსვლა, უფრო მეტი ხნით დარჩენა და თქვენი ფანტასტიკური ბუნების, მთებისა და ტყეების ნახვა. სამწუხაროდ, თბილისში სულ ზამთრობით მიწევდა ჩამოსვლა ტურნირის გამო, არადა ზაფხულში აქ გაცილებით დიდი სილამაზე იქნება.

დღეს სპორტი ცოტა სხვანაირია... მართალი ხართ, რომანტიზმი დაიკარგა, თუმცა, ჩემი აზრით, უმაღლესი კლასის სპორტსმენი ახლაც შეძლებს... როგორ გითხრათ.... სპორტსმენს არ უნდა დაავიწყდეს, ის თავის ქვეყანასაც წარმოაჩენს და შედეგის გარდა მსოფლიოს ცოტა მეტი უნდა აჩვენოს. მე ვფიქრობ, რომ თავისუფლად შეიძლება კარგი ფულიც იშოვნო, დიდებულადაც იცხოვრო, ჩემპიონიც გახდე და თან დიდი სპორტსმენიც იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!

ჩანაწერი: ირაკლი თავაძე,
ნიკოლოზ ნეფარიძე
ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი

დაიბადა 1954 წლის 20 მაისს ოსტენდეში, ბელგია

ოლიმპიური ჩემპიონი (95 კგ, 1980) და ბრინჯაოს პრიზიორი (1988)
მსოფლიოს ვიცეჩემპიონი (1979, 1981 - ორჯერვე თემურ ხუბულურთან წააგო), ბრინჯაოს პრიზიორი (1981-აბსოლუტური პირველობა, 1983, 1983-აბს, 1985, 1989)
ევროპის ჩემპიონი (1980-აბს, 1985, 1986), ვერცხლის პრიზიორი (1976, 1977, 1979, 1983-აბს, 1984), ბრინჯაოს პრიზიორი (1977-აბს, 1978, 1979-აბს, 1980, 1981, 1983, 1984-აბს, 1987, 1988)
თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მოუგია ვერცხლის (1986) და ბრინჯაოს (1981) მედლები
ბელგიის საუკეთესო სპორტსმენი - 1979, 1980

ხუთშაბათს, ვლადიმერ სტეფანია: ევროპელი ამერიკაში

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხოფასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გაფრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაჟარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერეკლე მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10², 0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა